2010 წელი, 17 – 23 ივნისი

ფასი 90 თეთრი

# ახალი განათლება

№22-23 (492-493) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2010 წლის ივლისში ჩატარდება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები, რომელთა აუცილებელი შემადგენელი ნაწილიც პროფესიული უნარების გამოცდაა.

სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მზადების პროცესში პედაგოგთა ხელშეწყობის მიზნით გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2008 წელს გამოსცა კრებული **„როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის – პროფესიული უნარები“**. იგი მოიცავს ტესტურ დავალებათა ნიმუშებსა და რეკომენდაციებს. კრებულში ტესტური დავალებების გარდა, დანართის სახით, წარმოდგენილია სტანდარტით განსაზღვრული სწავლებისა და განვითარების თეორიების ძირითადი დებულებები.

**ამჯერად ჩვენი მიზანია, მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია პროფესიული უნარების ტესტის შესახებ**, რომელიც არ არის ასახული 2008 წლის კრებულში: *ტესტის სტრუქტურა, ტესტში სტანდარტით განსაზღვრულ სამ ძირითად ნაწილზე ქულების პროცენტული გადანაწილება, ტესტის მაქსიმალური ქულა. ამასთან, წარმოგიდგენთ სხვადასხვა ტიპის ტესტურ დავალებათა ნიმუშებსა და ინფორმაციას იმ მცირედ ცვლილებებზეც, რომლებიც შევიდა პროფესიული უნარების ტესტში.*

პროფესიული უნარების ტესტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და ინსტრუქციები საინტერესო იქნება მათთვისაც, ვინც უკვე გაეცნო გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ კრებულს.

გვერდი 7-11

გისურვებთ წარმატებას!

## სკოლების ბრენდირება

გვერდი 2

## 2011 წლის აბიტურიენტის მინიმალური კომპეტენციის პროგრამა

გვერდი 11-14

## ძვირფასო მასწავლებლებო, ესტუმრეთ „ახალი განათლების“ ვებგვერდს

www.axaliganatleba.ge

და მიიღეთ მონაწილეობა გამოკითხვაში




# სკოლების ბრენდირება

2010 წლის სექტემბრიდან იწყება სკოლების ბრენდირება, რომელიც საჯარო სკოლებისთვის სავალდებულო, ხოლო კერძო სკოლებისთვის ნებაყოფლობითი იქნება.

ბრენდირება ნიშნავს სკოლების შეფასებას ათვარსკვალვიანი სისტემით, სხვადასხვა კრიტერიუმებით, მაგალითად: ინსტიტუციური მონაცემები, სწავლა/სწავლება, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პროგრამებში/პრექტებში მონაწილეობა, აკრედიტაცია.

შეფასების დაწყებისას ყველა სკოლას ავტომატურად აქვს მინიჭებული ხუთი ვარსკვლავი, ხოლო მომდევნო ხუთის მინიჭება ხდება ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით. სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება თითოეული კომპონენტი და მისი შესაბამისი შეფასება. ყველა სკოლა თავად მოახდენს თვითშეფასებას და გაგზავნის მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. მონაცემების გადამუშავების შემდეგ მას მიენიჭება შესაბამისი ვარსკვლავი. იმისათვის, რომ არ მოხდეს მიკერძოებული შეფასება, სამინისტროში სპეციალურად შექმნილი კომისია, მინისტრის პირველი მოადგილის აკაკი სეფერთელაძის ხელმძღვანელობით, მუდმივად განახორციელებს სკოლის მიერ თვითშეფასების შედეგად მიღებული მონაცემების გადამოწმებას. მონაცემების განახლება მოხდება წელიწადში ერთხელ.

ბრენდირების ძირითადი მიზანია სკოლებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა და მათი წახალისება სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 10 ვარსკვლავის მქონე სკოლის კურსდამთავრებული ავტომატურად მიიღებს ზოგადი განათლების ატესტატს და მისთვის მინიმალური კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდების ჩაბარება არ იქნება აუცილებელი.

## კრიტერიუმები (სამუშაო ვარიანტი)

### I. პროგრამებში და პროექტებში მონაწილეობა

**სასკოლო და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობა**

რამდენი მოსწავლე მონაწილეობდა (მეშვიდე კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით) სასკოლო ოლიმპიადის პირველ ტურში

- რამდენი მოსწავლე გადავიდა მეორე ტურში
- რამდენი მოსწავლე გადავიდა მესამე ტურში
- ოლიმპიადაში გამარჯვებულები საგნების მიხედვით
- რამდენმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიადაში

**კონფერენციებში, კონკურსებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა**

- მიმდინარე სასწავლო წელს სამინისტროს მიერ ინიცირებულ რამდენ კონკურსში მონაწილეობდა სკოლა
- გამოვლინდა თუ არა გამარჯვებული
- რამდენი პროექტი განხორციელდა საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ
- რამდენი შიდასასკოლო კონკურსი განახორციელა სკოლამ

**პრეზიდენტის სტიპენდიანტი მასწავლებელი, მედალოსანი მოსწავლე**

- რამდენი პრეზიდენტის სტიპენდიანტი მასწავლებელი ჰყავს სკოლას
- რამდენი ოქროს მედალოსანი მოსწავლე ჰყავს სკოლას (ბოლო წლის შედეგები)
- რამდენი ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე ჰყავს სკოლას (ბოლო წლის შედეგები)

**სპორტული მიღწევები**

- სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა

**უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა სტატისტიკა/გრანტები (ბოლო წლის შედეგები)**

- რამდენმა კურსდამთავრებულმა აიღო ატესტატი
- დარეგისტრირებული აბიტურიენტებიდან რამდენი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში
- დარეგისტრირებული აბიტურიენტებიდან რამდენმა პროცენტმა მოიპოვა გრანტი
- დარეგისტრირებული აბიტურიენტებიდან რამდენმა პროცენტმა მოიპოვა გრანტი, 50% და მეტი

### II. ინსტიტუციური მონაცემები

**სკოლის შენობის მდგომარეობა**

- რეაბილიტირებული
- ნაწილობრივ რეაბილიტირებული
- არ არის რეაბილიტირებული

**ინვენტარი**

- კარგ მდგომარეობაში
- საშუალო მდოგომარეობაში
- ცუდ მდგომარეობაში

**სკოლის შიდა ან მოძიებული ფინანსური რესურსებით განხორციელებული აქტივობები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით**

- შენობის რეაბილიტაცია
- სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა (სპორტული მოედანი და სხვ.)
- სასკოლო ინვენტარის შეძენა
- კომპიუტერული და სხვა საგნობრივი ლაბორატორიების აღჭურვა

**სხვა დანარჩენი**

- მოქმედი ინტერნეტი
- სპორტული დარბაზი/სპორტული მოედანი
- ალუმნაის ფონდის ფუნქციონირება
- საკონფერენციო/სააქტო დარბაზი
- სკოლის სასადილო (მოქმედი)

**საევაკუაციო გეგმა**

**დაცულია თუ არა სისუფთავისა და სანიტარული ნორმები**

**დაცულია თუ არა სკოლის პერიმეტრი**

- დარაჯი/დაცვის პოლიცია
- უკანა ეზოს შემოღობვა
- ვიდეოთვალი
- საგზაო ბარიერები
- გამაფრთხილებელი შუქნიშანი

### III. სწავლა/სწავლება

- საგნები ისწავლება გაძლიერებული პროგრამით
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში
- გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფები
- სახელობო პროგრამები
- ინკლუზიური სწავლება
- წრეები
- ბიბლიოთეკა
- ლაბორატორია (აღჭურვილი და მოქმედი)
- მოსწავლეთა დასწრება

### IV. მასწავლებელთა კვალიფიკაცია

- რამდენმა მასწავლებელმა გაიარა პროფესიული განვითარების ტრენინგი
- სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა
- მუშაობს თუ არა სკოლაში მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა
- მენტორ-მაძიებელთა არსებობა
- მაგისტრი და დოქტორანტი პედაგოგები

### V. აკრედიტაცია

---

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

# განცხადება

2010 წლის 10 ივნისს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირმა გაავრცელა ცრუ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უხეშად ერევა პროფკავშირის საქმიანობაში. ამასთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ აღნიშნული ბრალდება არ შეესაბამება სიმართლეს და პროფკავშირების საქმიანობაში სამინისტროს მხრიდან არანაირ ჩარევას არ ჰქონია ადგილი.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იმისათვის, რომ სკოლის ადმინისტრაციამ მასწავლებლის ხელფასიდან რომელიმე პროფკავშირს გადაურიცხოს საწევრო გადასახადი, უნდა არსებობდეს მასწავლებლის წერილობითი თანხმობა და სკოლასა და პროფკავშირს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი გადარიცხვა, რომელიც ხორციელდება აღნიშნული მოთხოვნების დაცვის გარეშე, წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიმართა სკოლებსა და პროფკავშირებს, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანონ არსებული პრაქტიკა.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს 10-ზე მეტი პროფკავშირი, რომლებიც, გარდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისა, პასუხისმგებლობით მოეკიდნენ კანონის მოთხოვნებს და დაიწყეს კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლა. სამწუხაროდ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი, ნაცვლად კანონის მოთხოვნების შესრულებისა და შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებისა, ავრცელებს ყოვლად აბსურდულ ინფორმაციას და უსაფუძვლო ბრალს სდებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ კანონის უზენაესობა არის სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტური ღირებულება და უმთავრესი პრიორიტეტი. სწორედ ამ მიზნით, სამინისტრო ძალისხმევას არ დაიშურებს მასწავლებელთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

---

**ინფორმაცია**

# ინოვაციური ტექნოლოგიები საქართველოს სკოლებში

11 ივნისს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საინოვაციო ცენტრის პრეზენტაცია გაიმართა. სკოლების კომპიუტერიზაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის პროგრამის ფარგლებში, ცენტრმა მომავლის საკლასო ოთახის მოდელი წარმოადგინა – ინტერაქტიური ელექტრონული დაფა, კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორები – HP-ის წარმოების ტექნიკა, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპანიამ – UGT (იუ-ჯი-თი) მიაწოდა.



ინტერაქტიური ელექტრონული დაფა ნოვაციაა არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიო ბაზარზეც. დაფას უნიკალური შესაძლებლობები აქვს. მასზე ყველა მოქმედება ელექტრონულად ხორციელდება, გამოიყენება ნებისმიერი საგნის სწავლების პროცესში, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას დაფა ვირტუალური ლაბორატორიის ფუნქციას იძენს. ის კომპიუტერთანაა დაკავშირებული და ნებისმიერ მოქმედებას, რაც მასზე ხორციელდება, კომპიუტერი იმახსოვრებს. ელექტრონული დაფის გამოყენებით მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება, მოსწავლეებს ტესტირება ჩაუტაროს, მოსწავლეები დისტანციური მართვის პულტების დახმარებით დააფიქსირებენ პასუხების ვარიანტს.

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი უფრო ინტერაქტიური და საინტერესო გახდეს, საინოვაციო ცენტრში სისტემატურად ჩატარდება შეხვედრები და სემინარები მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ აღნიშნული ტექნიკის სწავლების პროცესში გამოყენების მეთოდებს.

ყოველი სიახლე, რისი დანერგვაც სკოლებში გადაწყდება, ჯერ საინოვაციო ცენტრში განთავსდება, მას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მისული ნებისმიერი სტუმარი გაეცნობა. ტექნიკის სიახლეები მომავალში სკოლებში გადაინაცვლებს და ცენტრი ახალი ექსპონატებით შეივსება, პროცესს სისტემატური ხასიათი მიეცემა.

**დიმიტრი შაშკინი**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„მსოფლიოში აქტიურად ვითარდება ინოვაციური ტექნოლოგიები. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, გამოვიყენოთ და დავნერგოთ საქართველოს სკოლებში ყველა ეს ტექნოლოგია იმისთვის, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა ისწავლონ ხალისით, ჰქონდეთ სურვილი, იარონ სკოლაში და მიიღონ მაღალი დონის განათლება. თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენება მნიშვნელოვნად ამარტივებს და ადვილად დაძლევადს ხდის სწავლა-სწავლების პროცესს“.*

**გიორგი ასათიანი**, ბიზნესმენთა ასოციაციის გენერალური მდივანი: *„კომპანია UGT ქართულ ბაზარს სისტემატურად სთავაზობს ინოვაციურ ტექნოლოგიებს. გამონაკლისი არც ახლაა. მადლობა მინდა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელმაც საშუალება მოგვცა, წარმოგვედგინა IT კლასი. ის შექმნილია ექსკლუზიურად Hewlett Packard-ისა და Microsoft-ის მიერ და მრავალ ქვეყანაშია დანერგილი. გარდა იმისა, რომ შესაძლებელია მისი მრავალფუნქციურად გამოყენება, იაფი მოხმარებითა და ღირებულებით გამოირჩევა, შესაბამისად – გრძელვადიანი მომსახურეობით. გარდა ამისა, წარმოდგენილი გვაქვს Smart-Tech-ის მიერ წარმოებული Smart-Board – ჭკვიანი დაფა, რომელსაც მრავალი შესაძლებლობა აქვს. მასწავლებელს შეუძლია მოამზადოს გარკვეული დავალებები და მოსწავლეებს დაფაზე წარუდგინოს, მოახდინოს ამ მასალის პრეზენტაცია, შესაბამისად, მოსწავლეებს ინტერაქტიურ რეჟიმში შეეძლებათ დაფასთან მუშაობა და თანამშრომლობა. ვფიქრობ, მომავალში ასეთი ტექნოლოგიების გამოყენება სკოლებისათვის მნიშვნელოვანი იქნება“.*

***მაკა ყიფიანი***

სახელმძღვანელოები

# „დიოგენეს“ სახელმძღვანელოები კიდევ უფრო პოპულარული გახდება

მიმდინარე წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაამკაცრა სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების წესი. ამ პირობებში გამომცემლობა „დიოგენემ“ სკოლებს 13 ახალი სახელმძღვანელო მოუმზადა. რა ვითარებაში უწევთ სახელმძღვანელოებს გრიფის მოპოვება და რატომ უნდა აირჩიოთ ისინი – ამ საკითხებზე გვესაუბრება გამომცემლობის რედაქტორი **ლალი ბაქრაძე.**



















**– რა სიახლეებს სთავაზობს „დიოგენე“ სკოლებს 2010-11 სასწავლო წელს?**

– „დიოგენემ“ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს 12 ახალი ორიგინალური სახელმძღვანელო მოუმზადა, მეცამეტე ფრანგული ენის სახელმძღვანელოა – BIEN JOUE (მეოთხე ნაწილი, ს. 7), რომელსაც უკვე კარგად იცნობენ მასწავლებლები. თორმეტივე სახელმძღვანელოს ავტორებს პედაგოგიური საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს. მაგალითად, V კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორები: **ლია თუშური, მაია ინასარიძე** და **ნინო შარაშენიძე** უკვე საბაზო სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყვარელ ავტორებად იქცნენ. მათ მიერ შექმნილი VII, VIII და IX კლასის სახელმძღვანელოები, კარგა ხანია, საქართველოს სკოლებში წარმატებულ სახელმძღვანელოებად მიიჩნევა. ძალიან ხშირად გვიწვევენ, საქართველოს მასშტაბით, ამ სახელმძღვანელოებით ჩატარებულ საჩვენებელ გაკვეთილებსა თუ ღონისძიებებზე, ბუნებრივია, ეს სახელმძღვანელოების ავკარგიანობაზე მეტყველებს. ამდენად, ამ ავტორებს საგანგებოდ წარდგენა აღარ სჭირდებათ. აქვე მოგახსენებთ ქართული ენისა და ლიტერატურის XI კლასის სახელმძღვანელოებზეც. წელს ჩვენმა გამომცემლობამ XI კლასში განსხვავებული კონცეფციით შედგენილი ორი ალტერნატიული სახელმძღვანელო მოამზადა. ერთია **თამაზ ვასაძისა და ნინო შარაშენიძის** წიგნი, რომელიც უკვე პოპულარული სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაა. პედაგოგთა მოსაზრებების გათვალისწინებით, მას დაემატა ნაწარმოებები ძველი ქართული ლიტერატურიდან, თავიდან გაკეთდა რედაქტირება. შეიძლება ითქვას, რომ ახალი გამოცემა სახელმძღვანელოს გაუმჯობესებული სახეა, სწორედ ისეთი, როგორსაც პედაგოგები ელიან. თემატურ პრინციპზე აგებული სახელმძღვანელო მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს აერთიანებს და ყოველი ბლოკი წერითი დავალებებითა და დისკუსიებით ასრულებს თემას. ვფიქრობთ, ეს სახელმძღვანელო პედაგოგებს იმედს არ გაუცრუებს. მეორეა ქრონოლოგიურ პრინციპზე აგებული, ასევე უაღრესად საინტერესო სახელმძღვანელო, რომლის ავტორები არიან **ნუგზარ მუზაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე** და **ნინო შარაშენიძე.** ამ ახალი პროექტით მეთერთმეტეკლასელებს მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის შესწავლას სთავაზობენ. X კლასის სახელმძღვანელოთი V-XVIII საუკუნეების მწერლობის შესწავლის შემდეგ XI კლასის მოსწავლეები მთელ სასწავლო წელს მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურას დაუთმობენ; ნაწარმოების დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ საგანგებო რუბრიკებითა და სქემებით მოსწავლეები გაეცნობიან ცნობილი ქართველი მწერლებისა და მეცნიერების მოსაზრებებს და უფრო იოლად შეძლებენ საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების გამოთქმას. ეს მართლაც ძვირფასი შენაძენია ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის.

**– ახალ სახელმძღვანელოთა ჩამონათვალში ფიზიკის ორი სახელმძღვანელოა. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

– მინდა ვთქვა, რომ საერთოდ **ქეთევან ტატიშვილის** სახელმძღვანელოებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ბევრისაგან მსმენია, ასეთი სახელმძღვანელოთი რომ მესწავლა, მეც ფიზიკოსი გამოვიდოდიო. რეცენზიებიც ისეთი მოვიდა ამ ავტორის VIII და XI კლასების სახელმძღვანელოებზე, რომ ასეთი შეფასება იშვიათია. აღსანიშნავია, რომ ქეთევან ტატიშვილმა გასულ წლებში შექმნილი VII-IX კლასის სახელმძღვანელოებით უკვე დაიმსახურა პედაგოგთა მოწონება. უაღრესად საინტერესო და ხარისხიან მასალას მრავალფეროვანი სავარჯიშოები და საინტერესო პროექტები ერთვის, რაც მოსწავლეებს კვლევის უნარს უვითარებს. ალბათ, ასეთი სახელმძღვანელო ბევრ მოსწავლეს გაუღვიძებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი, კერძოდ ფიზიკისადმი, ინტერესს.

ცამეტივე გრიფირებულმა სახელმძღვანელომ საკმაოდ კარგი რეცენზიები მიიღო. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებისთვის კარგად ცნობილმა ავტორებმა: **ლია თევზაძემ, ლამარა ბურდილაძემ, ქეთევან მაღრაძემ, ქეთევან ტატიშვილმა** და **ხათუნა ადიკაშვილმა** V კლასის ბუნების სახელმძღვანელო შემოგვთავაზეს, რომელიც მათივე ავტორობით შექმნილი IV კლასის ბუნების სახელმძღვანელოს გაგრძელებაა. თუმცა, წინა საფეხურთან შედარებით, ავტორთა ჯგუფმა ახალ სახელმძღვანელოში უფრო ფართოდ წარმოადგინა ცოცხალი სამყაროს საკითხები, რომლებიც მოსწავლეებს საგანთაშორისი ინტეგრაციით შესთავაზეს.

წელსაც უალტერნატივოა ფიზიკური აღზრდის V კლასის სახელმძღვანელო: **ლელა აფციაურმა** და **მამია ტუღუშმა** შემოგვთავაზეს სახელმძღვანელო, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და ითვალისწინებს ბავშვთა შესაძლებლობების მრავალფეროვნებას.

მეხუთეკლასელებს ხელოვნების სახელმძღვანელო ცნობილმა ავტორებმა: **ნანა კუნჭულიამ, მაია მეხაშიშვილმა** და **ნინო მიქაბერიძემ** მოუმზადეს. მოსწავლეები თანატოლი პერსონაჟებისაგან უამრავ ინფორმაციას გაიგებენ, ხოლო მოსწავლის რვეულში მოცემული პრაქტიკული სავარჯიშოებით ხელოვნების გაკვეთილები კიდევ უფრო სახალისო გახდება.

მეხუთეკლასელებისთვის იზრუნა **ქეთევან ცაგარელმაც** და მართლაც მაღალი დონის სახელმძღვანელო დაწერა მუსიკაში. შინაარსსა და მეთოდიკასთან ერთად, სახელმძღვანელოს ღირსებას მატებს მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული მოსასმენი მასალა.

ასევე ცნობილმა ავტორმა, **მაია რევიამ**, წელს დაწყებითი მესამე დონის (დ 3) რუსულის სახელმძღვანელო მოამზადა. მისი სახელმძღვანელოები, კარგა ხანია, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პოპულარობით სარგებლობს. დარწმუნებული ვარ, ასეთივე დადებითი რეზონანსი ექნება მის წლევანდელ სახელმძღვანელოს, რადგან ავტორი საოცარი სიზუსტით არგებს მოსწავლის მოტივაციის გაზრდას სახელმძღვანელოს შინაარსს, მეთოდოლოგიასა და ვიზუალურ მხარესაც კი – სახელმძღვანელოში შესულ ილუსტრაციებს, საგანმანათლებლო დანიშნულების გარდა, მხატვრული ღირებულებაც აქვს.

XI-XII კლასის ქიმიის პედაგოგებს კი ვურჩევთ, არჩევანი **ლია თევზაძის** (XI კლასი) და **ნუნუ ჯავახიშვილის** (XII კლასი) სახელმძღვანელოებზე შეაჩერონ. ახალი სტანდარტის მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით გამოცდილი ავტორები მოსწავლეებს მაღალი დონის სახელმძღვანელოებს სთავაზობენ.

**– გრიფირების გამკაცრებული კონკურსის პირობებში „დიოგენეს“ 13-მა ახალმა სახელმძღვანელომ მოიპოვა გრიფი. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლაც ხარისხიან სახელმძღვანელოებს აკეთებთ. ეს უფრო თვალსაჩინო გახდა იმ ფონზე, რომ წელს სახელმძღვანელოების თითქმის 40 პროცენტი ჩავარდა, ანუ დაწუნებული აღმოჩნდა. მაინც რას ეტყვით პედაგოგებს, რატომ უნდა აირჩიონ თქვენი სახელმძღვანელოები? და თუ გაგვიმხელთ, რამდენი სახელმძღვანელო წარადგინეთ წელს საკონკურსოდ?**

– გაგიმხელთ, რადგან ჩვენი სახელმძღვანელოების უმეტესმა ნაწილმა გრიფი მიიღო. წელს საკონკურსოდ წარვადგინეთ 18 სახელმძღვანელო და, როგორც გითხარით, 13-მა გრიფი მიიღო. თქვენ გრიფის მინიჭების წესის გამკაცრება ახსენეთ. დიახ, წესი მართლაც გამკაცრებულია. ადრე სახელმძღვანელოებს დროებითი გრიფი ენიჭებოდა, რაც საშუალებას გვაძლევდა, ერთი თვის განმავლობაში გვემუშავა და გაგვესწორებინა ხარვეზები. იშვიათად, რომ სახელმძღვანელოს გრიფი პირდაპირ მინიჭებოდა. გასულ წელს კი ეს წესი შეიცვალა: თითქმის ყველა სახელმძღვანელომ, რომელიც საკონკურსოდ შევიდა, გრიფი მიიღო, რამაც საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. წელს, ალბათ, სწორედ ეს გაითვალისწინა სამინისტრომ და გრიფირების კონკურსი გაამკაცრა – დაწესდა ქულობრივი ბარიერი – 70 ქულა. სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი გამომცემლობის სახელმძღვანელოების უმეტესობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

შარშან რეცენზიასაც არ გვაძლევდნენ, წელს რეცენზიები მოგვივიდა შენიშვნებით, მითითებებით. სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭების წესის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შეიძლება, აგვისტოში სახელმძღვანელოებს გრიფიც კი ჩამოერთვას.

1-ლ ივლისს ჩვენ გვექნება მიახლოებითი მონაცემები, თუ რომელი სახელმძღვანელოები აირჩიეს საქართველოს საჯარო სკოლების პედაგოგებმა. თუ ეს პროცესი მართლაც ობიექტურად წარიმართა, ვფიქრობთ, გამომცემლობების ინტერესები არ შეილახება.

სახელმძღვანელოებს საკმაოდ დიდი კონკურენციის პირობებში უწევთ დამკვიდრება. მაგალითად, წელს მეთერთმეტე კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის 5 ალტერნატიული სახელმძღვანელოა. შარშან 11 ალტერნატიული „დედაენა“ იყო. მოკლედ, დამეთანხმებით, რომ კონკურენცია საკმაოდ ძლიერია. თუმცა მაინც მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ჩვენი „ამომრჩეველი“ გვყავს და საკმაოდ დიდი რაოდენობითაც. ეს, ბუნებრივია, სახელმძღვანელოების სიკარგეზე მეტყველებს. ამიტომაც თამამად შემიძლია პედაგოგებს ვურჩიო, აირჩიონ ჩვენი სახელმძღვანელოები, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ იმედებს არ გავუმტყუნებთ. იმედია, „დიოგენეს“ სახელმძღვანელოები კიდევ უფრო პოპულარული გახდება.

*ესაუბრა*
***ლალი ჯელაძე***



















გამომცემლობა „დიოგენეს“ მისამართი:
თბილისი, კეკელიძის ქ. N6, III სართული. ტელ.: 967971, 956394

www.diogene.ge

მოსწავლე შემოქმედი

# „სატანა, დირიჟორი მსოფლიო ორკესტრის“

## მწერლობის ბედი ტოტალიტარულ სახელმწიფოში

21-ე საჯარო სკოლაში, უკვე 17 წელია, მუშაობს გურამ რამიშვილის სახელობის კაბინეტ-ლაბორატორია, რომელსაც პედაგოგი **რუსუდან მეგრელიშვილი** ხელმძღვანელობს. ლაბორატორიის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა პროექტი * „ცივილიზაციათა დიალოგი“.

X-XI-XII კლასის მოსწავლეები ყოველ წელს მართავენ კონფერენციას. საკონფერენციო დღეებში ისინი მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე წარმოადგენენ დამოუკიდებელ ნააზრევს სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილი ნაწარმოებების შესახებ, აგრეთვე აშუქებენ თემებს მშობლიური ლიტერატურიდან.

3-4 ივნისს, 21-ე სკოლაში, ამჯერადაც გაიმართა ტრადიციული კონფერენცია. იგი მრავალფეროვანი თემატიკით გამორჩეულია. გთავაზობთ XI კლასის მოსწავლის **ეკა კობიძის** თემას.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ: „თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი...“ 25 თებერვლის ამ სუსხიანი დილის შემდეგ დაიწყო კომპარტიის მიერ შექმნილი სისხლიანი ფურცლებით სავსე ტირანიის ისტორია, რომელიც ამოეფარა „იდეალური“ და „ჰარმონიული“ სახელმწიფოს სარჩულს. ამ სულელურ ფარსში კომპარტიას მწერლობის ჩათრევაც სურდა. ამ მიზნით დაიწყო მწერლობის მოთვინიერება და ქართული ყვავილების რუსული პურის ხორბლებად გადაქცევა. ცხადია, საბჭოთა პოლიტიკური სისტემა ხელსაყრელ პირობებს ვერ შექმნიდა მწერლობის სწორად განვითარებისათვის, რადგან მისი მიზანი მხოლოდ მონური მორჩილება იყო. სწორედ ამიტომ, 30-იანი წლების პოლიტიკურმა რეპრესიებმა სიტყვაკაზმული მწერლობა უმძიმეს ყოფაში ჩააგდო.

მოვუსმინოთ ამ მონიზმის ერთ-ორ ნიმუშს. მსმენელისა თუ მკითხველის ესთეტიკური ღირებულებების წინაშე ბოდიშს ვიხდი წინასწარ:

„ქალო, ნარინჯიანო, ჩითის კაბა გაცვია
ო, რა მარდად მუშაობს შენი მარჯვე ცაცია.“

რას იზამ, იმ ქვეყანაში, რომელშიც უმშვენიერეს ლექსებს უძღვნიდნენ პოეტები საკუთარ ქალბატონებს და მათ სახელს შეფარვით თუ იტყოდნენ, XX საუკუნეში ასეთი „შედევრები“ ეძღვნებათ მშრომელ ქალებს. ან:

„ახ, ტრაქტორო, მე შენს გამჩენს
ვენაცვალე ყელშია,
ღარიბობა, გლეხკაცობა
შენ გამართე წელშია.”

მიუხედავად ამისა, ამ პერიოდისთვის შეიქმნა მრავალი ლიტერატურული სკოლა, რომელთაგან აღსანიშნავია ე.წ. „აკადემიური ჯგუფი“, „ცისფერყანწელები“, „ფუტურისტები“ და სხვ. ეს სკოლები, რა თქმა უნდა, მიუღებელი და შეუფერებელი იყო საბჭოთა იდეოლოგიისათვის. სწორედ ამიტომ დაიწყო მათ წინააღმდეგ შეურიგებელი და სასტიკი ბრძოლა. უხეში, დაუსრულებელი კრიტიკა და თავდასხმები აუტანელ ატმოსფეროს ქმნიდა სამწერლო მოღვაწეობისათვის. ამას ემატებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობების დადგენილებები, რომელთა ძალითაც იკრძალებოდა მსგავსი სახის ლიტერატურული კავშირები და საერთოდ, თავისუფალი აზროვნება და წერა.

ყველაფერს კრძალავდნენ კომუნისტები. თითოეულ ნაწარმოებს, ფრაზასა თუ სიტყვას წნეხის ქვეშ ატარებდნენ, ხოლო მწერლების ჩიტივით თავისუფალ სულს კი გალიაში კეტავდნენ. თუმცა, მიუხედავად არახელსაყრელი ვითარებისა, არსებობდა ნამდვილი მწერლობა, ვაჟკაცური, უკომპრომისო სიტყვაც კი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ თქმული:

„არ ძინავს იმ შეჩვენებულს
ეს ოცი წელიწადია“

– წერდა გალაკტიონი და „გადამთიელ გადიას“ უწოდებდა თავსმოხვეულ რეჟიმს.

სწორედ ამ დროს, 20-30-იან წლებში შეიქმნა ქართული მწერლობის შედევრები: „ჰაკი აძბა“ (ლეო ქიაჩელი), „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ლამბალო და ყაშა“ (მიხეილ ჯავახიშვილი), „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“ (კონსტანტინე გამსახურდია). 20-იანი წლების ბოლოდან აგრძელებს მოღვაწეობას ქართული ლექსის ჯადოქარი – გალაკტიონ ტაბიძე. ამ დროისათვის ის ქმნის ქართული პოეზიის შედევრებს: „ქარი ქრის“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ეფემერა“, „პროლოგი 100 ლექსის“ და სხვა მრავალი.

„არის მანქანათა წყება
არის ავტო-მოტო-ველო
ყველაფერი არის მაგრამ
ეს არ არის საქართველო...“

ეს ლექსიც მის კალამს ეკუთვნის. პირადად ის გადაურჩა საბჭოურ რეპრესიებს, თუმცა... ცოლი დაუხვრიტეს. წარმოუდგენელია, ქართველ მამაკაცს უარესი რა უნდა უქნა?

შემდეგ კი იყო 1937 წლის რეპრესიები და დიდი დანაკარგი, რომელიც ამ რეპრესიების შედეგს წარმოადგენდა.

მწერლობა, თეატრი, მხატვრობა – ეს იყო ერთადერთი საბრძოლო ასპარეზი, სადაც ქართველები თავიანთ სათქმელს ამბობდნენ. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა სწორედ ამ სფეროებისთვის შეეტია. კომპარტიამ მიზნად დაისახა და უმთავრეს ამოცანად აქცია ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელების წინააღმდეგ ბრძოლა. საბჭოეთი ცდილობდა გაენადგურებინა და ჩაეკლა ქართველ მამულიშვილებში ეროვნული სული. ამ ყველაფერს ინტელიგენციის დიდი ნაწილი ვერ ეგუებოდა. 37 წლის რეპრესიებმა შეიწირეს პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, ნიკოლო მიწიშვილი და სხვა გამორჩეული მოღვაწეები. კომუნისტებმა მათ ე.წ. „აღიარებით“ ჩვენებებს თავი მოუყარეს და დოკუმენტებადაც გამოსცეს. ეს იყო მათთვის საამაყო დოკუმენტი, რომელიც ასახავდა ქართული ინტელიგენციის „მავნებლურ“, „შპიონურ“, „აგენტურ“ და „კონტრრევოლუციურ“ საქმიანობას. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოჩვენებითი იყო და ემსახურებოდა საზოგადოებისთვის თვალის ახვევას.

თუმცა დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, თუ რა სასტიკი წამების შემდეგ უხდებოდათ მათ აღიარებითი ჩვენების მიცემა, რომელიც სიმართლის ნატამალსაც კი არ შეიცავდა. კომუნისტები ადამიანებს იჭერდნენ და აპატიმრებდნენ აბსურდული ბრალდებების საფუძველზე, ხოლო შემდეგ დაუსრულებლად და უსასტიკესად აწამებდნენ მანამ, სანამ რაღაც კურიოზულ და სულელურ ჩვენებაზე ხელს არ მოაწერინებდნენ. ამ რაღაც სასაცილო „აღსარებით“ ჩვენებებში წერია, რომ ლიტერატურული გაერთიანებები, მათ შორის „ცისფერყანწელები“ ემსახურებოდნენ არა ქართული პოეზიისა და მწერლობის განვითარებას, არამედ იყვნენ „ფაშისტური და კონტრრევოლუციური“ ორგანიზაციები.

არსებობს შსს-ს საარქივო მასალები, სადაც აღწერილია საბჭოთა კავშირის წარმატებები და წინსვლა. რა თქმა უნდა, ამ მასალებში იმ ადამიანთა „მოღალატეობრივ“ და „დივერსიულ“ საქმეებზეცაა საუბარი, რომლებიც ვითომდა ძირს უთხრიდნენ საბჭოთა კავშირს. ამის არშეტანა შეუძლებელი იქნებოდა, იმიტომ რომ ეს მათთვის, ანუ კომუნისტებისათვის, საამაყო და „პატრიოტული“ საქმე იყო.

შსს-ს საარქივო სამმართველოს არქივში დაცული საქმის მიხედვით, ერთ-ერთი ასეთი დივერსანტი და აგენტი იყო მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. ის ჯერ დააპატიმრეს, ვითომდა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების გამო, შემდეგ სასტიკად აწამეს და მიიღეს მისი „აღიარებითი ჩვენება“, ხოლო ამის შემდეგ – დახვრიტეს. მისი ჩვენების შემდეგ კი ის იმდროინდელ მწერალთა შორის არსებული ფაშისტური დაჯგუფების ლიდერად მონათლეს. „აღიარებით ჩვენებაში“ ჯავახიშვილმა „მოკავშირეებიც“ დაასახელა – სოციალ-ფედერალისტი მესხიშვილი და მენშევიკი ნინიძე და სამოქმედო გეგმაც „გათქვა“.

რაღა თქმა უნდა, „ჩეკამ“ მიიღო მწერლისგან სასურველი ჩვენება და იგი 37 წელს დახვრიტეს. თუმცა მანამდე, ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საზარელ რეპრესიებს შეეწირა, იყო პაოლო იაშვილი. პოეტმა პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა, რითაც შეძრა მთელი ქართული ინტელიგენცია.

„ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, ყველას გვაჯობა!“ – თქვა მიხეილ ჯავახიშვილმა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ტიციანმა და პაოლომ ხელი მოაწერეს დადგენილებას, რომლის თანახმადაც გრიგოლ რობაქიძე ირიცხებოდა მწერალთა კავშირიდან. ამ ამბავმა დიდი სულიერი ტანჯვა მიაყენა მწერლებს, განსაკუთრებით კი პაოლოს. ამას ემატებოდა მუდმივი წნეხი და ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ამძიმებდა მის ყოფას. შედეგად ბოჰემური ცხოვრების მოტრფიალე და სიცოცხლეზე შეყვარებული მწერალი ბოლო წლებში საკუთარ თავში ჩაიკეტა და დაითრგუნა. საბოლოოდ კი პაოლომ აუტანელ ატმოსფეროს ველარ გაუძლო და თავი მოიკლა. ეს მოხდა მწერალთა კავშირის შენობაში ერთ-ერთი ყრილობის დროს. მოთმინებადაკარგული მწერალი შუა ყრილობიდან დემონსტრაციულად ადგა, გამოვიდა და საკუთარი სანადირო ორლულიანი თოფით თავი მოიკლა. ამბობენ, რომ მწერლის სისხლი დიდხანს ეტყობოდა მწერალთა კავშირის კედლებს.

„არა მხოლოდ ელვარე ნიჭის გამო, მე პაოლო იაშვილი იმ საბედისწერო გასროლისთვის მიყვარს, რადგან მისი ორლულიანი თოფიდან გამოვარდნილმა ცეცხლმა სიცოცხლეს აზრი მისცა, ღირსება შემატა და ჩვენ, მომდევნო თაობებსაც, შეგვიტრუსა წამწამები, არ მოგვასვენა და ჩვენს არჩევანზე, ამ სოფლად ადამიანად ყოფნის, ადამიანად დარჩენის უძნელეს აუცილებლობაზე დაგვაფიქრა“ – წლების შემდეგ წერდა მწერალი გურამ ასათიანი.

რა ბედი ეწია ტიციანს? ტიციანი დააპატიმრეს და მოსთხოვეს ისეთი წერილის დაწერა, სადაც პაოლოს კონტრრევოლუციურ და დისიდენტ მწერლად გამოიყვანდა. თუმცა ამის საპასუხოდ ტიციანისგან მათ ეს სიტყვები მიიღეს: „პაოლო ცოცხალი აღარ არის, რომ მე სილა გამაწნას“. როგორც ჩანს, ტიციანმა სიცოცხლეს ღირსება ამჯობინა. იგი ციმბირში გადაასახლეს და როგორც ამბობენ, ტრამალზე დატოვეს, რათა იქ ტანჯვაში მომკვდარიყო. სამწუხაროა ის, რომ დღეს ჩვენ მისი საფლავის ადგილსამყოფელიც არ ვიცით, რომ საკადრისი პატივი მივაგოთ ღირსეულ მწერალს.

თუმცა ბევრი გადაურჩა ამ სისხლიან რეპრესიებს და „აღიარებით“ ჩვენებებს. როგორ? მათ ღირსება მათხოვრად გადააქციეს და დაიწყეს ტრაქტორებზე, პურის ყანებზე და სხვა ათასგვარ უბედურებებზე ნაწარმოებების შეთხზვა, უღირსებო კაცი კი აქციეს გმირად, რომელიც თაობებისთვის მისაბაძი უნდა ყოფილიყო. ხოლო იდეალურ საბჭოთა მოქალაქედ აქციეს მამის დამბეზღებელი პავლიკა მოროზოვი და ამ ფაბულით იქმნებოდა მრავალი ნაწარმოები, რომლებსაც სასწავლო დაწესებულებებში ასწავლიდნენ მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს.

სანაცვლოდ კი სამადლოდ მიგდებული სიცოცხლე მიიღეს, რომელსაც ისევ სხვები მართავდნენ. თუმცა მათ არც შევადარებ დაღუპულ მწერლებს, მარტო იმიტომ, რომ მათ არ მიიღეს დაქირავებული პოეზიის ბორკილები და ამას სიკვდილი არჩიეს. ხოლო პარტიული მწერლები უმღერდნენ პარტიულ ლიტერატურას, რომელიც უსაშველოდ ერთფაროვანი და განუვითარებელი იყო, ვისი და როდის დაწერილი არ უნდა ყოფილიყო.

საბედნიეროდ, უვიცების და რეგვენების ბრძენობა დროებითი აღმოჩნდა. მათი ნაწარმოებები ჟანგმა შეჭამა და ისე გააქრო, თითქოს არც არსებობდა. ხოლო ის მწერლები, რომლებიც „წითელ ლიტერატურას“ დიდი მონდომებით უმღეროდნენ, სამუდამოდ შემორჩნენ ქართული მწერლობის შავ ლაქებად.

ახლა კი, იმის საილუსტრაციოდ, რომ ამ საშინელებათა გვერდით არსებობდა ნამდვილი, ნამუსიანი მწერლობა 2-3 პოეტურ ნაწარმოებს შეგახსენებთ.

ბუნებრივია, საბჭოური იდეოლოგია და წნეხის ქვეშ გატარებული მწერლობა არ იძლეოდა სათქმელის პირდაპირი გამოხატვის საფუძველს, ამიტომ ნამდვილი, მაღალ მუზებთან ზიარებული მწერლები უამრავ ალეგორიებსა და სიმბოლოებს მიმართავდნენ სათქმელის გადმოსაცემად.

ასე იწერება ტიციანის სიტყვები, რომელიც იმამ შამილისადმი, ცნობილი დაღესტნელი ბელადისა და გამათავისუფლებელი ბრძოლების ლიდერისადმი არის მიძღვნილი. შამილი მეფისდროინდელ რუსეთს ებრძოდა. იგი გმირია და ტიციანიც მის სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევს თავს. იგი „მიურიდი“, ანუ მოძღვრის – შამილის ერთგული და მისი მითითებების შემსრულებელია. დაკნინებულ, გამოფიტულ და იდეურად დამონებულ ქვეყანაში ტიციანი ერთადერთი მებრძოლია.

„...ვარ დაფრენილი ორბისგან გნოლი
და არ იკარებს გული სალავათს
ხევსურის ჯაჭვის ნაგლეჯი რგოლი
ერთი ვაცხადებ მარტო ჰაზავატს.
ვარ გათელილი ლეკის ნაბადი,
ყველა სახსარი მაქვს დალეწილი,
მაგრამ ვაჟკაცმა მხოლოდ გაბედე
და მეც ვაჟკაცის დამიდე წილი.
რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა
და კალმად კიდევ მინა რხეული
თუ ამ სიბრაზით გული გაგითბა,
თუ ამ ჟრუანტელს იგრძნობს სხეული...”

სხვა ლექსში კი „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“ ტიციანი წერს

„...დამშრალი თერგი ერთი წვეთია,
მაგრამ ზღვასავით გულზე გადიარს...“

თერგი ეროვნული ენერგიის, ქართველობის სიმბოლოა (იხ. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“) და რაც არ უნდა დამშრალი და ერთი წვეთი იყოს, ზღვა ენერგიის მომნიჭებელია პოეტისთვის, რომელსაც კვალდაკვალ დემონი მისდევს და:

„ვხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს
და რკინის ბაწარს, ყელზე რომ მომდებს.”

რკინის ბაწარი და გიგანტის მუსკულები მართლაც ბოროტი გიგანტის – საბჭოეთის სიმბოლოა და მიუხედავად იმისა, რომ პოეტს სურს, XII საუკუნის ვეფხვთან მებრძოლი რაინდი იყოს („...მინდა, რომ ვიყო მწირი გულადი, საშინელ ღამეს ვეფხვი რომ დაბდღვნა“), ის მაინც იწირება ყაჩაღებისგან:

„...მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,
შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი.“

რას ვიზამთ, ეპოქალური ბედისწერა ასეთია. თანამედროვე პოეტი ვერ არის რაინდი, რომელსაც მუზად „გიშრის ტბა და მინა რხეული“ ექნება. იგი „დემონოკრატული“ ეპოქის მსხვერპლია. ეს სიტყვა „დემონოკრატია“ გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის და ზუსტად ასახავს საბჭოთა ტოტალიტარიზმის ნამდვილ სახეს (იხ. გრ. რობაქიძის „მიმართვა ახალგაზრდებისადმი“).

საბჭოეთი დიდ საღორედ მოუაზრებია პაოლო იაშვილს ლექსში „მეღორის ლოცვა“:

„უფალო! უსმინე შავარდენს
მის ხელით გიგზავნი ბარათს,
მიშველე ღორებში ჩავარდნილს,
ღორებში დარჩენილს მარად...“

თავად კი ჩიტობას ნატრობს:

„ფიქრები სამწყემსო ღორებზე
ყოველდღე ცრემლებით მსჯიდა
უფალო, გალავნის ყორეზე
დამნიშნე ბეღურა ჩიტად.“

გალავნის ყორეზე შემომჯდარი ბეღურა პოეტის თავისუფალი სულის სიმბოლოა. თავად ბეღურაც საინტერესო ჩიტია. იგი ერთადერთია, რომელიც ერთგულია მშობლიური სახლისა და სამშობლოს ამჯობინებს პირად კომფორტს. პაოლოც ასე იყო: მიწის ეს ნაჭერი, სადაც ადამიანებად დადიოდნენ მისი წინაპრები, მისი სამშობლო იყო. სამშობლოს კი არ ირჩევენ. დრო და სიტუაცია არ ცვლის ადამიანის დამოკიდებულებას მშობელი მიწის მიმართ, ღორებით იქნება ის დასახლებული, თუ XII საუკუნის რაინდებით.

დაბოლოს, გალაკტიონით დავამთავრებ, რომლითაც, ალბათ, უნდა დამეწყო! ლექსს ჰქვია „სატანა, დირიჟორი მსოფლიო ორკესტრისა“. ბუნებრივია, ეს გალაკტიონის საპროტესტო ანტიბოლშევიკური ლექსია და სატანაში, ალბათ, თვით ტოტალიტარიზმის იდეა და ბელადთა გაერთიანებული სახეები იგულისხმება.

„მიწიდან თითქოს ალი ავარდა
და კაელიოც ზეცას ეხება,
უცებ სატანამ გაინავარდა
და შორი მეხი მეხს ეტეხება.
მიაქვთ ორკესტრი ძლიერად ორკეცს
ორატორიებს... მთაზე ატანა...
გრიალი გააქვს მსოფლიო ორკესტრს,
მას დირიჟორობს თვითონ სატანა.
უნდობელია მისი გენია,
არც შებრალება, არც შეცოდება,
ჯერ დედამიწას არ მოსმენია
მსოფლიოს ბაგეთ ასე გოდება.
ყოველ გულს ნამავს შხამიან ნესტრით,
სულს ხორციელის ეხება დანა,
გრგვინავს ორკესტრი, გრგვინავს ორკესტრი,
მას დირიჟორობს თვითონ სატანა.
პირველი, მძაფრი და შხამიანი,
სუსტი, შეუცნობ დედას და მამას
გოდებს წამებით ადამიანი,
ორკესტრი მარად იგლოვებს ამას.“

საბედნიეროდ, ეს ანტიჰუმანური, „წითელი საუკუნე“ წარსულს ჩაბარდა, ხოლო მისი მოგონება კი დარჩა კაცობრიობის გაფრთხილებად: ეს არ შეიძლება განმეორდეს!

C M Y K

მოსწავლე შემოქმედი

# მე და მშვიდობა



*„ეს წიგნი ჩვენი მოზარდების სამშვიდობო გზავნილია აფხაზი და ოსი თანატოლებისადმი, მომავალი მშვიდობიანი ურთიერთობების ერთობლივი განვითარებისათვის, რადგანაც მშვიდობა არის საწყისი სიკეთისა, სიყვარულისა, სტაბილურობისა, შენდობისა, ერთმანეთის თანადგომისა და ქვეყნის ძლიერებისა.*

*გზა დავულოცოთ მათ და ვუსურვოთ იყვნენ ლაღები, ოპტიმისტები, დამოუკიდებლები, კომუნიკაბელურები, საკუთარ ძალებში დარწმუნებულები და წარმატებულები ჩვენი ერისა და მამულის საკეთილდღეოდ“* – აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის, **დალი ხომერიკის** ეს სიყვარულით გამთბარი სიტყვები აქვს წამძღვარებული წინასიტყვაობაში აფახაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის ალმანახის „მე და მშვიდობა“ პირველ ნომერს, რომლის პრეზენტაცია სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გაიმართა პირველ ივნისს – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელიც აგრეთვე წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღეა.

შემოქმედებითი საღამო საეკლესიო საგალობლების ფონზე, ეკრანზე აფხაზეთის კადრების ჩვენებით დაიწყო.



პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. მან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან ჩამოსული შემოქმედი ბავშვები დალოცა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული კუთხის – სამცხე-ჯავახეთის სოფელ არლის ეკლესიის მოძღვრის, მამა იოსების პატრონაჟით ჩარგლიდან ჩამოვიდნენ მოზარდები. ისინი აფხაზ თანატოლებს შეხვდნენ და დაუმეგობრდნენ. აფხაზი ეროვნების ბავშვები შეხვდნენ პატრიარქს.

პროექტის მონაწილეთათვის მოეწყო ქართული მხატვრული ფილმის „გაღმა ნაპირი“ ჩვენება. მოზარდები ფილმის რეჟისორსა და მთავარი როლის შემსრულებელს შეხვდნენ.

ალმანახის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე **გია ბარამია**, შემოქმედ ბავშვთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი **ანდრო თორია**, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავა**, შემოქმედ ბავშვთა კავშირის წევრი **თამარ ინალიშვილი**, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელი **თორნიკე კვინიკაძე**.

**ლიკა თერზბამ** აფხაზურ ენაზე წაიკითხა ლექსი; საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მგალობელთა გუნდმა საეკლესიო საგალობლები შეასრულა. დარბაზში გაჟღერდა უწმინდესისა და უნეტარესის „ავე მარია“; შედგა სიმღერის „იმედი“ პრემიერა (მუსიკის ავტორი – **ია მაისაია**), სიმღერა შეასრულეს აფხაზეთის №2 სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა.

აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის აფხაზი, ოსი და მსოფლიოს თანატოლებისადმი სამშვიდობო მიმართვის ტექსტი კავშირის პრეზიდიუმის წევრმა **სალომე თავზარაშვილმა** წაიკითხა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის სამეცნიერო საბჭოს წევრები, სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორ-მასწავლებლები. პროექტი შეაჯამა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა და ზეიმის მონაწილეები დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებითა და წიგნებით დააჯილდოვა. აფხაზეთის ახალგაზრდებთან სამშვიდობო სფეროში გაწეული აქტიური საქმიანობისათვის მადლობის სიგელები გადაეცათ აფხაზეთიდან დევნილი საჯარო სკოლების პედაგოგებსა და სკოლის დირექტორებს.

***ნონა ბერაია***
*პროექტის ავტორი*



## ალმანახიდან „მე და მშვიდობა“

### მე დევი ვარ...

მე დევი ვარ. ზღაპრული დევი არ გეგონოთ. ოქუმელი ბიჭი ვარ, დევიზ დევიზის ძე ლაცუზბაია. ალბათ, მიხვდით, მამის სახელს ვატარებ. გეცოდინებათ, მამა ოქუმის მილიციის მაიორი იყო. საუბედუროდ, ახლა არ მყავს, 1998 წლის მაისს დამეღუპა, გალის ტრაგიკული მოვლენების დროს, სათანჯოს მთაზე აწამესო აფხაზმა სეპარატისტებმა. ეს ბოლო სიტყვა ჯერ არ ვიცი, გავიზრდები და ვისწავლი. ამისათვის მშვიდობა მინდა. როგორც ნერგს წყალი და მზე, სიყვარული და მშვიდობა მჭირდება გასაზრდელად, დასავაჟკაცებლად.

მამაზე გიყვებოდით, სამშობლოზე შეყვარებული მამა მყოლია. ძალიან განიცდიდა მამულის სატკივარსო, – მეუბნება დედა. ბოლო დროს ვაჟას „არწივის“ კითხვა დამჩემდაო, – ამბობდა თურმე. იქნებ, გული უგრძნობდა მამას, რომ დაჭრილი არწივის დარად დაიმარტოხელებდნენ ყვავ-ყორნები. მკერდი ტყვიებით დაცხრილული ჰქონდა, მკლავი მოჭრილიო. იმასაც ამბობენ, დაჭრილი მტერს არ ჩაბარდა, თავი მოიკლაო. ასე მამაცურად დალია სული მამაჩემმა მშობლიურ მიწაზე და აფხაზეთის მშვენიერ ცას შეეყინა მისი უკანასკნელი მზერა. ვინ არ იამაყებს ასეთი მამით? მეც მეამაყება და მუდამ ვცდილობ, ღირსეული შვილი ვიყო გმირი მამის.

ძალიან მიყვარს უნახავ მამასა და აფხაზეთზე ფიქრი!

დედაჩემის მოფერება მიყვარს. კიდევ მიყვარს ჩაქუჩი და ლურსმნები, ვჩხირკედელაობ. მაგრამ ყველაფერზე, ყველაფერზე მეტად მშვიდობა მიყვარს და მინდა, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა იყოს. შარშანდელმა აგვისტოს ომმა ძალიან შემაშინა. მე ხომ ომს არ მოვსწრებივარ. მხოლოდ მისი შედეგი ვიწვნიე: ობლობა, დევნილობა, მშობლიური კერის მონატრება, დედის ცრემლები. მძულს ომი!

...მე და დედა ქურდებივით მივიპარებით საკუთარ სახლში. როგორც ზღაპრებში ხდება: „ვიარეთ, ვიარეთ, გადავიარეთ მდინარე, ცხრა მთაც გადავიარეთ“, ტურა-მგლებს გადავურჩით და აფხაზეთის მიწაზე დავდგით ფეხი. მინდა, ვიყვირო: „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“, მაგრამ მტრის შიშით სიხარულს გულში ვიტევ და ჩუმად ვესალმები უნახავ მშობლიურ მხარეს.

გავიარეთ ჩემი ქალაქი გალი, აგერ ჩემი სოფელი ოქუმი! შინ ვარ! რა ლამაზი ყოფილა მამისეული სახლი! თურმე, რა ტკბილი სურნელება დგას მშობლიურ სახლში! რა კარგია, რომ შინ ვარ! რა თბილი ყოფილა მშობლიური კერა! ერთი კვირით ჩამოვედი. დავრბივარ! ვხარობ! ყველაფერს ვეფერები, ყველა მეფერება.

თბილისში „ხსოვნის წიგნი“ მაქვს. იქ მამაჩემზე წერია. იმ წიგნიდან ძალიან მომწონს და ზეპირად ვიცი ეს აბზაცი: მამაჩემი სოფელ ოქუმში ახლობლის სამგლოვიარო პროცესიას შეჰყოლია. მამის საფლავი და სახლ-კარი მოუნახულებია. დაბრუნება შეგვიანებია; აფხაზ მეგზურს თუ მეთვალყურეს თვალი მისი უბეგაბერილი მაისურისკენ გაქცევია. მამას შეუხსნია ღილები და უბიდან მშობლიურ ბაღში დამტვრეული პატარა ტოტები გადმოსცვენია. აფხაზი კაცი შემცბარა: თუ ასე გიყვარს აქაურობა, დაბრუნდი და იცხოვრეო!

მამა ვერ დაბრუნდა, მაგრამ მე აუცილებლად დავბრუნდები მშობლიურ მხარეში, დროებით კი არა, სამუდამოდ. მამაჩემის აგებულ სახლში ვიცხოვრებ და ავაჟრიამულებ იქაურობას.

...თბილისში მივდივარ და გული მწყდება ბევრ რამეზე, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. ჯერჯერობით აქ საშიშია ცხოვრება, დედას ეშინია, მე მიფრთხილდება. როცა შევრიგდებით ქართველები და აფხაზები, მაშინ საბოლოოდ დავბრუნდები. მჯერა, აუცილებლად შევრიგდებით. ჩვენ ბევრი აფხაზი ნათესავი გვყავს, არ შეიძლება ჩვენი მტრობა.

ნახვამდის, მშობლიურო სახლო! მომავალ შეხვედრამდე, აფხაზეთო!

***დევი ლაცუზბაია,***
***13 წლის***



დავით ელარჯია, 8 წლის



გოგა გოგუა, 9 წლის



სალომე საჯაია, 12 წლის

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

# ბავშვის განვითარების გავრცელებული დარღვევები



რუბრიკას უძღვება
საქართველოს
საზოგადოებრივი ჯანდაცვისა
და მედიცინის განვითარების
ფონდის ფსიქოლოგი
ქეთევან თავართქილაძე

*დასაწყისი იხ. №17-18, 20-21*

## ტიკები

ტიკი არის უნებლიე, მოკლე, განმეორებადი მოძრაობა. ტიკები ბავშვებს, ჩვეულებრივ, 5-11 წლის ასაკში აღენიშნებათ. ამასთან, 4-6-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება ბიჭებში, ვიდრე გოგონებში.

ტიკები არასოდეს აწუხებს ბავშვს ძილში. სამაგიეროდ, ტიკები ძლიერდება აღელვებისგან, აგზნებისგან; ისინი გავლენას არ ახდენენ ინტელექტუალურ უნარებზე, ჩვეულ სიტუაციებში ნაკლებად შესამჩნევია.

ხშირად ტიკები აღენიშნებათ ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებს. ტიკების ხშირი თანმხლებია დისგრაფია და დიზლექსია. გარდა ამისა, ტიკების მქონე ბავშვებისთვის ხშირად დამახასიათებელია აკვიატებული მოძრაობები, აზრები, სურვილები.

ტიკების გამომწვევი მიზეზები მრავალგვარია. ამიტომაც პროგნოზიც და მკურნალობაც ტიკების შემთხვევაში განსხვავებულია. ტიკების წარმოშობაში დიდ როლს ასრულებს გენეტიკური და იმუნური მექანიზმები, ორსულობისა და მშობიარობის პერიოდის პათოლოგია, აგრეთვე ფსიქოსოციალური ფაქტორები (არახელსაყრელი ოჯახური გარემო, ერთ-ერთ მშობელთან განშორება ოჯახის დაშლის გამო, ცუდი ურთიერთობები ბავშვების ჯგუფში) მაპროვოცირებელ ან გამაძლიერებელ როლს ასრულებენ. ზოგიერთ ბავშვთან დაავადება ჩნდება სკოლაში პირველი დღეების შემდეგ, სასკოლო ადაპტაციური სტრესის ფონზე („პირველი სექტემბრის ტიკები“).

სხვა სტრესულ სიტუაციებს შორის ხშირია ერთ-ერთ მშობელთან განშორება ოჯახის დაშლის შედეგად, აგრეთვე, მოულოდნელი შიშის ეპიზოდები. ზოგიერთ ბავშვს ტიკები ხანგრძლივი გონებრივი დატვირთვის შედეგად უჩნდება.

**გამომწვევი მიზეზების მიხედვით, ტიკები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად:**
- **ტრანზიტორული (წარმავალი);**
- **ნევროზული (ქრონიკული).**

**ტრანზიტორული (წარმავალი) ტიკები** – შიშით, სტრესით, დაძაბულობით გამოწვეული; იკურნება რამდენიმე კვირაში, მაქსიმუმ რამდენიმე თვეში. მკურნალობის შემდეგ უკვალოდ ქრება; შეადგენს ტიკების 10%-ს.

**რა ევალება მშობელს ტრანზიტორული ტიკების დროს?**
- ბავშვის ექიმთან მიყვანა;
- სახლში მშვიდი გარემოს შექმნა;
- არ გადატვირთოს ბავშვი გაძლიერებული მეცადინეობებით;
- თუ ტიკები გამოწვეულია სკოლაში კონფლიქტით, დაელაპარაკოს მასწავლებელს და შეეცადოს, მოაგვაროს სიტუაცია.

**ნევროზული (ქრონიკული) ტიკები** – ბავშვის სუსტი ნერვული სისტემით გამოწვეული (დედის მძიმე ორსულობის, რთული მშობიარობის, ასფიქსიით დაბადების, სიცოცხლის პირველ თვეებში გადატანილი დაავადებების გამო); ამ ნიადაგზე ნებისმიერმა გაციებამ ან გადაღლამ შეიძლება გამოიწვიოს ნევროზული ტიკი. მკურნალობა რთული და ხანგრძლივია. შეიძლება დროებით გაქრეს (ერთი თვით, ნახევარი წლით) და ისევ გაჩნდეს. გამწვავების პერიოდებია გაზაფხული და შემოდგომა. შეადგენს ტიკების 90%-ს.

ხშირად ნევროზული ტიკი რეალური მოვლენით იწყება: ბავშვს თვალზე ჯიბლიბო გამოუვიდა და ბავშვმა თვალების ხამხამი დაიწყო. შემდეგ ხამხამი დიდხანს რჩება ან ბავშვს ბრონქიტი ჰქონდა და სამი თვის შემდეგაც ხველას აგრძელებს, მაშინ როცა ანალიზები ნორმაშია.

**გამოვლენის ფორმის მიხედვით ტიკები შეიძლება იყოს:**
- მოტორული – თვალების ხამხამი, წარბების შეჭმუხვნა, თავის ქნევა ან თავის უკან გადაგდება;
- ვოკალური – ბგერების ან სიტყვების წამოსროლა, კოპროლალიები (აგრესიული, შეურაცხმყოფელი, სოციალურად არაადეკვატური სიტყვების ან ფრაზების წარმოთქმა);

მოტორული და ვოკალური ტიკების ერთობლიობას **ტურეტას სინდრომი** ეწოდება. ცნობილია, რომ მსგავსი ტიკი ჰქონდა მოცარტს.

**ტიკი შეიძლება იყოს:**
- ხამხამი;
- ლოყის, მხრის, ფეხის მოძრაობა;
- თვალების ატრიალება ზემოთ;
- აკვიატებული ხველა;
- აკვიატებული ყლაპვითი მოძრაობები;
- შუბლის შეჭმუხვნა;
- ხმაურიანი სუნთქვა;
- მუცლის შეწევა;
- ხელების განზე გაქნევა.

ბავშვი ხვდება, რომ ტიკები უჩვეულო და უხერხულია. ამის გამო მას ხშირად სცხვენია და ცდილობს, ხალხში თავი შეიკავოს, მაგრამ უდიდეს შინაგან დაძაბულობას გრძნობს, რომელიც ღლის. ტიკების კონტროლირების მცდელობა ყოველთვის ტიკების გაძლიერებით მთავრდება.

**რეკომენდაციები მშობლებისათვის – როგორ ვუმკურნალოთ**
- თუ ეჭვობთ, რომ ბავშვს ტიკი აქვს, აუცილებლად გაასინჯეთ ექიმს – ფსიქიატრს, ფსიქონევროლოგს ან ფსიქოთერაპევტს;
- თვალყური ადევნეთ, რომ ბავშვი ყოველთვის კარგად გამოძინებული იყოს;
- შეძლებისდაგვარად, გამორიცხეთ ბავშვისთვის უჩვეულო ან მოულოდნელი უარყოფითი და დადებითი გამაღიზიანებლები;
- მიზანშეწონილია დღის რეჟიმის დაცვა, რომელიც არ უნდა იყოს მკაცრი;
- იზრუნეთ ბავშვის სრულფასოვან დასვენებაზე გამოსასვლელ დღეებში;
- განსაკუთრებულად გაუფრთხილდით ბავშვის ნერვულ სისტემას მისი ავადმყოფობის შემდეგ (ბავშვი შეიძლება ფსიქოლოგიურად სუსტად იყოს უბრალო გაციების შემდეგ 2 კვირის განმავლობაში);
- არ განიხილოთ ბავშვთან მისი ტიკები. რაც უფრო მეტს ლაპარაკობთ ამაზე, ბავშვი მით უფრო ცუდად ხდება. ის თქვენგან დახმარებას ელოდება;
- მოარიდეთ ტელევიზორს, განსაკუთრებით ტელევიზორის ყურებას ოთახში ჩამქრალი შუქის დროს. მკვეთრი მოციმციმე შუქი თავის ტვინის ბიოელექტრული აქტივობის ცვლილების პროვოცირებას ახდენს. ამიტომ ტელეგადაცემების ყურება ტიკების მქონე ბავშვებისათვის მაქსიმალურად უნდა იყოს შეზღუდული 1-1,5 თვის განმავლობაში. ასეთივე შეზღუდვები ეხება კომპიუტერულ თამაშებს,
- ხშირად გაამხნევეთ ბავშვი, იზრუნეთ მისი თავდაჯერებულობის განმტკიცებაზე;
- არ უსაყვედუროთ ბავშვს ტიკების გამო. კარგად გააცნობიერეთ, რომ ტიკები უნებლიე ხასიათისაა და ბავშვს ტიკის შეკავება არ შეუძლია.

## ენურეზი

შარდის შეუკავებლობა, ანუ ენურეზი გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ბევრს შეუძლია წარმოიდგინოს. 16 წლის ასაკში, დაახლოებით, 500 000 ბავშვი რეგულარულად ისველებს საწოლში.

შარდის შეუკავებლობა დაავადების გამოვლინებას არ წარმოადგენს მხოლოდ 4-5 წლის ასაკამდე.

**ენურეზის სახეები:**
- **დღის ენურეზი** – შარდის შეუკავებლობა დღის განმავლობაში;
- **ღამის ენურეზი** – შარდის შეუკავებლობა ძილის დროს, რაც მეტად გავრცელებულია.

**გამომწვევი მიზეზების მიხედვით ენურეზის სახეებია:**

**პირველადი** ენურეზი – ვლინდება შარდის შეუკავებლობით ღამის განმავლობაში, ძილის დროს, როცა ბავშვი ვერ იღვიძებს შარდის ბუშტის გადავსების გამო; **მეორადი** ენურეზი – ჩნდება სხვადასხვა თანდაყოლილი და შეძენილი დაავადებების შედეგად და შეიძლება გამოვლინდეს ძილისაგან დამოუკიდებლად როგორც დღისით, ისე ღამით.

**ენურეზის მიზეზები:**
- ცენტრალური ნერვული სისტემისა და შარდის ბუშტის გარკვეული მოუმწიფებლობა. არასაკმარისადაა ფორმირებული ცენტრები, რომლებმაც უნდა აცნობონ ტვინს, რომ შარდის ბუშტი სავსეა და საჭიროა გაღვიძება. ბავშვის ზრდასთან ერთად ამ თავისებურების დაძლევა ხდება;
- სხვადასხვა დაავადებები – საშარდე გზების ინფექცია, დიაბეტი, თირკმლის დაავადებები. ამ შემთხვევაში, ენურეზს ადგილი აქვს როგორც დღისით, ისე ღამით;
- სტრესი, რომლის მიზეზი შეიძლება იყოს:
  - პრობლემები საბავშვო ბაღში;
  - პრობლემები სკოლაში;
  - გამოცდები;
  - პრობლემები ოჯახში;
  - მშობლებთან პირველი განშორება;
  - საცხოვრებლის გამოცვლა;
  - მშობლების განქორწინება;
  - და სხვ.

**ენურეზის მკურნალობა**

ენურეზის დიაგნოსტირება და მკურნალობა უნდა მოახდინოს უროლოგმა, ფსიქონევროლოგთან და ბავშვთა ფსიქოლოგთან თანამშრომლობით. ამასთან, სამკურნალო-დიაგნოსტიკური კომპლექსი სპეციალისტების მიერ განისაზღვრება ინდივიდუალურად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ შეიძლება თერაპიის პროცესში შარდის შეუკავებლობის შემთხვევები გახშირდეს.

**როგორ მოვიქცეთ?**

ღამის ენურეზი ბავშვისთვის ფსიქიკურად დამთრგუნველი პრობლემაა, რომელიც არასწორი მიდგომისას შეიძლება გამწვავდეს. ძნელი არაა წარმოვიდგინოთ, როგორ იტანჯება ბავშვი ამ ფაქტის დამალვით. ის ვერ მიემგზავრება ბანაკში, შეკრებებზე, რადგან ეშინია, რომ სხვა ბავშვები დასცინებენ. ყალიბდება შეკრული წრე, როცა დაავადება აუარესებს ბავშვის ფსიქიკურ მდგომარეობას, რის შედეგადაც ძირითადი პრობლემა კიდევ უფრო მწვავდება.

ღამის ენურეზი მთელი ოჯახის პრობლემაა. ზოგჯერ მშობლებს რცხვენიათ ბავშვის ამ პრობლემის გამო, საკუთარ თავს იდანაშაულებენ და მიაჩნიათ, რომ ბავშვი ამით სამაგიეროს უხდის მათ, ხშირად სჯიან ბავშვს ამისათვის. მათ ეშინიათ სახლიდან გამგზავრება, ბავშვის სხვასთან დატოვება, რაც ოჯახში ურთიერთდამოკიდებულებებს ართულებს.

**ნაბიჯები სპეციალისტებისათვის**

**ა) მშობლებს და ზოგჯერ ოჯახის სხვა წევრებს ვთავაზობთ, გამოთქვან თავიანთი განცდები ამ სიტუაციასთან დაკავშირებით.**

საქმე იმაშია, რომ ოჯახის ყოველ წევრს ბავშვის მიმართ, რომელიც ღამღამობით საწოლში ისველებს, გარკვეული გრძნობა უჩნდება. ამ გრძნობებმა აღნიშნულ პროცესზე შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ და შეიძლება – არა. აუცილებელია, რომ ამ გრძნობებმა გამოსავალი იპოვონ და ისინი სხვებმა მოისმინონ.

ზოგი მშობელი მოთმინებას იჩენს და ბავშვის ამ პრობლემას გაგებით ეკიდება, ზოგი მკაცრად სჯის, ზოგი – დასცინის, ზოგი ყურადღებას არ აქცევს. ამასთან დაკავშირებით ყოველ მათგანს განსხვავებული გრძნობები უჩნდება: მოუსვენრობა, სირცხვილი, დანაშაულის გრძნობა, შფოთვა, იმედგაცრუება, სასოწარკვეთა, რისხვა. უმეტესად ამ გრძნობების სხვებთან უშუალო გაზიარება კი არ ხდება, არამედ – რაიმე სხვა გზებით გამოვლენა.

მნიშვნელოვანია, რომ, თუმცა შარდის შეუკავებლობა დათრგუნული გრძნობების რომელიმე სხვა გზით გამოხატვის შეუძლებლობასთანაა დაკავშირებული, არც ერთ ბავშვს საწოლში ჩასველების ცნობიერი სურვილი არა აქვს. თუმცა, ზოგიერთ მშობელს მიაჩნია, რომ ბავშვი ამას ცნობიერად აკეთებს, რათა მშობლებმა თავიანთ საწოლში გადაიყვანონ. აუცილებელია ყველა ამ გრძნობის განხილვა და გაანალიზება.

**ბ) შევეცადოთ, ამა თუ იმ სხეულებრივ ფუნქციაზე, მათ შორის ღამით შარდის შეუკავებლობაზე, პასუხისმგებლობა თვითონ ბავშვს დავაკისროთ.**

ეს ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ბავშვს ვეუბნებით:

*„შენ და მხოლოდ შენ უნდა იზრუნო საკუთარ თავზე და სწორედ შენ უნდა გააკეთო ეს და არა ვინმე სხვამ. შენ უნდა იზრუნო იმაზე, რომ რაც გემართება, ის შეწყდეს“.*

მნიშვნელოვანია, მშობლებმა შეიგნონ: ეს არ არის არც ბავშვის და არც მათი ბრალი. შეიძლება ბავშვმა თავისი პიჟამას, ტრუსების გამოცვლა, ზეწრის გარეცხვა ისწავლოს. ამგვარ არჩევანზე პასუხისმგებლობა მშობლებმა უნდა აიღონ. თუ ბავშვი ძალიან პატარაა, მან შეიძლება დახმარება ითხოვოს. მშობლებმა უნდა გაითავისონ, რომ შარდის შეუკავებლობა ის პრობლემა არაა, რომლის გადაჭრა დასჯისა და შექების გზითაა შესაძლებელი. შექებას სარგებლობა არ მოაქვს, როცა ბავშვი არ ჩაისველებს ისევე, როგორც დასჯას არ მოაქვს შედეგი, როცა ბავშვი ჩაისველებს. ჩვენ ხომ არ ვაქებთ ბავშვს იმისათვის, რომ მას თავი არ სტკივა და არ ვუწოდებთ იდიოტს, თუკი თავი სტკივა.

**გ) დავეხმაროთ ბავშვს სრულყოფილად შეიგრძნოს ფიზიკური სიმპტომები, გამოიკვლიოს საკუთარი სხეული და შარდის შეუკავებლობა.**

ბავშვს რვეულს ვაძლევთ, რომელშიც შარდის შეუკავებლობის შემთხვევათა რეგისტრაცია უნდა მოახდინოს. ეს მას ეხმარება, უკეთ გააცნობიეროს და გაიგოს, რას აკეთებს. საინტერესოა, რომ როცა ბავშვი არასასურველი ქცევების რეგისტრირებას ახდენს, მათი რიცხვი ავტომატურად მცირდება.

ასევე, ბავშვს ვთხოვთ, ამ რვეულში თავისი გრძნობები ჩაწეროს, – რას განიცდის, როცა სველ საწოლში იღვიძებს. შეიძლება, ასევე, ვთხოვოთ, ეს გრძნობები დახატოს. ამ დროს შეიძლება დაფარული, დათრგუნული გრძნობები ამოტივტივდეს.

საკუთარი სხეულის უკეთ შესაცნობად ჩავუტაროთ მედიტაცია, სხეულის ფლობის ვარჯიშები. სხეულის შეცნობას, საკუთარ სხეულზე და მოძრაობებზე კონტროლის უნარს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**დ) დავეხმაროთ ბავშვს, შარდის შეუკავებლობასთან და მისი ცხოვრების სხვა ასპექტებთან დაკავშირებული გრძნობები გაგვიზიაროს, უფრო მისაღები საშუალებებით შეძლოს იმის გამოხატვა, რის გამოხატვაც მისთვის აუცილებელია.**

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხშირად ბავშვი ჩასველებას მაშინაც კი აგრძელებს, როცა საწყისი მიზეზი, ნამდვილი ან წარმოსახული მოვლენები, რომლებმაც შარდის შეუკავებლობა გამოიწვიეს, უკვე აღარ არსებობს. ორგანიზმმა უკვე გამოიმუშავა გარკვეული სტერეოტიპი და მისი გადაწყობისათვის, გარდაქმნისათვის საკმარისი სტიმული არ მიიღო.

შარდის შეუკავებლობა მოგვარდება, როცა ბავშვი საკუთარი თავის კონტროლირებას დაიწყებს და თავისი გრძნობების გამოხატვის ახალ საშუალებებს იპოვის.

**რეკომენდაციები მშობლებისათვის:**
- კარგად გააცნობიერეთ, რომ ეს არ არის ბავშვის ბრალი. ბავშვი ბევრად უფრო მწვავედ განიცდის ამას, ვიდრე თქვენ;
- არავითარ შემთხვევაში არ ეჩხუბოთ, არ უყვიროთ, არ უსაყვედუროთ ბავშვს;
- შეეცადეთ, რომ ძილის წინ ბავშვმა ბევრი სითხე არ მიიღოს;
- მოარიდეთ კოფეინის შემცველ სასმელებს;
- მიაჩვიეთ ძილის წინ ტუალეტში შესვლას;
- მოიფიქრეთ „წახალისების“ სისტემა, თუკი ღამე „მშრალად“ ჩაივლის;
- გამოიყენეთ კარგი დამცავი საშუალებები საწოლისა და დივანისათვის, რათა ბავშვის ენურეზმა არ შეგაწუხოთ ავეჯის გამო;
- მონაწილეობა მიაღებინეთ თეთრეულის გამოცვლის პროცესში, რათა ბავშვი თქვენი დამხმარეს როლში აღმოჩნდეს და არა – დამნაშავის.

**გაგრძელება იქნება**

# პროფესიული უნარების ტესტი – ზოგადი აღწერა

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო პროფესიული უნარების ტესტი ეყრდნობა **მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. ტესტში შესულია 27 დავალება.** ტესტის მაქსიმალური ქულა 70-ია. გამსვლელი ქულა მაქსიმალური ქულის 60%-ია (სერტიფიკატის მისაღებად აპლიკანტმა 70-დან 42 ქულა მაინც უნდა დააგროვოს).

**ტესტის სტრუქტურა:** პროფესიული უნარების ტესტი შედგება სამი ნაწილისაგან:

**(1) სასწავლო გარემო** – აფასებს იმას, თუ რამდენად შეუძლია მასწავლებელს სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვა და წარმართვა, მოსწავლეთა მოტივირება, კლასში ჯანსაღი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა და ა.შ. ტესტის ამ ნაწილში სულ 15 დავალებაა, მაქსიმალური ქულაა 46 (ტესტის ეს ნაწილი მოიცავს მაქსიმალური ქულის დაახლოებით 65%-ს);

**(2) განვითარებისა და სწავლის თეორიები** – აფასებს იმას, თუ რამდენად იცნობს მასწავლებელი ბავშვის ასაკობრივი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვის განვითარებაზე. ამასთან, როგორ იყენებს პედაგოგი ამ ცოდნას სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში. ტესტის ამ ნაწილში სულ 10 დავალებაა, მაქსიმალური ქულაა 14 (ტესტის ეს ნაწილი მოიცავს მაქსიმალური ქულის დაახლოებით 20%-ს);

**(3) პროფესიული გარემო** – ამოწმებს იმას, თუ რამდენად იცნობს მასწავლებელი მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტს და შეუძლია თუ არა მათი პრაქტიკაში გამოყენება ***(ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ საგამოცდო პროგრამაში მნიშვნელოვნად არის შემცირებული იმ სამართლებრივი აქტების რაოდენობა, რომელთა ცოდნაც თქვენ მოგეთხოვებათ მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტით).*** ტესტის ამ ნაწილში სულ 2 დავალებაა, მაქსიმალური ქულაა 10 (ტესტის ეს ნაწილი მოიცავს მაქსიმალური ქულის დაახლოებით 15%-ს);

ტესტში შედის ხუთი განსხვავებული ტიპის დავალება: არჩევითპასუხიანი დავალება, შესაბამისობის დავალება, დავალება ღია დაბოლოებით, ე.წ. სიმულაციური დავალება, დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“.

არჩევითპასუხიანი და შესაბამისობის დავალებები ფასდება 1 ქულით. ასევე 1 ქულით ფასდება თითოეული კითხვის პასუხი დავალებაში – „ჭეშმარიტია-მცდარია“. ღია დავალებებს კი სხვადასხვა *წონა* აქვთ – ტესტში თითოეული ღია დავალების ნომრის გასწვრივ მითითებულია ამ დავალების მაქსიმალური ქულა.

თვალსაჩინოებისათვის ტესტის სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით.

| | სასწავლო გარემო | განვითარებისა და სწავლის თეორიები | პროფესიული გარემო |
|---|---|---|---|
| არჩევითპასუხიანი დავალება | **10 დავალება** (მაქსიმალური ქულა – 10; 1 დავალება – 1 ქულა) | **7 დავალება** (მაქსიმალური ქულა – 7; 1 დავალება – 1 ქულა) | |
| შესაბამისობის დავალება | **1 დავალება** (1 ქულა) | **1 დავალება** (1 ქულა) | |
| დავალება ღია დაბოლოებით | **3 დავალება** (მაქსიმალური ქულა – 4, 5, და 6, სულ – 15 ქულა) | **2 დავალება** (მაქსიმალური ქულა – 3 და 3, სულ – 6 ქულა) | |
| სიმულაციური დავალება – „საქაღალდე“ | **1 დავალება** (ხუთი საკითხი, თითოეული ფასდება 4 ქულით) | | |
| დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“ | | | **2 დავალება** (თითოეული დავალება მოიცავს 5 კითხვას. მაქსიმალური ქულა – 10) |

## 1. ღია დაბოლოებიანი დავალებები

### დავალების ნიმუში

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, რაც უფრო ნიჭიერია ბავშვი, მით უფრო ადვილია მასთან სასწავლო პროცესის წარმართვა. თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პედაგოგებს უჭირთ ისეთი კლასის მართვა, სადაც განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები არიან.

– **აღწერეთ ორი სირთულე,** რომლებმაც შეიძლება იჩინოს თავი, როცა კლასში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეა

– აღწერეთ პედაგოგის ორი აქტივობა, რომლებიც ხელს შეუწყობს თქვენ მიერ დასახელებული სირთულეების დაძლევას.

*ჩაწერეთ:*

| |
|---|
| 1. სირთულე: |
| დაძლევის გზა: |
| |
| 2. სირთულე: |
| დაძლევის გზა: |

### რეკომენდაციები ღია დავალებების შესასრულებლად:

**ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა. დააკვირდით, რა ფაქტები ან პრობლემებია მოცემული დავალებაში, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა უპასუხოთ შეკითხვას.**

ჩვეულებრივ, ამგვარ დავალებაში დასმულია საკითხი, რომელიც ეხება პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნას ან პედაგოგიური საქმიანობის სხვა საკვანძო საკითხებს. დავალების პირობის წაკითხვის შემდეგ გაეცანით თანდართულ შეკითხვას/შეკითხვებს, ყურადღება მიაქციეთ *კონკრეტულ მითითებებს*, რომლებიც აზუსტებს დავალების შეკითხვას: *რა მიმართულებით უნდა წარმართოთ მსჯელობა, რა კომპონენტებს უნდა მოიცავდეს თქვენი პასუხი, რამდენი არგუმენტის მოყვანაა საჭირო თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად, მოგეთხოვებათ თუ არა კონკრეტული მაგალითების მოყვანა და ა.შ.* დავალებაზე მუშაობისას იხელმძღვანელეთ თანდართული მითითებებით და შეეცადეთ, უპასუხოთ თითოეულ მათგანს.

**ნუ გაცდებით დავალების პირობას, ან კითხვაში მოცემულ საკითხს. ქულა იწერება კონკრეტულ პასუხებში და არა ზოგად მსჯელობაში.**

ყურადღება მიაქციეთ ზოგიერთ დავალებაში მოცემულ ხაზგასმულ და გამუქებულ ფრაზებს. დავალების შეკითხვა, ან თანდართული კონკრეტული მითითებები, ხაზგასმული და გამუქებული ფრაზები, დაგეხმარებათ დავალების პირობის სრულყოფილად გააზრებასა და მსჯელობის სწორი მიმართულებით წარმართვაში. ტესტში შეგიძლიათ მონიშნოთ საკვანძო სიტყვები და ფრაზები, რომლებიც დაგეხმარებათ პასუხის გაცემისას ყურადღება გაამახვილოთ დავალების *არსებით, ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტებზე. თქვენი პასუხი უნდა იყოს ლაკონიური, არ გასცდეს კონკრეტული დავალების ფარგლებს. შეეცადეთ, თავი აარიდოთ მოცემული საკითხის გარშემო ზოგად მსჯელობებსა და შეფასებებს.*

**უპასუხეთ შეკითხვის ყველა ნაწილს.**

ყურადღება მიაქციეთ, რამდენი საკითხის განხილვას ითხოვს თქვენგან დავალება. პასუხი მაქსიმალური ქულით ფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი პასუხობს ყველა კითხვას/მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალება. მოცემულია საკითხის გააზრებული, სრულყოფილი და ადეკვატური ანალიზი, ან/და პასუხიდან ჩანს აპლიკანტის უნარი ადეკვატურად გადაწყვიტოს დასმული პრობლემა. ***გახსოვდეთ,*** თუ დავალების პირობა მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ორი გზის აღწერას, შეფასდება პრობლემის გადასაჭრელად თქვენ მიერ შემოთავაზებული მხოლოდ პირველი ორი აქტივობა. მესამე ან მეტი აქტივობის აღწერის შემთხვევაში დამატებითი ქულები არ იწერება.

**სასურველია, თქვენმა ნაწერმა შეავსოს პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი.**

თითოეულ დავალებას ტესტის ბუკლეტსა და პასუხების ფურცელზე აქვს გამოყოფილი არე პასუხის ჩასაწერად. ტესტის ბუკლეტში თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ პასუხის გეგმა ან სრულყოფილი პასუხი. **მაგრამ გახსოვდეთ, რომ სწორდება არა ტესტის ბუკლეტი, არამედ *პასუხების ფურცელი.*** ყურადღება მიაქციეთ, რა მოცულობის არეა გამოყოფილი პასუხების ფურცელზე კონკრეტული დავალებისთვის, რაც დაგეხმარებათ განსაზღვროთ, თუ რა მოცულობის ტექსტით უნდა უპასუხოთ დავალებაში მოცემულ მითითებებს. პასუხების ფურცელზე კონკრეტული დავალებისათვის განკუთვნილი ადგილი (შესაბამისი მოცულობის ტექსტი) საკმარისია იმ პასუხისათვის, რომელსაც კონკრეტული დავალება მოითხოვს. *ნუ გადაიტანთ პასუხების ფურცელზე დავალებაში დასმული პრობლემის შესახებ ზოგად, არაარსებით მსჯელობას.* პასუხების ფურცელზე გამოყოფილი არე საკმარისია დასმულ საკითხზე კონკრეტული, ამომწურავი მსჯელობისათვის. *შეეცადეთ, რომ თქვენმა ნაწერმა შეავსოს პასუხისათვის გამოყოფილი შესაბამისი არე და არ გასცდეს მას (შეიძლება თქვენ ძალიან მოკლედ, მაგრამ ადეკვატურად უპასუხოთ კითხვას. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ყურადღება არ ექცევა, შევსებულია თუ არა პასუხისათვის გათვალისწინებული ადგილი. ცხადია, აპლიკანტის შეფასება დამოკიდებულია პასუხის შინაარსზე და არა მოცულობაზე. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ პასუხისთვის გამოყოფილი ადგილი ოპტიმალურია არგუმენტირებული მსჯელობისათვის).* გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ტექსტის ის ნაწილი, რომელიც პასუხისთვის სპეციალურად გამოყოფილ არეს გასცდება.

**ღია დავალებების შეფასება სპეციალური რუბრიკების საშუალებით ხდება. გაეცანით შეფასების სქემის თანდართულ ნიმუშს. ის დაგეხმარებათ მკაფიო წარმოდგენა შეიქმნათ, როგორ ფასდება ღია დავალებები.**

პროფესიული უნარების ტესტში მოცემული ღია დავალებების მაქსიმალური ქულა შეიძლება იყოს **3, 4, 5 ან 6**. ტესტში თითოეული „ღია“ დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა, რითაც ფასდება სრული, ადეკვატური და ამომწურავი პასუხი; იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის პასუხი ნაწილობრივ აკმაყოფილებს დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ნაწერი უფრო დაბალი ქულით ფასდება.

**ღია დავალებების შეფასების სქემის ნიმუში**

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | **პასუხში ჩანს საკითხის სრულყოფილი ცოდნა და/ან პრობლემის მაღალპროფესიულ დონეზე გადაწყვეტის უნარი. პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა კითხვას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა.**<br>▪ პასუხი სრულად შეესაბამება მოცემულ საკითხს, დავალების პირობა სწორად არის გააზრებული;<br>▪ აპლიკანტი ზედმიწევნით კარგად იყენებს შესაბამის ცოდნასა და უნარებს; პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი/ან პრობლემის ადეკვატური გადაწყვეტის უნარი;<br>▪ პასუხი გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებითა და/ან ადეკვატური მაგალითებით. |
| 2 | **პასუხში ჩანს საკითხის ზოგადი ცოდნა და/ან პრობლემის გადაწყვეტის უნარი.** აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და ნაკლებად დეტალური.<br>▪ პასუხი შეესაბამება მოცემულ საკითხს, თუმცა დავალების პირობა არ არის სრულყოფილად გააზრებული, პასუხი ზოგადია.<br>▪ ნაწერში ჩანს, რომ აპლიკანტი კარგად იყენებს შესაბამის ცოდნასა და უნარებს; მოცემულია საკითხის ზოგადი, მაგრამ ადეკვატური ანალიზი.<br>▪ პასუხში წარმოდგენილია ზოგიერთი არგუმენტი და/ან არგუმენტის გასამყარებელი ნიმუში/მაგალითი. |
| 1 | **პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი (არასრულფასოვანი) ცოდნა და/ან აპლიკანტის უნარი ნაწილობრივ მაინც გადაჭრას დასმული პრობლემა.**<br>**პასუხი სქემატურია, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული.** აპლიკანტი არ განიხილავს პირობაში მოცემული საკითხის ზოგიერთ კრიტიკულ, მნიშვნელოვან ელემენტს, პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემას. ნაწერი მხოლოდ მინიშნებებს ან ვარაუდებს მოიცავს. თუმცა ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის ან შეუძლია გადაწყვიტოს პირობაში დასმული ერთი მნიშვნელოვანი საკითხი/პრობლემა მაინც.<br>▪ დავალების პირობა ნაწილობრივ არის გააზრებული – ნაწერი ნაწილობრივ შეესაბამება მოცემულ საკითხს – არის ისეთი ჩანართები და გადახვევები, რომლებიც მოცემული საკითხის გააზრებისათვის შინაარსობრივად არ არის ადეკვატური/აკლია დავალების პირობის რომელიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი (მაგალითად, გამოკვეთილია პოზიცია, მაგრამ დასაბუთებული არ არის) ან დაშვებულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა.<br>▪ პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს არასრულყოფილი (ნაწილობრივი) ცოდნა; წარმოდგენილია პირობაში მოცემული ერთი საკითხის დამაკმაყოფილებელი ანალიზი, პირობაში მოცემული რომელიმე საკითხი არ არის განხილული, ან განხილულია მხოლოდ ზედაპირულად.<br>▪ პასუხში წარმოდგენილია აპლიკანტის მოსაზრების გასამყარებელი შეუსაბამო/არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი არგუმენტები. |
| 0 | **პასუხი არაადეკვატურია, თუ აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს.** პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია მოცემული, რაც მიუთითებს/დაგვარწმუნებს, რომ აპლიკანტს ესმის დასმული პრობლემა და აქვს გარკვეული ცოდნა საკითხის შესახებ.<br>▪ დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.<br>▪ პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები.<br>▪ პირობა არ არის გაანალიზებული და/ან მოყვანილია უფუნქციო მაგალითები.<br>▪ პასუხში წარმოდგენილია არაადეკვატური მაგალითები ან ბუნდოვანი/არასწორი არგუმენტები<br>**** პასუხი შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი კალიგრაფიით, რათა გამსწორებელს არ შეექმნას პრობლემა ნაშრომის შეფასებისას.*** |

→ 8

# პროფესიული უნარების ტესტი – ზოგადი აღწერა

## 2. სიმულაციური დავალება – „საქაღალდე“

ამ ტიპის დავალება განსხვავებული ფორმატისაა და რეალური სიტუაციის სიმულაციას გულისხმობს. დავალების პირობა სხვადასხვა სახის ინფორმაციას მოიცავს და აპლიკანტისაგან სიტუაციის კომპლექსურ შეფასებასა და პრობლემის გადასაჭრელად გარკვეული აქტივობების დაგეგმვას მოითხოვს. ერთი მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს რამდენიმე ღია დავალების ერთობლიობაა, რადგან თითოეული საკითხი, რომელიც დავალებაშია დასმული, შეიძლება დამოუკიდებელ პრობლემადაც იქნეს განხილული. თუმცა, სიმულაციური დავალების მთავარი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აპლიკანტის წინაშე წამოჭრილი პრობლემები ერთ კონტექსტშია წარმოდგენილი და იმითაა მნიშვნელოვანი, რომ შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ, თუ როგორ გაართმევს თავს მასწავლებელი მის წინაშე კომპლექსურად წამოჭრილ პრობლემებს და რა გზებს აირჩევს მათ დასაძლევად.

**სიმულაციური დავალების ნიმუში**

**დავალების ინსტრუქცია**

დავალება პირობითად ორი ნაწილისაგან შედგება: ერთ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია პედაგოგის შესახებ, მეორეში – დოკუმენტაცია *(წერილები, საბუთები, ჩანაწერები)*, რომელიც წარმოდგენას შეგიქმნით პედაგოგის წინაშე წამოჭრილ პრობლემებზე.

***ყურადღებით გაეცანით ინფორმაციას პედაგოგის შესახებ და წარმოიდგინეთ თავი მის ადგილას.***

**ინფორმაცია თქვენ შესახებ:**

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ერთი წელია, მენტორის ხელმძღვანელობით მუშაობთ ერთ-ერთ საჯარო სკოლაში.

სკოლის დირექტორის დავალებით, შუა სასწავლო წლიდან თქვენ ხანგრძლივი დროით უნდა შეცვალოთ მერვე კლასის მასწავლებელი, თამარ მაისურაძე, რომელიც გარკვეული მიზეზის გამო ველარ ახერხებს სკოლაში მუშაობას.

**სიტუაცია:**

წარმოიდგინეთ, დღეს 15 ნოემბერია, ორშაბათი. სკოლაში გადმოგცეს თამარ მაისურაძის საქაღალდე დოკუმენტებითა და თქვენთვის განკუთვნილი წერილით.

**ამოცანა:**

ყურადღებით გაეცანით ამოცანის პირობას, წერილსა და თანდართულ დოკუმენტაციას. მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თქვენ გევალებათ: (1). მასწავლებლის წინაშე წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი; (2). პრობლემების გადასაჭრელად კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა.

გახსოვდეთ,
<u>მნიშვნელოვანია საქაღალდეში წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის გამოყენება.</u>

### მასალები საქაღალდიდან

**დოკუმენტი 1 – თამარ მაისურაძის წერილი თქვენთვის**

დიდი მადლობა, რომ დათანხმდით ჩემ ნაცვლად გაკვეთილების ჩატარებას. ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე თქვენთან შეხვედრა და კლასის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდება, მაგრამ კარგი ბავშვები არიან და, ვფიქრობ, არ გაგიჭირდებათ მათთან მუშაობა. ჩვეულებრივი კლასია – მაღალი, საშუალო და დაბალი მოსწრების მქონე ბავშვებით. არც დისციპლინის დარღვევით გამოირჩევიან განსაკუთრებით. მხოლოდ ერთი მოსწავლეა – დათო გიორგაძე, რომელიც ძალიან ცელქია და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ხშირად იძულებული გავმხდარვარ გაკვეთილიდან დამეთხოვა, რადგან სხვაგვარად მისი გაჩერება შეუძლებელი იყო. ამის შესახებ წინასწარ გაფრთხილებთ, რადგან იგი ყველა პედაგოგს უქმნის პრობლემებს გაკვეთილის წარმართვაში. საქაღალდეში დევს ფსიქოლოგის დასკვნაც.

გულწრფელად მიხარია, რომ სწორედ თქვენ უნდა გაუძღვეთ სასწავლო პროცესს ჩემს კლასში და ვიმედოვნებ, თქვენი მუშაობა ძალიან წარმატებული იქნება.

პატივისცემით,
თამარ მაისურაძე

**დოკუმენტი 2 – ელენე დოლიძის მშობლის წერილი**

To: Tamar@gmail.com
From: Dolidze@gmail.com

ქ-ნო თამარ,

ჩემი შვილი ძალიან მორიდებულია. გაკვეთილი ყოველთვის მომზადებული აქვს, მაგრამ ხელს მაინც არ იწევს იმიტომ, რომ რცხვენია. ამაზე ძალიან ვდარდობ. იქნებ ხშირად მისცეთ ცოდნის გამომჟღავნების საშუალება, ან გოგონასთან გადასვათ. არ ვიცი, თქვენ უკეთ გეცოდინებათ. ოღონდ როგორმე დაეხმარეთ ჩემს შვილს.

წინასწარ გიხდით მადლობას,
პატივისცემით, ქეთევან დოლიძე

**დოკუმენტი 3 – ფსიქოლოგის დასკვნა**

მოსწავლის სახელი და გვარი: **დავით გიორგაძე**
კლასი: **მე-8**
ზოგადი დახასიათება:

**ინტელექტუალური თავისებურებები:** დათო გიორგაძის ინტელექტუალური განვითარების მაჩვენებლები ასაკობრივი ნორმის ფარგლებშია. მას არ უჭირს დასწავლა, თუმცა უჭირს ყურადღების კონცენტრირება. ადვილად ითვისებს მასალას, თუ მოახერხებს საკითხზე ფოკუსირებასა და მობილიზებას.

**ნებელობითი საკითხები, ქცევითი კომპონენტები:** დათო გიორგაძე ჰიპერაქტიური მოსწავლეა. იგი ვერ ახერხებს გაკვეთილის ბოლომდე ერთ ადგილას მშვიდად ჯდომას, იმპულსურია და ვერ ასრულებს დაწყებულ მოქმედებას/დავალებას, უჭირს ყურადღების დიდი ხნით კონცენტრირება ერთ საკითხზე. დათო ვერ ახერხებს მოქმედების დაგეგმვას, არ ფიქრობს საკუთარი ქცევის შედეგებზე.

ჰიპერაქტიური და უყურადღებო ბავშვის გაკვეთილზე ქცევის მართვა განსაკუთრებული სტრატეგიების გამოყენებას საჭიროებს. ასეთი მოსწავლე, როგორც წესი, არ რეაგირებს ზოგადი ხასიათის შენიშვნებზე და საჭიროებს მკაფიო მითითებების მიცემას, მისი მოქმედების გარედან დაგეგმვასა და მიუღებელ ქცევაზე უშუალო რეაგირებას.

**დოკუმენტი 4 – ირაკლი ვახტანგაძის მშობლის წერილი**

ქ-ნო თამარ,

მოგმართავთ ირაკლი ვახტანგაძის მშობელი. გუშინ გავიგე, რომ ირაკლი გაკვეთილზე დისციპლინის დარღვევის გამო დასაჯეთ და შემდეგ შაბათს დაგეგმილ ექსკურსიაზე არ მიგყავთ. გასაგებია, რომ შუშა ჩატეხა, მაგრამ მიმაჩნია, რომ თქვენი სასჯელი ზომაზე მეტად მკაცრია. ბავშვი ძალიან ნანობს და განიცდის. მართალია, ირაკლი ცოტა ცელქია, მაგრამ არ მგონია, ასეთ ზედმეტად მკაცრ მოპყრობას იმსახურებდეს.

მიჭირს თქვენთვის ამ წერილის მოწერა, მაგრამ შეშფოთებული ვარ იმის გამო, რომ ბავშვს ძალიან უნდა თანაკლასელებთან ერთად ექსკურსიაზე წასვლა, თქვენ კი დასჯილი გყავთ.

პატივისცემით, ნინო ვახტანგაძე

მოცემულ მასალაზე დაყრდნობით თქვენ გევალებათ **(1)** პრობლემების განსაზღვრა და ანალიზი და **(2)** მათი დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

**(1) პრობლემის განსაზღვრა და ანალიზი**

საქაღალდეში მოცემული დოკუმენტების საფუძველზე განსაზღვრეთ და გააანალიზეთ პრობლემები, ახსენით: (ა)თითოეული პრობლემის გამომწვევი მიზეზი და (ბ) რა შეიძლება მოჰყვეს მას შედეგად.

** პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, კონკრეტულად რა საკითხს ან ვის უკავშირდება პრობლემა. თქვენ გევალებათ პრობლემის არსის განსაზღვრა (რა პრობლემაა, რამ გამოიწვია ის და რა შეიძლება მოჰყვეს შედეგად).*

**(2) პრობლემის დაძლევის გზების აღწერა და დასაბუთება**

აღწერეთ თქვენ მიერ გამოვლენილი თითოეული პრობლემის დაძლევის გზა. დაასაბუთეთ, რა დადებითი ეფექტი ექნება პრობლემის დაძლევის თქვენ მიერ შემოთავაზებულ გზას.

** გაითვალისწინეთ, რომ უნდა აღწეროთ პედაგოგის* ***კონკრეტული*** აქტივობა, რომელიც მოაგვარებდა პრობლემას.

**მოცემულ მასალაზე დაყრდნობით გაიაზრეთ პრობლემები და აღწერეთ მათი დაძლევის გზები.**

**** პასუხების ფურცლის შევსებისას თითოეული პრობლემა და მისი გადაჭრის გზა დაწერეთ შესაბამისი რიგითი ნომრის გასწვრივ.***

✍ *ჩაწერეთ:*

| |
|---|
| 1. დავით გიორგაძის პრობლემა/ანალიზი |
| დაძლევის გზა |
| |
| 2. ელენე დოლიძის პრობლემა/ანალიზი |
| დაძლევის გზა |
| |
| 3. ირაკლი ვახტანგაძის პრობლემა/ანალიზი |
| დაძლევის გზა |
| |

**რეკომენდაციები**

**სიმულაციური დავალების შესრულებისას შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ ღია დაბოლოებიანი დავალებებისათვის მოცემული რეკომენდაციებით** (იხ. გვ. 7).

**სიმულაციური დავალების წარმოდგენილი ნიმუში** მოიცავს ოთხ დოკუმენტს, განსახილველ პრობლემათა რაოდენობა კი სამია. **გაითვალისწინეთ,** რომ ზოგ შემთხვევაში ერთი პრობლემის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ორ ან მეტ დოკუმენტში (მაგ., მოცემულ ნიმუშში დავით გიორგაძის პრობლემა – დოკუმენტი 1, დოკუმენტი 3).

**სასერტიფიკაციო ტესტში** სიმულაციური დავალება ექვსი დოკუმენტისაგან შედგება. განსახილველ პრობლემათა რაოდენობა ხუთია. პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, კონკრეტულად რა საკითხს ან ვის უკავშირდება პრობლემა. პედაგოგის პასუხი (თითოეული პრობლემის ანალიზი და დაძლევის გზა) ფასდება 4 ქულით. მაქსიმალური ქულით შეფასდება ნაწერი, რომელიც ადეკვატური, სრულყოფილი და არგუმენტირებულია (4 ქულა – იდენტიფიცირებულია ყველა პრობლემა, ადეკვატურადაა გაანალიზებული პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მისი შესაძლო უარყოფითი შედეგები, შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზები და მათი დადებითი ეფექტი. შეფასება ხდება რუბრიკებით, ღია დავალებების შეფასების ანალოგიური პრინციპით (იხ. ღია დავალების შეფასების სქემა, გვ. 7). სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტში წარმოდგენილი სიმულაციური დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

## 3. დავალებები არჩევითი პასუხით

დავალებები არჩევითი პასუხით შედგება მოცემულობის, პირობის ან კითხვისა და სავარაუდო პასუხებისაგან. პროფესიული უნარების ტესტში ამგვარ დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, სადაც ***სწორია მხოლოდ ერთი პასუხი.*** ეს დავალებები ფასდება 1 ქულით.

**რეკომენდაციები არჩევითპასუხიანი დავალებების შესასრულებლად:**

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალების **პირობა.**
- მონიშნეთ საკვანძო სიტყვები და ფრაზები დავალებაში.
- ყურადღებით წაიკითხეთ **შეკითხვა.**
- უპასუხეთ შეკითხვას მანამ, სანამ სავარაუდო პასუხებს წაიკითხავთ. ეს დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ დაბნეულობა.
- დავალებებს უპასუხეთ მხოლოდ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოცემულია პირობაში.
- აუცილებლად წაიკითხეთ **პასუხის ყველა ვარიანტი,** ვიდრე სწორ ვარიანტს შეარჩევდეთ. შესაძლოა, სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში იყოს ორი მსგავსი ვარიანტი, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთია სწორი.
- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ სიტყვებს, რომლებიც გამუქებული ან გახაზულია.. მაგ: „ჩამოთვლილთაგან რომელი ***არ არის“, „ყველაზე ადეკვატური“*** და ა. შ.
- ყურადღება მიაქციეთ შეკითხვებს, რომლებშიც არის სიტყვები: **„ყველაზე ნაკლებად, გარდა“** ასეთი შეკითხვები მაშინ დაისმება, როცა ჩამონათვალში ყველა პასუხი სწორია, გარდა ერთისა.

**გაითვალისწინეთ, რომ რეკომენდაციები 1-3 ზოგადი ხასიათისაა, ისინი სხვა ტიპის ტესტურ დავალებებზე მუშაობის დროსაც გამოგადგებათ.**

**დავალების ნიმუში**

კოლბერგის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი ორი ფაქტორი უდევს საფუძვლად ადამიანის მორალურ განვითარებას:

**I.** მისი გენეტიკა _ თანდაყოლილი უნარები და განვითარებისადმი მზაობა.
**II.** სოციალური გარემო, რომელშიც იგი ვითარდება და კანონმორჩილება.
**III.** ფიქრი და მსჯელობა სხვადასხვა მორალურ საკითხზე.
**IV.** დასჯა – დაჯილდოების სახით მიღებული უკუკავშირი.

ა) I და II;
ბ) III და IV;
გ) II და III;
დ) I და IV

→ 9

# პროფესიული უნარების ტესტი – ზოგადი აღწერა

**დავალების ნიმუში**

ქვემოთ მოცემულია გაკვეთილის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. გაეცანით ორივე მათგანს და შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად.

დაწყებითი კლასის მასწავლებელმა შენიშნა, რომ რამდენიმე პირველკლასელის აზრით – *„საგანი რაც უფო დიდია, მით უფრო მძიმეა“.*

**მიზანი**: მოსწავლეებისათვის საგნის მოცულობასა და წონას შორის მიმართების ახსნა. **აქტივობა:** მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა მაგიდაზე მოცულობის კლების მიხედვით მოთავსებული საგნების (როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები) დალაგება წონის ზრდის მიხედვით.



**აღწერილი აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად**:

ა) ადეკვატურია, რადგან ამ ასაკში ბავშვებს შეუძლიათ გაიაზრონ და გადაჭრან ჰიპოთეტური პრობლემები.

ბ) არ არის ადეკვატური, რადგან ამ ასაკში მოსწავლეს, თვალსაჩინოების მიუხედავად, მაინც გაუჭირდება მოცულობასა და წონას შორის მიმართებების დადგენა.

გ) ადეკვატურია, რადგან ამ ასაკში მოსწავლეს შეუძლია თვალსაჩინოების დახმარებით ცოდნა საკუთარი აღმოჩენების საფუძველზე ააგოს.

დ) არ არის ადეკვატური, რადგან ამ ასაკში ბავშვს შეუძლია განზოგადებული ცნებებით ოპერირება და თუ მიმართებებს კარგად ახსნის, პედაგოგი მიზანს ისედაც მიაღწევს.

## 4. შესაბამისობის დავალებები

შესაბამისობის დავალება ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა (მოვლენები, ფრაზები...), მეორე სვეტში სავარაუდო პასუხები (ტერმინები, ცნებები, ავტორები...). აპლიკანტს ევალება სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს შეუსაბამოს. ასეთი ტიპის დავალებებში დასაშვებია:

- მეორე (პასუხების) სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთ-ერთი **პასუხი იყოს სწორი** პირველ სვეტში მოცემული ორი პირობისათვის (ორი პირობა, ერთი სწორი პასუხი)
- ალტერნატივებიდან რომელიმე სავარაუდო პასუხი არ შეესაბამებოდეს არც ერთ მსჯელობას I სვეტიდან.
- ერთ-ერთი სვეტში ჩამონათვალი იყოს ერთით ნაკლები.

**დავალების ნიმუში**

მოსწავლეებს სწავლის განსხვავებული სტილი აქვთ. ზოგი უკეთესად იგებს და იმახსოვრებს ვიზუალურად მიწოდებულ ინფორმაციას, ზოგი წერის დროს უკეთესად იგებს და იაზრებს ახალ მასალას და ა. შ. ყურადღებით წაიკითხეთ A სვეტში მოსწავლეების შესახებ მოცემული ინფორმაცია და შეუსაბამეთ B სვეტში მოცემულ სწავლის სტილს.

| ინფორმაცია მოსწავლის შესახებ (A) | სწავლის სტილი (B) |
|---|---|
| (I) გიორგიმ მასწავლებელს საკმაოდ კარგად უპასუხა, მაგრამ შედარებით დაბალი შეფასება მიიღო. მასწავლებელმა ეს ასე აუხსნა: „სახლში არ წაგიკითხავს, რაც აქ მოისმინე – ის მოყევი“. გიორგი: „რა ვქნა, მასწ, თქვენ ისე კარგად ყვებით, მაშინვე მამახსოვრდება...“ | ა. სწავლა შეხებით |
| (II) მარის აკადემიური მიღწევები ბოლო პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა და მშობელთა კრებაზე კლასის დამრიგებელმა ხაზგასმით აღნიშნა ეს ამბავი. მარის დედამ კმაყოფილებით ჩაილაპარაკა: „ვურჩიე, მეცადინეობისას მნიშვნელოვანი საკითხები ამოეწერა და დამიჯერა...“ | ბ. სწავლა კეთებით |
| (III) დათოს ძალიან უჭირს მოქმედებები წილადებსა და ათწილადებზე. ამის გამო საკონტროლოში ორიანი მიიღო. გიგამ ქურთუკის ჯიბიდან მანდარინი ამოიღო და დათოს მიაწოდა. „ეს არის ერთი მანდარინი. დაანაწილე ლებნებად. აი, შეხედე, 16 ლებანია. ე. ი. ერთი ლებანი მანდარინის 1/16-ია. 8 ცალი რომ ავიღოთ, მანდარინის ნახევარი გამოვა“. სახლში დაბრუნებულმა დათომ თავისუფლად ამოხსნა დავალება წილადებზე. | გ. სწავლა კითხვით |
| | დ. სწავლა მოსმენით |
| | ე. სწავლა წერით |

** დასაშვებია B სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთ-ერთი პასუხი იყოს სწორი A სვეტში მოცემული ორი პირობისათვის.*

***ჩაწერეთ:***

| ინფორმაცია მოსწავლის შესახებ (A) | I | II | III |
|---|---|---|---|
| სწავლის სტილი (B) | | | |

**რეკომენდაციები შესაბამისობის დავალებების შესასრულებლად:**

- ყურადღებით წაიკითხეთ I სვეტში მოცემული მსჯელობები.
- მონიშნეთ ის მსჯელობა/ფაქტი, რომელიც თქვენთვის ნაცნობია.
- ყურადღებით წაიკითხეთ II სვეტში მოცემული სავარაუდო პასუხის ალტერნატივები.
- პირველ რიგში მონიშნეთ ის შესაბამისობა, რომლის სისწორეშიც დარწმუნებული ხართ (დავალებაზე მუშაობისას შეიძლება გამოიყენოთ ისრები შესაბამისობის აღსანიშნავად). საბოლოოდ, სწორი პასუხი უნდა შემოიხაზოს პასუხების ვარიანტებში.
- აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. არ დაგავიწყდეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

## 5. დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“

ამ ტიპის დავალება აპლიკანტისაგან მოითხოვს მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის განსაზღვრას/დადგენას.

არ დაგავიწყდეთ, რომ ინსტრუქციის მიხედვით, გევალებათ თქვენ მიერ მცდარად შეფასებული მსჯელობა **ჩაწეროთ სწორი ფორმით.**

***რეკომენდაციები „ჭეშმარიტია/მცდარია“ ტიპის დავალებების შესასრულებლად:***

- ყურადღებით წაიკითხეთ დებულებები, რომელთა ჭეშმარიტობა/მცდარობაც უნდა შეაფასოთ.
- დააკვირდით სავარაუდო პასუხებში მოცემულ სიტყვებს. ***ყველა, მხოლოდ, არასოდეს და ყოველთვის*** – ამ ტიპის დავალებები უმეტესად მცდარია. ***როგორც წესი, ხშირად, ჩვეულებრივ, და ხანდახან*** – უმეტეს შემთხვევაში ჭეშმარიტია.
- ჭეშმარიტი მსჯელობის ყველა ფრაზა ჭეშმარიტი უნდა იყოს. თუ დებულების რომელიმე ნაწილი მცდარია, მაშინ მთლიანი დებულებაც მცდარია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწილი ჭეშმარიტია.
- თუ დებულება მცდარია, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ის უნდა ჩაიწეროს კორექტული ფორმით.
- თუ დებულება მცდარია და აპლიკანტი ადეკვატურად მოიუთითებს პასუხს *„მცდარია“*, მაგრამ არ ჩაწერს იმას, თუ რა ფორმით იქნებოდა დებულება ჭეშმარიტი, იგი ვერ მიიღებს ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას.
- ყოველ კონკრეტულ დებულებაზე პასუხის გაცემის დროს მონიშნეთ მხოლოდ ერთი მოცემული ორი („ჭეშმარიტია“, „მცდარია“) ვარიანტიდან;
- სწორი პასუხის (კომენტარის) დაწერის დროს გამოყენებული არგუმენტები უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ მოქმედ კანონმდებლობას და მიუთითებდეს იმ შეუსაბამობებზე, რომლებიც არის მოცემულ დებულებაში, და არა ზოგადად აპლიკანტის შეფასებებზე და მის პირად გამოცდილებასა თუ შეხედულებებზე;
- კორექტული პასუხის დაწერის დროს აპლიკანტს არ მოეთხოვება აღნიშნული კანონის შესაბამისი მუხლების ან კონკრეტული პუნქტების ციტირება. სრულიად საკმარისია, აპლიკანტმა გამოავლინოს, რომ მისთვის ცნობილი და გასაგებია კანონის შესაბამისი ნაწილი.

**დავალების ნიმუში**

ყურადღებით გაეცანით ქვემოთ აღწერილ სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების სისწორის შესახებ. თუ მიგაჩნიათ, რომ დებულება მცდარია, საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას მიუთითეთ სწორი პასუხი.

***ერთ-ერთ საჯარო სკოლაში საკმაოდ დაძაბული ფსიქოლოგიური კლიმატი შეიქმნა. კოლექტივის ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა დირექტორის ზოგიერთი გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით, რის გამოც ხშირი იყო კონფლიქტი როგორც კოლექტივის წევრებსა და დირექტორს შორის, ისე დირექტორის მხარდამჭერ და მათთან დაპირისპირებულ პედაგოგებს შორის. ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ დაპირისპირებულმა პედაგოგებმა მოაწყვეს გაფიცვა, ამის გამო სკოლაში სასწავლო პროცესი ფაქტობრივად ჩაიშალა. გაფიცულმა პედაგოგებმა შეიტყვეს, რომ დირექტორმა მათ ხელფასიდან დაუქვითა გაფიცვის გამო გაცდენილი დღეების ანაზღაურება და რომ ყველა დათხოვნილია სამსახურიდან სასწავლო პროცესის ჩაშლისა და უკანონო გაფიცვის გამო.***

1.1. დირექტორის ქმედება (ხელფასის დაქვითვა) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო ხელფასის დაქვითვა გაფიცვის პროცესში შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

_______________________________________________

1.2. დირექტორის ქმედება (მასწავლებლების დათხოვნა სამსახურიდან) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო სამსახურიდან დათხოვნის მუქარა ან თავად ფაქტი შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

_______________________________________________

1.3. განთავისუფლებულ პედაგოგებს დირექტორის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში.

*ჭეშმარიტია* ☐ *მცდარია* ☐

_______________________________________________

# პროფესიული უნარები

## საგამოცდო პროგრამა

### I. განვითარებისა და სწავლის თეორიები – (დაახლოებით 15%-20%)

მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარებაზე და მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად მათი გამოყენების ხერხები.

სწავლის ძირითადი თეორიები, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად მათი გამოყენების ხერხები.

| განვითარებისა და სწავლის თეორიები | |
|---|---|
| **კონსტრუქტივიზმი** | ძირითადი პოსტულატები |
| **ბიჰევიორიზმი** | ძირითადი პოსტულატები |
| **კოგნიტური განვითარების თეორია** | ძირითადი პოსტულატები |
| **სოციალური დასწავლის თეორა** | ძირითადი პოსტულატები |
| **სოციო-კულტურული თეორია** | ძირითადი პოსტულატები |
| **მორალური განვითარების თეორია** | ძირითადი პოსტულატები |
| **ჰუმანისტური თეორია** | ძირითადი პოსტულატები |
| **მრავალმხრივი ინტელექტის თეორია** | ძირითადი პოსტულატები |
| **განწყობის თეორია** | ძირითადი პოსტულატები |

### ავტორები

**ჟან პიაჟე –** *კოგნიტური განვითარების თეორია.*

- კოგნიტური სქემები; კოგნიტური სქემების ფორმირება:
  - ასიმილაცია,
  - აკომოდაცია,
  - კოგნიტური წონასწორობა (ექვილიბრიცია)
- განვითარების სტადიები და მათი თავისებურებები:
  - სენსომოტორული სტადია
  - ოპერაციამდელი სტადია
  - კონკრეტული ოპერაციების სტადია
  - ფორმალური ოპერაციების სტადია

**ლევ ვიგოტსკი –** *განვითარების სოციალურ-კულტურული თეორია*

- განვითარების სოციალური და კულტურული ფაქტორები.
- ბავშვის კოგნიტური განვითარება – განვითარების აქტუალური ზონა, განვითარების უახლოესი ზონა.
- ბავშვის განვითარების ხელშეწყობა – მოსწავლის უახლოესი განვითარების ზონის აქტუალური განვითარების ზონად გარდაქმნის ხელშეწყობა.

**ლორენს კოლბერგი –** *მორალური განვითარების თეორია.*

- კოლბერგის მორალური განვითარების ძირითადი დონეები:
  - პრეკონვენციური
  - კონვენციური
  - პოსტკონვენციური
- მოსწავლეთა მორალური განვითარების დონის დადგენა.
- მოსწავლეთა მორალური განვითარების ხელშეწყობა.

**ალბერტ ბანდურა –** *სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია*

- სოციალური ფაქტორების როლი სწავლისა და სწავლების პროცესში.
- სოციალური მოდელირება.
  - დაკვირვებით სწავლისათვის აუცილებელი ფაქტორები (ყურადღება, დამახსოვრება, გამეორება, მოტივაცია).
  - მოდელის თვისებები.

**ბერას ფ. სკინერი –** *ოპერანტული განპირობებულობის თეორია*

- სკინერი თეორიის ძირითადი პოსტულატები.
- ოპერანტული განპირობებულობა.
- პოზიტიური და ნეგატიური განმამტკიცებელი სტიმულები.
- მოტივირების ბიჰევიორისტული ფორმები.

**აბრაჰამ მასლოუ –** *მოთხოვნილების იერარქიული თეორია.*

- მოთხოვნილებათა იერარქია.
- თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.

**დიმიტრი უზნაძე –** *განწყობის თეორია*

- ფუნქციონალური ტენდენცია.
- ადამიანის ქცევის ფორმათა კლასიფიკაცია:
  - ინტეროგენული.
  - ექსტეროგენული.
- სწავლა-როგორც ქცევის განსაკუთრებული ფორმა;
  - თამაშით სწავლა.
- აღზრდის ძირითადი ტრაგედია.

**დევიდ პერკინსი –** *განათლების თეორია:*

- ადამიანის მეტაკოგნიტური განვითარება.
- თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.

**ჰოვარდ გარდნერი –** *მრავალმხრივი ინტელექტის თეორია.*

- გარდნერის ინტელექტის ძირითადი ტიპები.
- თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.

**ჯერომ ბრუნერი –** *აღმოჩენებით სწავლის თეორია*

- ფაქტორები, რომელიც განაპირობებს აღმოჩენებით სწავლის ეფექტურობას:
  - განწყობა,
  - სწავლისადმი მზაობა,
  - სწავლის მრაფალფეროვნება,
- ცოდნის აგებისა და ორგანიზების თეორია (სპირალური კურიკულუმი).
- თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.

**ჯონ დიუი –** *სწავლა გამოცდილებით*

- დიუის თეორიის ძირითადი პოსტულატები.
- თეორიის გამოყენება მოსწავლის სწავლისა და სწავლების ხელშესაწყობად.

**კარლ როჯერსი –** *ჰუმანისტური მიდგომა და სწავლა გამოცდილებით.*

- გამოცდილებით სწავლების ძირითადი პრინციპები.
- მასწავლებელი, როგორც ფასილიტატორი (ხელის შემწყობი).

**ბენჯამინ ბლუმი –** *განათლების მიზნების ტაქსონომია*

- განათლების მიზნების ტაქსონომია.
- კოგნიტური აქტივობების 6 განსხვავებული დონე
  - ცოდნა, - ანალიზი,
  - გაგება, - სინთეზი,
  - გამოყენება, - შეფასება.

**მარია მონტესორი -** *მონტესორის სკოლა*

- მონტესორის სწავლების ძირითადი მეთოდები.

### II. სწავლება და შეფასება (დაახლოებით 60%-65%)

#### 1. სასწავლო გარემო

1.1. ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებებურების გათვალისწინებით.

1.2. ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და პრინციპები.

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა:
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები
  - განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები
- ინდივიდუალური მიდგომები და სასწავლო გეგმები.
- მულტიკულტურული და მულტილინგვისტური მიდგომები.

1.3. თითოეული მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობა:

- ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბება
- კონფლიქტის პრევენცია, კონფლიქტის კონსტრუქციული მოგვარება
- მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება
- დამოუკიდებელი აზრის თავისუფლად გამოხატვა

1.4. სასწავლო ფიზიკური გარემოს მოწყობა ეფექტური სწავლებისათვის მიზნის მისაღწევად:

- სასწავლო რესურსების, ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მიზნების ადეკვატურად
- სასწავლო მიზნის და სწავლების მეთოდის ადეკვატური ფიზიკური გარემო

1.5 კლასის მართვის სტილი:

- დემოკრატიული
- ავტორიტარული
- ქაოსური

1.6. დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება.

1.7. მოსწავლეთა ქცევის მართვა ჯგუფებში, წყვილებში, დისკუსიის დროს.

1.8. მოსწავლეებისთვის საკუთარი ქცევის შეფასების, თვითმართვის უნარის ჩამოყალიბება.

1.9. მოსწავლეთა ქცევის წესების შემუშავება.

**2. მოტივაცია და კომუნიკაცია**

2.1. შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.

2.2. მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები.

2.3. მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით მოტივაციის სტრატეგიის შერჩევა.

2.4. კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად.

- ვერბალური კომუნიკაცია
- არავერბალური კომუნიკაცია
- აქტიური მოსმენა

2.5. მოსწავლეების კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

2.6. მოსწავლეებთან კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბება მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად.

2.7. კითხვის დასმის სტრატეგიები.

**3. სასწავლო პროცესი**

3.1 სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მიზნების შესაბამისად.

3.2. გაკვეთილის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო მიზნების შესაბამისად.

3.3. გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ასპექტები:

- სასწავლო მიზნები
- მოსწავლეთა შესაძლებლობები
- დროის განაწილება
- სასწავლო რესურსები

3.4. მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენის დროს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება.

3.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და გამოყენება.

**4. შეფასების მეთოდები**

4.1. შეფასების მიზნები.

4.2. შეფასების ტიპები:

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება
- მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება

4.3. შეფასების მეთოდები:

- ტესტირება
- მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი
- მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება

4.4. შეფასების სქემების შექმნა და გამოყენება.

4.5. შეფასების ძირითადი პრინციპები: სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა

4.6. შეფასების შედეგების გამოყენება:

- მოსწავლეთა სწავლის ხელშესაწყობად
- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის

**5. სწავლების სტრატეგია და მეთოდები**

5.1. სწავლების სტრატეგიების ეფექტური დაგეგმვა, გამოყენება და შეფასება; საკლასო ორგანიზაციის მოდელები:

- საერთო საკლასო მუშაობა
- ინდივიდუალური მუშაობა
- ჯგუფური მუშაობა
- დისკუსია
- პრეზენტაცია
- როლური მეთოდი

5.2. მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- სააზროვნო პროცესის ხელშემწყობი სტრატეგიები
- პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარების ხელშეწყობა
- როლური თამაშები/სიმულაციები

5.3. სოციალური უნარების განვითარებისა და კლასში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

## II. პროფესიული გარემო

(დაახლოებით 60%-65%)

| | |
|---|---|
| **1. კოლეგებთან ურთიერთობა** | 1.1 მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობის მიზნით კოლეგებთან თანამშრომლობა.<br>1.2. ახალბედა პედაგოგისთვის გამოცდილების გაზიარება.<br>1.3. საზოგადოებასთან ურთიერთობა:<br>- სასწავლო რესურსების მოძიება |
| **2. თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა** | 2.1. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა<br>2.2. მოსწავლეთა შეფასების შედეგების გამოყენება თვითშეფასების მიზნით:<br>- საკუთარი პრაქტიკის კვლევა<br>- კოლეგების გამოცდილების გაზიარება |
| **3. სამართლებრივი აქტების ცოდნა** | 3.1 საქართველოს კონსტიტუცია (მე-2 თავი):<br>- ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლება.<br>3.2. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.<br>3.3. ეროვნული სასწავლო გეგმა:<br>- სწავლებისა და სწავლის ძირითადი საკითხები<br>- სასწავლო გეგმის შედგენა<br>- ინკლუზიური განათლება<br>- მიღწევის დონეები საგნებისა და საფეხურების მიხედვით<br>3.4. შრომის კოდექსი:<br>- შრომითი ხელშეკრულება<br>- შვებულება<br>- დასვენებით სარგებლობა<br>3.5. ბავშვთა უფლებების კონვენცია<br>3.6. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ დადგენილება. |

# 2011 წლის ატესტატის მინიმალური კომპეტენციის პროგრამები

## მინიმალური სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

*დასაწყისი №21*

საატესტატო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო პროგრამებს და მის დამტკიცებამდე არსებულ IX კლასის პროგრამას და შესაბამის სასწავლო წლებში (2007-2008 – IX კლასი, 2008-2009 – X კლასი, 2009-2010 – XI კლასი და 2010-2011 – XII კლასი) მოქმედი სახელმძღვანელოების შინაარსს.

წარმოდგენილი საგამოცდო პროგრამა შედგება ორი ნაწილისგან:

■ I ნაწილი, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის უნარის შემოწმებაზე, ანუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ საშუალო საფეხურის დამთავრების შემდეგ (**საგნობრივი უნარები**);

■ II ნაწილი, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ცოდნის შემოწმებაზე, ანუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ საშუალო საფეხურის დამთავრების შემდეგ (**საგნობრივი ცოდნა**).

### I ნაწილი – საგნობრივი უნარები

საშუალო საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს:

■ **სხვადასხვა ტიპის ტექსტის (მხატვრული, არამხატვრული) შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებული საკითხების / პრობლემების იდენტიფიკაცია / გაგება / გააზრება / ანალიზი / შეფასება. ამაში იგულისხმება:**

I. შედარებით მარტივი დონე

1. ტექსტის/შინაარსობრივად დასრულებული ეპიზოდის გაგება/გაანალიზება; წაკითხულის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ამ დამოკიდებულების ახსნა;
2. ტექსტის საფუძველზე პირდაპირი და არაპირდაპირი დასკვნების გაკეთება;
3. ტექსტის მთავარი აზრის (იდეის) ამოცნობა/გაანალიზება;
4. ტექსტში ასახული ფაქტების, მოვლენების, დამოკიდებულებების იდენტიფიკაცია/გააზრება/გაანალიზება;
5. ტექსტში მოვლენათა თანამიმდევრობის გაგება, ინფორმაციის დახარისხება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობა, ტექსტის რეზიუმირება;
6. ტექსტში ავტორის/პერსონაჟის პოზიციის ამოცნობა/გაანალიზება;
7. ტექსტში სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის (ფაქტობრივი, კონცეპტუალური, ქვეტექსტური) ინფორმაციის იდენტიფიკაცია/ანალიზი/შეფასება;
8. სხვადასხვა ტიპის ტექსტში (მხატვრული, არამხატვრული) დასმული საკვანძო პრობლემური საკითხების იდენტიფიკაცია/ანალიზი/შეფასება;
9. სხვადასხვა ტიპის არამხატვრული ტექსტის მიზნისა და აუდიტორიის იდენტიფიკაცია.

II. შედარებით რთული დონე

10. ტექსტში ასახული ეპოქისთვის დამახასიათებელი თემების, იდეების, პრობლემებისთვის დამახასიათებელი ნიშნების იდენტიფიკაცია/ანალიზი/შეფასება სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგ., იმავე ეპოქისთვის დამახასიათებელი ფასეულობებისა და ღირებულებების კონტექსტში, სხვა ეპოქის, კულტურის კონტექსტში, „ნეიტრალური“ პოზიციიდან და ა.შ.;
11. ერთი და იმავე თემების, იდეების, პრობლემების იდენტიფიკაცია/ინტერპრეტაცია სხვადასხვა ეპოქაში, კულტურულ კონტექსტში შექმნილ ტექსტებში და მსგავსება-განსხვავებებზე საუბარი/მსჯელობა;
12. სხვადასხვა ეპოქაში, რელიგიურ, კულტურულ კონტექსტში შექმნილ ტექსტებში ასახული ღირებულებების/ფასეულობების შესახებ საუბარი/მსჯელობა.

■ **სხვადასხვა ტიპის ტექსტის (მხატვრული, არამხატვრული) ენობრივ-გამომხატველობით მხარესთან დაკავშირებული საკითხების / პრობლემების გაგება / გააზრება / ანალიზი / შეფასება. ეს გულისხმობს:**

1. ლექსიკური ერთეულის, ფრაზის, მყარი შესიტყვების, ფრაზეოლოგიზმის გაგება-გააზრება;
2. სიტყვის, ფრაზის მნიშვნელობის გაგება კონტექსტის მიხედვით;
3. ლექსიკონის, სქოლიოს, შენიშვნის, კომენტარის გაგება და ტექსტთან ფუნქციური თვალსაზრისით ადეკვატურად დაკავშირება;
4. ავტორის, პერსონაჟთა ენის, დიალექტური მეტყველების, ჟარგონის გაგება;
5. ტექსტში გამოყენებული ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების გაგება/გააზრება;
6. ტექსტის ფორმის, სტრუქტურის გაგება;
7. ტექსტის ტიპის, კონკრეტული ტიპისთვის დამახასიათებელი ენობრივი კონსტრუქციების ამოცნობა და გაგება;
8. ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ფუნქციის გააზრება-გაანალიზება; ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების ადეკვატურობის შეფასება;
9. პერსონაჟის ხატვის ხერხების ამოცნობა/გააზრება;
10. მხატვრული ტექსტების გაანალიზება ჟანრული მახასიათებლებისა და კომპოზიციური თავისებურებების მიხედვით.

**ამასთანავე, მოსწავლემ უნდა შეძლოს**: ქართული ლიტერატურის ძირითადი ეტაპების, ლიტერატურული მიმდინარეობების შესახებ მსჯელობა, მათთვის დამახასიათებელი ნიშნების ამოცნობა, ამა თუ იმ მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი პრობლემატიკის, კონცეპტუალური ხედვის შესახებ საუბარი.

→ 12

# 2011 წლის ატესტატის მინიმალური კომპეტენციის პროგრამები

## მინიმალური სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

### II ნაწილი – საგნობრივი ცოდნა

**პროგრამის შინაარსი**

■ ქართული სალიტერატურო ენა და მისი განვითარების საფეხურები.

■ ძირითადი ფონეტიკური პროცესები.

■ მორფოლოგია: მეტყველების ნაწილები, მათი წარმოებისა და ფორმაცვალების ძირითადი საკითხები.

■ სინტაქსი: წინადადებება; წინადადების წევრები; წინადადებების კლასიფიკაცია შინაარსისა და შედგენილობის მიხედვით; მარტივი, შერწყმული და რთული წინადადება: თანწყობა და ქვეწყობა.

■ ტექსტების ლინგვისტური ანალიზი და მოდელირება (X კლასის სახელმძღვანელოს მიხედვით). მეტყველების ტიპები: აღწერა, თხრობა, მსჯელობა. მეტყველების სტილი: სასაუბრო, სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული, პუბლიცისტური. ტექსტისა და მისი კომპონენტების ორგანიზება: თავი, აბზაცი, ფრაგმენტი. მხატვრული ენა: ტროპული მეტყველება და სინტაქსური ფიგურები.

■ მართლწერის საკითხები (X კლასის სახელმძღვანელოს მიხედვით).

**ტექსტები**

**1. იაკობ ხუცესი** – „შუშანიკის წამება“.

**2. იოვანე საბანისძე** – „აბო თბილელის წამება“.

**3. გიორგი მერჩულე** – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).

**4. შოთა რუსთაველი** – „ვეფხისტყაოსანი“ (ნ. ნათაძის „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა): „დასაწყისი“, „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“, „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“, „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“, „ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან“, „შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა“, „ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო“, „ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რომ გამიჯნურდა“, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი“, „წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი“, „წიგნი ტარიელისა ხატაელთა თანა და კაცის გაგზავნა“, „ნესტანისაგან ტარიელის ხმობა“, „წიგნი ხატაელთა მეფისა, ტარიელის წინაშე მოწერილი“, „ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეყრა“, „ტარიელისაგან ხატაეთს წასლვა და დიდი ომი“, „წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა“, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი“, „წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი“, „რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა“, „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“, „ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მოსლვა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკლვა“, „ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა“, „ამბავი ნურადინ-ფრიდონისა, ოდეს ტარიელ შეეყარა“, „ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“, „ამბავი ავთანდილის არაბეთს შექცევისა“, „დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი“, „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა“, „ლოცვა ავთანდილისა“, „პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“, „მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა“, „ამბავი ავთანდილისაგან გულანშაროს მისლვისა“, „ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“, „ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა“, „წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი“, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთანა“, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“, „წიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი“, „თათბირი ნურადინ-ფრიდონისა“, „თათბირი ავთანდილისა“, „თათბირი ტარიელისა“, „დასასრული“.

**5. სულხან-საბა ორბელიანი** – „სიბრძნე-სიცრუისა“ – სიუჟეტური ნაწილი (ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, მე-9 კლასი, შეადგინეს და კომენტარები დაურთეს მ. გიგინეიშვილმა, ლ. გრიგოლაშვილმა და ვ. როდონაიამ); იგავ-არაკები: „მოძღვარი მელი“, „უსამართლო შირვან-შაჰ“, „მაოხრებელი მკვდარი“, „ორმოში ჩაგდებული მეფე“, „თვალხილული და უსინათლო“, „კუ და მორიელი“, „კაცი და გველი“, „კეთილი გველი“, „გლახა და მდიდარი“, „მოხერხებული არაბი“, „აქლემი და ვირი“, „მეფე და მისი შვილი“ (ამავე ქრესტომათიის მიხედვით).

**6. დავით გურამიშვილი** – „დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“ (ბოლო ექვსი სტროფი), „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამისშვილის ლექთაგან დატყოება“, „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“.

**7. გრიგოლ ორბელიანი** – ლექსი: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

**8. ნიკოლოზ ბარათაშვილი** – ლექსები: „მერანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“; პოემა „ბედი ქართლისა“.

**9. ილია ჭავჭავაძე** – „ბედნიერი ერი“, პოემები: „განდეგილი“, „აჩრდილი“ (ნაწყვეტი); მოთხრობები: „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“; სტატია „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

**10. აკაკი წერეთელი** – ლექსები: „განთიადი“, „რაც არ იწვის, არ ანათებს“, პოემა „გამზრდელი“.

**11. ვაჟა-ფშაველა** – ლექსები: „ჩემი ვედრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „ღამე მთაში“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“; პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

**12. დავით კლდიაშვილი** – „სამანიშვილის დედინაცვალი“.

**13. ნიკო ლორთქიფანიძე** – „შელოცვა რადიოთი“.

**14. ლეო ქიაჩელი** – „ჰაკი აძბა“.

**15. კონსტანტინე გამსახურდია** – „დიდოსტატის მარჯვენა“.

**16. მიხეილ ჯავახიშვილი** – „ჯაყოს ხიზნები“.

**17. გალაკტიონ ტაბიძე** – „თოვლი“, „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“.

**18. ტიციან ტაბიძე** – „მეწყერი მეწყერს“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“.

**19. პაოლო იაშვილი** – „წერილი დედას“.

**20. ვალერიან გაფრინდაშვილი** – „სანტიმენტალური ტრიოლეტი“.

**21. კოლაუ ნადირაძე** – „25 თებერვალი, 1921 წელი“.

**22. გიორგი ლეონიძე** – „მეცამეტე საუკუნე“, „ყივჩაღის პაემანი“.

**23. გურამ რჩეულიშვილი** – „ნელი ტანგო“.

**24. ანა კალანდაძე** – „ლაჰილზე ისევ...“, „ფეხი დამადგით...“

**25. რევაზ ინანიშვილი** – „სამი ნოველა“.

**26. ოთარ ჭილაძე** – ნაწყვეტი რომანიდან „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ (XII კლასის სახელმძღვანელოში მოცემული ეპიზოდი).

**27. ჯემალ ქარჩხაძე** – „იგი“.

**28. გურამ დოჩანაშვილი** – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

**29. ნუგზარ შატაიძე** – „კაპიკი გაკაპიკებულა, ანუ ევროპაში რა მინდოდა“.

**30. ბესიკ ხარანაული** – „ხეები“, „სად არიან შვილები, შვილები სად არიან“.

**31. ოთარ ჩხეიძე** – „მკითხველი“.

**32. ზურაბ კაკაბაძე** – „არის მკითხველი“ (ფრაგმენტი).

**33. გერონტი ქიქოძე** – „ჩაქუჩიანი მამაკაცი“.

**34. აკაკი ბაქრაძე** – „ფხიზელი გონების ძალა“.

**35. გურამ ასათიანი** – „I დიალოგი“, „სათავეებთან“ (ფრაგმენტი).

**შენიშვნა:**

ყველა მოსწავლეს, რომელიც 2011 წელს ჩააბარებს სასკოლო გამოსაშვებ გამოცდებს, ქართული ენა და ლიტერატურა IX-XII კლასებში გავლილი ექნება შემდეგი სახელმძღვანელოებით:

*ძველი (ძველი წესით დამტკიცებული):*

1. IX კლასი – ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ავტორები: მ. გიგინეიშვილი, ლ. გრიგოლაშვილი, ვ. როდონაია.

*ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული:*

2. X კლასი – ქართული ენა და ლიტერატურა, ავტორი: თამაზ ვასაძე (გამომცელობა „დიოგენე“, 2006);

3. X კლასი – ქართული ენა (ტექსტების ანალიზი და მოდელირება, მართლწერის საკითხები, პირველი ნაწილი), ავტორები: ავთანდილ არაბული, ქეთევან რეხვიაშვილი, ნინო შარაშენიძე, მაია შაყულაშვილი (გამომცემლობა „წყაროთვალი“, 2008);

4. XI კლასი – ქართული ენა და ლიტერატურა, ავტორები: თამაზ ვასაძე, ნინო შარაშენიძე (გამომცემლობა „დიოგენე“, 2007);

5. XII კლასი – ავტორები: თამაზ ვასაძე, ნუგზარ მუზაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე (გამომცემლობა „დიოგენე“, 2008).

2007-2008 სასწავლო წელს ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოიყენებოდა მხოლოდ ერთი, ძველი პროგრამის მიხედვით შექმნილი სახელმძღვანელო (1). 2008-2009, 2009-2010 და 2010-2011 სასწავლო წლებში X, XI და XII კლასებში მოქმედებს ასევე თითო გრიფირებული სახელმძღვანელო (2, 3, 4, 5).

## მინიმალური სტანდარტი მათემატიკაში

**შესავალი**

საატესტატო საგამოცდო პროგრამა მათემატიკაში ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის X, XI, XII კლასების საგნობრივ პროგრამებს, ახალი სასწავლო გეგმის შემოღებამდე არსებულ საბაზო საფეხურის VII, VIII, IX კლასების სასწავლო გეგმებს და შესაბამის სასწავლო წლებში მოქმედ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების შინაარსის იმ ნაწილს, რომელიც საერთოა თითოეული კლასისა და მათემატიკის ალტერნატიული სახელმძღვანელოებისთვის.

### I ნაწილი: მოსწავლის საგნობრივი უნარები

**რიცხვები და მოქმედებები რიცხვებზე**

***მოსწავლეს უნდა შეეძლოს:***

■ ერთმანეთისგან განასხვავოს და ერთმანეთთან დააკავშიროს ნამდვილ რიცხვთა ქვესიმრავლეები: ნატურალური რიცხვები, მთელი რიცხვები, რაციონალური რიცხვები, ირაციონალური რიცხვები, კენტი რიცხვები, ლუწი რიცხვები, დადებითი და უარყოფითი რიცხვები, მარტივი და შედგენილი რიცხვები.

■ რიცხვის ჩაწერა სხვადასხვა (ათობით და ორობით) პოზიციურ სისტემაში.

■ ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების თვისებების გამოყენება (მაგალითად: გადანაცვლებადობა, ჯუფთებადობა) და ნამდვილ რიცხვებზე მოქმედებების შესრულება სხვადასხვა ხერხით.

■ მსჯელობა - დასაბუთების სხვადასხვა ხერხის გამოყენება რიცხვებთან და მათზე მოქმედებებთან დაკავშირებით.

■ რიცხვითი სიდიდეების შეფასებისა და შედარების სხვადასხვა ხერხის გამოყენება. რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის შეფასება სხვადასხვა ხერხით.

■ ზომის სხვადასხვა ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გამოყენება ამოცანების ამოხსნისას.

**კანონზომიერებები და ალგებრა**

***მოსწავლეს უნდა შეეძლოს:***

■ ფუნქციის თვისებების (მაგალითად: ზრდადობა, კლებადობა, მუდმივობა, ფუნქციის მაქსიმუმი/მინიმუმი) გამოკვლევა და ფუნქციების და მათი თვისებების გამოყენება ორ სიდიდეს შორის დამოკიდებულების შესასწავლად.

■ გრაფიკული და ალგებრული მეთოდების გამოყენება ფუნქციის / ფუნქციათა ოჯახის თვისებების შესასწავლად.

■ მიმდევრობის თვისებების გამოკვლევა და მიმდევრობების და მათი თვისებების გამოყენება კანონზომიერების შესასწავლად და აღსაწერად.

■ განტოლებათა, უტოლობათა და მათი სისტემების გამოყენება ამოცანების ამოხსნისას.

■ დისკრეტული მათემატიკის ელემენტების გამოყენება (მაგალითად: ვარიანტების დათვლისას, სიმრავლის ელემენტების რაოდენობის დადგენისას).

**გეომეტრია და სივრცის აღქმა**

***მოსწავლეს უნდა შეეძლოს:***

■ გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და გეომეტრიული ფიგურების კლასიფიცირება.

■ ფიგურებისა და მათი ელემენტების ზომების დადგენა და შეფასება სხვადასხვა ხერხით და მათი გამოყენება ამოცანების ამოხსნისას. გეომეტრიულ ობიექტთა შორის მანძილების მოძებნა.

■ გეომეტრიული გარდაქმნების თვისებების ჩამოყალიბება და გეომეტრიული გარდაქმნების გამოყენება ამოცანების ამოხსნისას.

■ ვექტორებზე მოქმედებების შესრულება და ვექტორების გამოყენება ამოცანების ამოხსნისას.

■ გეომეტრიული ამოცანის შესაბამისი ნახაზის შედგენა, ამოცანის მონაცემების დადგენა ნახაზის საშუალებით.

■ სივრცით ფიგურასა და მის წარმოდგენებს (მაგალითად: სივრცითი ფიგურასა და მის ნახაზს) შორის კავშირების დადგენა. სივრცითი ფიგურის შლილების გამოყენება ამ ფიგურის შესასწავლად.

■ დედუქციური/ინდუქციური მსჯელობის გამოყენება გეომეტრიულ დებულებათა დასამტკიცებლად.

**მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა**

***მოსწავლეს უნდა შეეძლოს:***

■ მონაცემთა მოწესრიგებისა და წარმოდგენის ხერხების გამოყენება ამოცანის ამოხსნისას. სხვადასხვა ხერხით წარმოდგენილი მონაცემების ინტერპრეტირება.

■ მონაცემთა ანალიზი რიცხვითი და გრაფიკული მეთოდების გამოყენებით; შედეგების ინტერპრეტირება და დასკვნების ჩამოყალიბება.

■ შემთხვევითი მოვლენის შესაბამისი ალბათური მოდელის შედგენა და მისი გამოყენება შემთხვევითი მოვლენის აღწერისას. ალბათობის თვისებების გამოყენება შემთხვევით მოვლენასთან დაკავშირებული ამოცანის ამოხსნისას.

### II ნაწილი: მოსწავლის საგნობრივი ცოდნა

**რიცხვები და ალგებრა**

***მოსწავლემ უნდა იცოდეს:***

**სიმრავლეები. მოქმედებები სიმრავლეებზე**

■ სიმრავლეთა თანაკვეთა, გაერთიანება, სიმრავლის დამატება, სიმრავლეთა სხვაობა.

■ სიმრავლეთა ურთიერთმიმართების ვიზუალური გამოსახვა (მაგალითად, ვენის დიაგრამები) და მისი გამოყენება ამოცანების ამოხსნისას.

**ნატურალური რიცხვები. მთელი რიცხვები**

■ არითმეტიკული მოქმედებები მთელ რიცხვებზე.

# 2011 წლის ატესტატის მინიმალური კომპეტენციის პროგრამები

## მინიმალური სტანდარტი მათემატიკაში

- მარტივი და შედგენილი ნატურალური რიცხვები. გამყოფი და ჯერადი.
- ნატურალური რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად.
- რამდენიმე ნატურალური რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის მოძებნა.
- 2-ზე, 3-ზე, 5-ზე, 9-ზე და 10-ზე გაყოფადობის ნიშნები.
- ნაშთი.

**რაციონალური რიცხვები. წილადები და ათწილადები. ირაციონალური რიცხვები. ნამდვილი რიცხვები**

რაციონალური რიცხვების შედარება და არითმეტიკული მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე.

- მთელი რიცხვებისა და ათწილადების დამრგვალება.
- ნამდვილი რიცხვების შედარება და არითმეტიკული მოქმედებები ნამდვილ რიცხვებზე.

**რიცხვითი ღერძი**

- წერტილის კოორდინატი.
- ნამდვილი რიცხვის შესაბამისი წერტილის გამოსახვა რიცხვით ღერძზე.
- რიცხვითი უტოლობები და მათი თვისებები.
- რიცხვითი შუალედები. რიცხვის მოდული.
- რიცხვითი შუალედების გაერთიანება და თანაკვეთა.
- რიცხვის მოდულის გეომეტრიული აზრი.

**პროპორცია**

- პროპორციის ძირითადი თვისება, პროპორციის უცნობი წევრის მოძებნა.
- რიცხვის დაყოფა მოცემული შეფარდებით.
- სიდიდეებს შორის პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება.

**რიცხვის პროცენტი და ნაწილი**

- რიცხვის პროცენტისა და ნაწილის პოვნა.
- რიცხვის პოვნა მისი პროცენტით ან ნაწილით.
- ორი რიცხვის ფარდობის პროცენტული გამოსახვა.

**ხარისხი ნატურალური და მთელი მაჩვენებლით**

- ნამრავლის, ფარდობის და ხარისხის აყვანა ხარისხში.
- ტოლფუძიანი ხარისხების ნამრავლი და შეფარდება.

**მრავალწევრი და რაციონალური გამოსახულება**

- მოქმედებები მრავალწევრებზე: შეკრება, გამოკლება და გამრავლება
- საერთო მამრავლის გატანა ფრჩხილებს გარეთ. დაჯგუფების წესი, მამრავლებად დაშლა **შემოკლებული გამრავლების ფორმულების გამოყენებით.**
- რაციონალური გამოსახულება და მოქმედებები რაციონალურ გამოსახულებებზე.

**ფესვი**

- *n*- ური ხარისხის ფესვი. ფესვის თვისებები.
- არითმეტიკული ფესვი.
- რაციონალურმაჩვენებლიანი ხარისხი. რაციონალურმაჩვენებლიანი ხარისხის თვისებები.

**ალგებრული გამოსახულება**

- ალგებრული გამოსახულების გარდაქმნა და მისი რიცხვითი მნიშვნელობის გამოთვლა.
- შემოკლებული გამრავლების ფორმულები

$$(a+b)^2=a^2+2ab+b^2,\ (a-b)^2=a^2-2ab+b^2,$$
$$(a+b)(a-b)=a^2-b^2,\ (a+b)^3=a^3+3a^2b+3ab^2+b^3,$$
$$(a-b)^3=a^3-3a^2b+3ab^2-b^3,$$
$$(a-b)(a^2+ab+b^2)=a^3-b^3,\ (a+b)(a^2-ab+b^2)=a^3+b^3.$$

- ალგებრული გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა ცვლადების მოცემული რიცხვითი მნიშვნელობებისათვის.

**რიცხვის ლოგარითმი**

- ძირითადი ლოგარითმული იგივეობა.
- ნამრავლის, შეფარდების და ხარისხის ლოგარითმი.

**მართკუთხა კოორდინატთა სისტემა სიბრტყეზე და სივრცეში**

- წერტილის კოორდინატები.
- ნამდვილ რიცხვთა წყვილის გამოსახვა საკოორდინატო სიბრტყეზე .
- ნამდვილ რიცხვთა სამეულის გამოსახვა საკოორდინატო სივრცეში.
- ორ წერტილს შორის მანძილის გამოსათვლელი ფორმულა.

**ფუნქცია. ფუნქციის გრაფიკი. ფუნქციების კომპოზიცია**

- ფუნქციის განსაზღვრის არე.
- ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე.
- ფუნქციის ზრდადობა, კლებადობა, ლუწობა, კენტობა, პერიოდულობა.
- ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობა.
- ფუნქციების კომპოზიცია.
- ფუნქციის გამოსახვა ცხრილის, ფორმულის და გრაფიკის საშუალებით.
- ფუნქციის მნიშვნელობის გამოთვლა არგუმენტის მოცემული მნიშვნელობისათვის.

**ტრიგონომეტრიული ფუნქციები: სინუსი, კოსინუსი, ტანგენსი**

- სინუსის, კოსინუსის და ტანგენსის მნიშვნელობები, არგუმენტის შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

$$0, \frac{\pi}{6}, \frac{\pi}{4}, \frac{\pi}{3}, \frac{\pi}{2}, \pi, \frac{3\pi}{2}.$$

- სინუსის, კოსინუსის და ტანგენსის ნიშნები საკოორდინატო სიბრტყის სხვადასხვა მეოთხედში.
- სინუსის, კოსინუსის და ტანგენსის პერიოდულობა, ლუწობა და კენტობა.
- ძირითადი დამოკიდებულებები ერთი და იგივე არგუმენტის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის.
- დაყვანის ფორმულები.

**განტოლება, განტოლებათა სისტემა**

- განტოლებისა და განტოლებათა სისტემის ამონახსნისა და ამონახსნთა სიმრავლის ცნებები.
- ტოლფასი განტოლებები და განტოლებათა სისტემები.
- ერთუცნობიანი წრფივი განტოლება და ერთუცნობიანი წრფივი განტოლების ამოხსნა.
- ერთუცნობიანი კვადრატული განტოლება.
- დისკრიმინანტი.
- ერთუცნობიანი კვადრატული განტოლების ამოხსნა.
- ისეთი ორუცნობიანი ალგებრული განტოლებების სისტემის ამოხსნა, რომელშიც ერთი განტოლება წრფივია, ხოლო მეორე განტოლების ხარისხი არ აღემატება ორს.
- ერთუცნობიან წრფივ და კვადრატულ განტოლებებზე დაყვანადი ირაციონალური განტოლებები.
- მაჩვენებლიანი განტოლებები და უტოლობები და მაჩვენებლიანი განტოლებების და უტოლობების ამოხსნა.
- ლოგარითმული განტოლებები და უტოლობები: არაცვლადფუძიანი ლოგარითმული განტოლებების და უტოლობების ამოხსნა.
- ტრიგონომეტრიული განტოლებები: $\sin x = a, \cos x = a, tgx = a$ სახის განტოლებების ამოხსნა.
- ტექსტური ამოცანების ამოხსნა განტოლებისა და განტოლებათა სისტემის გამოყენებით.

**კვადრატული სამწევრი**

- კვადრატული სამწევრის ფესვები.
- კვადრატული სამწევრის დაშლა წრფივ მამრავლებად.

**უტოლობა, უტოლობათა სისტემა**

- უტოლობისა და უტოლობათა სისტემის ამონახსნისა და ამონახსნთა სიმრავლის ცნებები.
- ორუცნობიანი წრფივი უტოლობისა და უტოლობათა სისტემის ამონახსნის წარმოდგენა საკოორდინატო სიბრტყეზე.
- ტოლფასი უტოლობები.
- ერთუცნობიანი უტოლობები და უტოლობათა სისტემები.
- ერთუცნობიანი წრფივი, კვადრატული და რაციონალური უტოლობებისა და უტოლობათა სისტემების ამოხსნა.

**წრფივი, კვადრატული, ხარისხოვანი, მაჩვენებლიანი, ლოგარითმული, ტრიგონომეტრი-ული ფუნქციები და მათი გრაფიკები**

- ფუნქციების განსაზღვრის არეები და მნიშვნელობათა სიმრავლეები.
- ზრდადობისა და კლებადობის შუალედები.
- ფუნქციები:

$$y=kx+b,\ y=ax^2+bx+c,\ y=x^3,\ y=\frac{k}{x},\ y=\sqrt{x},$$
$$y=a^x,\ y=\log_a x,\ y=\sin x,\ y=\cos x,\ y=tgx$$

და მათი თვისებები.

**რიცხვითი მიმდევრობები**

- მიმდევრობის წევრების პოვნა ამ მიმდევრობის *n*-ური წევრის ფორმულის მიხედვით
- არითმეტიკული პროგრესია: არითმეტიკული პროგრესიის *n*-ური წევრისა და პირველი *n* წევრის ჯამის გამოსათვლელი ფორმულები.
- გეომეტრიული პროგრესია: გეომეტრიული პროგრესიის *n* -ური წევრისა და პირველი *n* წევრის ჯამის გამოსათვლელი ფორმულები.

**კომბინატორიკის ელემენტები**

- გადანაცვლებათა რაოდენობა.
- ჯუფთებათა რაოდენობა.
- წყობათა რაოდენობა.

**ზომის ერთეულები და მათ შორის კავშირები**

- სიგრძის ერთეულები: მილიმეტრი (მმ), სანტიმეტრი (სმ), დეციმეტრი (დმ), მეტრი (მ), კილომეტრი (კმ).
- კავშირები სიგრძის ერთეულებს შორის.
- ფართობის ერთეულები: კვადრატული მილიმეტრი (მმ$^2$), კვადრატული სანტიმეტრი (სმ$^2$), კვადრატული დეციმეტრი (დმ$^2$), კვადრატული მეტრი (მ$^2$), ჰექტარი (ჰა), კვადრატული კილომეტრი (კმ$^2$).
- კავშირი ფართობის ერთეულებს შორის.
- მოცულობის ერთეულები: კუბური მილიმეტრი (მმ$^3$), კუბური სანტიმეტრი (სმ$^3$), კუბური დეციმეტრი (დმ$^3$), ლიტრი (ლ), კუბური მეტრი (მ$^3$).
- კავშირი მოცულობის ერთეულებს შორის.
- მასის ერთეულები: გრამი (გ), კილოგრამი (კგ), ცენტნერი (ც), ტონა (ტ).
- კავშირი მასის ერთეულებს შორის.
- დროის ერთეულები: წამი (წმ), წუთი (წთ), საათი (სთ).
- კავშირი დროის ერთეულებს შორის.
- სიჩქარის ერთეულები: მეტრი წამში (მ/წმ), მეტრი წუთში (მ/წთ), კილომეტრი საათში (კმ/სთ).
- კავშირი სიჩქარის ერთეულებს შორის.

### გეომეტრია

**პლანიმეტრია**

**წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი**

- წერტილი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, ტეხილი და მათი შემადგენელი ელემენტები.
- მონაკვეთის სიგრძე, ტეხილის სიგრძე.
- მონაკვეთის შუამართობი და მისი თვისება.
- წრფეთა პარალელობა. წრფეთა პარალელობის ნიშნები.
- თალესის თეორემა.
- მართობი, დახრილი და გეგმილი. მანძილი წერტილიდან წრფემდე.

**კუთხე**

- კუთხის გრადუსული ზომა, კუთხის რადიანული ზომა, კავშირი კუთხის გრადუსულ ზომასა და რადიანულ ზომას შორის.
- მართი, მახვილი, ბლაგვი და გაშლილი კუთხეები.
- კუთხის ბისექტრისა და მისი თვისება.
- მოსაზღვრე და ვერტიკალური კუთხეები და მათი თვისებები.
- კუთხე ორ წრფეს შორის.
- წრფეთა მართობულობა.
- ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას მიღებული კუთხეების თვისებები.

**მრავალკუთხედი**

- მრავალკუთხედის ელემენტები: გვერდი, წვერო, კუთხე, დიაგონალი.
- მრავალკუთხედის პერიმეტრი.
- მრავალკუთხედის კუთხეების ჯამი.

**სამკუთხედი**

- სამკუთხედი და მისი ელემენტები: გვერდი, კუთხე, წვერო, მედიანა, ბისექტრისა, სიმაღლე.
- სამკუთხედის კუთხეების ჯამი.
- სამკუთხედის გარე კუთხის თვისება.
- სამკუთხედების ტოლობის ნიშნები.
- დამოკიდებულებები სამკუთხედის გვერდებსა და კუთხეებს შორის (სამკუთხედში დიდი გვერდის პირდაპირ დიდი კუთხე ძევს; დიდი კუთხის პირდაპირ დიდი გვერდი ძევს).

→16

# 2011 წლის ატესტატის მინიმალური კომპეტენციის პროგრამები

## მინიმალური სტანდარტი მათემატიკაში

■ სამკუთხედის მედიანების თვისება (სამკუთხედის სამივე მედიანა ერთ წერტილში იკვეთება და თითოეული მათგანი გადაკვეთის წერტილით, წვეროს მხრიდან იყოფა შეფარდებით 2:1).

■ სამკუთხედის ბისექტრისის თვისება (სამკუთხედის ბისექტრისები ერთ წერტილში იკვეთება, სამკუთხედის კუთხის ბისექტრისა ამ კუთხის მოპირდაპირე გვერდს ყოფს მიმდებარე გვერდების პროპორციულ მონაკვეთებად).

■ სამკუთხედის შუახაზი და მისი თვისებები.

**სამკუთხედების მსგავსება**

■ სამკუთხედების მსგავსების ნიშნები.

■ მსგავსი სამკუთხედების პერიმეტრებისა და ფართობების შეფარდება.

**სამკუთხედის კერძო სახეები**

■ მართკუთხა სამკუთხედი, მახვილკუთხა სამკუთხედი, ბლაგვკუთხა სამკუთხედი, ტოლფერდა სამკუთხედი, ტოლგვერდა სამკუთხედი.

■ ტოლფერდა სამკუთხედის თვისებები (ტოლფერდა სამკუთხედში ფუძესთან მდებარე კუთხეები ტოლია; ტოლფერდა სამკუთხედში ფუძისადმი გავლებული მედიანა, სიმაღლე და ბისექტრისა ერთმანეთს ემთხვევა).

■ ტოლგვერდა სამკუთხედის თვისებები

**მართკუთხა სამკუთხედი**

■ მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის ნიშნები.

■ მართკუთხა სამკუთხედში $30^0$-იანი კუთხის მოპირდაპირე კათეტის თვისება.

■ ტრიგონომეტრიული თანაფარდობები მართკუთხა სამკუთხედის კუთხეებსა და გვერდებს შორის.

■ თანაფადობები მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე დაშვებულ სიმაღლეს, ამ სამკუთხედის კათეტებს, კათეტების გეგმილებსა და ჰიპოტენუზას შორის.

■ პითაგორას თეორემა.

**ტრიგონომეტრიული თანაფარდობები სამკუთხედის კუთხეებსა და გვერდებს შორის**

■ სინუსების თეორემა.

■ კოსინუსების თეორემა.

**პარალელოგრამი**

■ პარალელოგრამის გვერდებისა და კუთხეების თვისებები.

■ პარალელოგრამის დიაგონალების თვისებები (პარალელოგრამის დიაგონალების გადაკვეთის წერტილი პარალელოგრამის სიმეტრიის ცენტრია; პარალელოგრამის დიაგონალების სიგრძეების კვადრატების ჯამი ამ პარალელოგრამის გვერდების სიგრძეების კვადრატების ჯამის ტოლია).

**მართკუთხედი, რომბი და კვადრატი**

■ მართკუთხედის დიაგონალების თვისებები.

■ რომბის დიაგონალების თვისებები.

**ტრაპეცია**

■ ტრაპეციის ელემენტები: ფუძე, ფერდი, სიმაღლე, შუახაზი.

■ ტრაპეციის კერძო სახეები: ტოლფერდა ტრაპეცია, მართკუთხა ტრაპეცია და მათი თვისებები.

**ბტრყელი ფიგურის ფართობი**

■ ბრტყელი ფართობის თვისება: ბრტყელი ფიგურის ფართობი მისი შემადგენელი ნაწილების ფართობების ჯამის ტოლია.

■ კვადრატის, მართკუთხედის, სამკუთხედის, პარალელოგრამის და ტრაპეციის ფართობი.

**წრეწირი და წრე**

■ წრეწირის და წრის ელემენტები: ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი, ქორდა, რკალი, სექტორი, სეგმენტი.

■ რკალის გრადუსული და რადიანული ზომება.

■ რიცხვი $\pi$, მისი მიახლოებითი მნიშვნელობა და თვისებები.

■ წრეწირის სიგრძე; წრეწირის რკალის სიგრძე.

■ ქორდის მართობული დიამეტრის თვისება.

■ ცენტრალური და ჩახაზული კუთხეები.

■ დამოკიდებულება ერთი და იგივე რკალზე დაყრდნობილ ჩახაზულ და ცენტრალურ კუთხეებს შორის.

■ წრიული სექტორის და წრის ფართობი.

**წრეწირის მხები და მკვეთი**

■ წრეწირის მხების თვისება.

■ წერტილიდან წრეწირისადმი გავლებული ორი მხები მონაკვეთის ტოლობა.

■ ურთიერთგადამკვეთი ქორდების თვისებები.

■ წრეწირისადმი ერთი წერტილიდან გავლებული მხებისა და მკვეთის თვისებება.

**სამკუთხედში ჩახაზული და სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირები**

■ სამკუთხედში ჩახაზული წრეწირის ცენტრის მდებარეობა.

■ სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის ცენტრის მდებარეობა.

■ სამკუთხედში ჩახაზული და სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირების რადიუსების გამოთვლა

(მაგალითად: $r = \dfrac{2S}{a+b+c}$, $R = \dfrac{abc}{4S}$, $R = \dfrac{a}{2\sin\angle A}$ ).

**წესიერი მრავალკუთხედები**

■ წესიერი მრავალკუთხედში ჩახაზული და შემოხაზული წრეწირები.

■ წესიერი მრავალკუთხედის გვერდისა და ფართობის გამოთვლა ამ მრავალკუთხედში ჩახაზული და მასზე შემოხაზული წრეწირების რადიუსების საშუალებით.

**გეომეტრიული გარდაქმნები სიბრტყეზე**

■ ცენტრული სიმეტრია.

■ სიმეტრიის ცენტრი.

■ ფიგურის სიმეტრიულობა წერტილის მიმართ.

■ ღერძული სიმეტრია.

■ სიმეტრიის ღერძი. ფიგურის სიმეტრიულობა წრფის მიმართ.

■ პარალელური გადატანა.

■ ჰომოთეტია.

■ წერტილის გარშემო მობრუნება.

**სტერეომეტრია**

**წერტილი, წრფე და სიბრტყე სივრცეში**

■ წრფეთა ურთიერთგანლაგება სივრცეში: ურთიერთგადამკვეთი, პარალელური და აცდენილი წრფეები.

■ წრფეთა პარალელობის ნიშანი.

■ წერტილის, წრფის, მონაკვეთის ორთოგონალური დაგეგმილება სიბრტყეზე.

■ მანძილი წერტილიდან სიბრტყემდე.

■ წრფისა და სიბრტყის ურთიერთმართობულობა და ურთიერთმართობულობის ნიშანი.

■ წრფისა და სიბრტყის პარალელობა და პარალელობის ნიშანი.

■ სიბრტყეთა პარალელობა და პარალელობის ნიშანი.

**კუთხე სივრცეში**

■ კუთხე სიბრტყეებს შორის.

■ სიბრტყეთა ურთიერთმართობულობა და ურთიერთმართობულობის ნიშანი.

■ კუთხე წრფესა და სიბრტყეს შორის.

■ ორწახნაგა კუთხე და მისი ზომა.

■ სიბრტყისადმი მართობი და დახრილი.

■ თეორემა სამი მართობის შესახებ.

**მრავალწახნაგები**

■ მრავალწახნაგა და მისი ელემენტები: წვერო, წიბო, წახნაგი.

■ პრიზმა და მისი ელემენტები: ფუძე, გვერდითი წახნაგი, გვერდითი წიბო, სიმაღლე, დიაგონალი.

■ პრიზმის კერძო სახეები: მართი პრიზმა, წესიერი პრიზმა, მართი პარალელეპიპედი, მართკუთხა პარალელეპიპედი, კუბი.

■ მართი პრიზმის დიაგონალური კვეთა.

■ პირამიდა და მისი ელემენტები: წვერო, გვერდითი წიბო, ფუძე, გვერდითი წახნაგი, სიმაღლე. წესიერი პირამიდა, აპოთემა.

**მრავალწახნაგებისაგან განსხვავებული ზოგიერთი სივრცული ფიგურა**

■ ცილინდრი და მისი ელემენტები: რადიუსი, მსახველი, ფუძე, სიმაღლე, ცილინდრის ღერძი.

■ ცილინდრის ღერძული კვეთა.

■ კონუსი და მისი ელემენტები: წვერო, ფუძე, მსახველი, სიმაღლე.

■ კონუსის ღერძული კვეთა.

■ ბირთვი, სფერო და მათი ელემენტები: ცენტრი, რადიუსი, დიამეტრი.

■ ბირთვის კვეთა სიბრტყით.

**სივრცული სხეულის მოცულობა და ზედაპირის ფართობი**

■ მოცულობის თვისება: სხეულის მოცულობა ამ სხეულის შემადგენელი ნაწილების მოცულობების ჯამის ტოლია.

■ კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრისა და კონუსის გვერდითი და სრული ზედაპირის ფართობი და მოცულობა.

**ზოგიერთი სივრცული ფიგურის შლილი**

■ კუბის, მართკუთხა პარალელეპიპედის, მართი პრიზმის, პირამიდის, ცილინდრის და კონუსის შლილი.

■ ამ ფიგურების აღდგენა მათი შლილების მიხედვით.

**ვექტორები სიბრტყეზე და სივრცეში**

■ ვექტორები და მოქმედებები ვექტორებზე: შეკრება, სკალარზე გამრავლება, ვექტორების სკალარული ნამრავლი

■ კუთხე ორ ვექტორს შორის; ვექტორის სიგრძე.

■ ვექტორებისა და მათზე მოქმედებების გამოსახვა კოორდინატებში.

**მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა**

**მონაცემთა წარმოდგენის ხერხები**

■ დიაგრამები: წერტილოვანი, ხაზოვანი, სვეტოვანი და წრიული დიაგრამები.

■ მასშტაბი და სკალა.

■ ცხრილი

**მონაცემთა რიცხვითი მახასიათებლები**

■ სიხშირე, ფარდობითი სიხშირე.

■ საშუალო, მედიანა, მოდა.

■ გაბნევის დიაპაზონი.

**ალბათობის თეორიის ელემენტები**

■ ელემენტარული ხდომილობების სივრცე.

■ ხდომილობა და მოქმედებები ხდომილობებზე.

■ არათავსებადი ხდომილობები.

■ საწინაალმდეგო ხდომილობა და მისი გამოთვლა $(P(\overline{A}) = 1 - P(A))$.

■ დამოუკიდებელი ხდომილობები და დამოუკიდებელი ხდომილებების ნამრავლის გამოთვლა $(P(A \cap B) = P(A) \cdot P(B))$.

■ ალბათობის კლასიკური განსაზღვრება და ალბათობის გამოთვლა.

■ ხდომილობათა ჯამის ალბათობა და მისი გამოთვლა $(P(A \cup B) = P(A) + P(B) - P(A \cap B))$.

■ გეომეტრიული ალბათობა მონაკვეთზე და ბრტყელ ფიგურაზე.

## მინიმალური სტანდარტი ისტორიაში

1. დიაოხი და კოლხა
2. დიდი ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთი
3. ქართლის სამეფოს წარმოქმნა
4. რომის იმპერია
5. პომპეუსის ლაშქრობა ქართლში
6. ფარსმან ქველი და რომის იმპერია
7. ქართლის გაქრისტიანება
8. ვახტანგ გორგასალი ა) საგარეო პოლი-ტიკა; ბ) საეკლესიო რეფორმა
9. არაბები (ისლამი)
10. არაბობა საქართველოში – ა) „დაცვის სიგელი“; ბ)მურვან ყრუს ლაშქრობა
11. ქართული სამეფო-სამთავროების წარ-მოქმნა IX-X საუკუნეების მიჯნაზე
12. თურქ-სელჩუკები საქართველოში;
13. დავით აღმაშენებელი (დიდგორის ბრძოლა)
14. თამარის ეპოქა – ა) ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა; ბ) ბასიანის ბრძოლა; ტრა-პიზონის იმპერიის დაარსება
15. მონღოლების იმპერია
16. მონღოლობა საქართველოში
17. გიორგი V ბრწყინვალე
18. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავ-როებად
19. შაჰ-აბას I-ის ლაშქრობები აღმოსავ-ლეთ საქართველოში
20. აღორძინების ეპოქა
21. რეფორმაცია ევროპაში
22. საფრანგეთის რევოლუცია
23. ვახტანგ VI
24. აშშ ჩამოყალიბება
25. ერეკლეს ეპოქა:
    ■ XVIII ს-ის 60-ანი წწ. და გეორგიევსკის ტრაქტატი
    ■ ქართლ-კახეთის ანექსია
    ■ იმერეთის სამეფოს გაუქმება
26. ნაპოლეონის ეპოქა
27. თერგდალეულები
28. I მსოფლიო ომი და ვერსალის კონფე-რენცია
29. საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკა (1918-1921 წწ.)
30. საბჭოთა კავშირის შექმნა და 1924 წლის შეთქმულება
31. საბჭოთა კავშირი, ამერიკა და ევროპა II მსოფლიო ომამდე
32. II მსოფლიო ომი
33. ცივი ომი და მისი მიზეზები
34. ნატო და ვარშავის პაქტის ქვეყნები
35. ცივი ომის ეპოქის ომები: კორეა, ვიეტ-ნამი, კარიბის კრიზისი, ავღანეთი
36. უძრაობის ეპოქა საბჭოთა კავშირში
37. ეროვნული მოძრაობები და საბჭოთა კავშირის დაშლა
38. საქართველოს დამოუკიდებლობის აღ-დგენა
39. საქართველო და საერთაშორისო თანა-მეგობრობა.

თვალსაზრისი

# წინაპართა ღვაწლის მიჩუმათება მიუტევებელია

სამწუხაროდ, მხოლოდ ამ ხანებში გავეცანი 2001 წელს გამოცემულ „საქართველოს გეოგრაფიის“ მეორე წიგნს (სათაურით „ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები“), რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალმა დასტამბა. იგი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობისათვის. სამწუხაროდ, არ ვიცი მოჰყვა თუ არა წიგნს რაიმე გამოხმაურება განვლილ წლებში. პირადად მე კი, გამიჩნდა სურვილი მასზე რეაგირებისა.

მოგეხსენებათ, მსგავსი ხასიათის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაწერა დიდმა ქართველმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა და გეოგრაფმა, ვახუშტი ბაგრატიონმა. ჩანს, წიგნის ავტორებს (**მელორ ალფენიძე, კობა ხარაძე, ეთერ დავითაია, მერაბ გონგაძე, რობერტ მაღლაკელიძე**) მისაბაძ ნიმუშად სწორედ აღნიშნული წიგნი ჰქონდათ.

ამჯერად საქართველოს გეოგრაფიის (აგრეთვე, გეოლოგიის) ერთიანი ხედვა (გეოგრაფიულ-გეოლოგიური სინთეზი) გამორიცხულია. მით უფრო ითქმის ეს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ჩათვლით. ჩვენი ბუნებისა და ისტორიის შესაბამის კომპონენტებს ცალკეული ავტორები გადმოსცემენ. საერთოდ, წიგნი საკმაო ინტერესით იკითხება, მასში მკითხველები ბევრ სიახლეს, კონკრეტულ მონაცემს შეიტყობენ საქართველოს ცალკეული მხარეების (ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების) შესახებ.

აღნიშნულთან ერთად, პირადად ჩემში, დიდი უკმაყოფილების გრძნობა დატოვა შემდეგმა გარემოებამ – მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალში ცნობილი ქართველი მეცნიერის სერგი მაკალათიას (1893-1974 წწ.) ერთი წიგნიც კი არაა მითითებული. არადა, წიგნში აღძრული საკითხისადმი მას ჰქონდა ფართო, კომპლექსური მიდგომა და მათზე მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა. ამიტომაც შთამბეჭდავია ბატონ სერგი მაკალათიას ნაშრომების სია. ჩამოვთვლით მათ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით: მთის რაჭა (1930 წ.), ხევი (1934), ხევსურეთი (1935), ფშავი (1937), მესხეთ-ჯავახეთი (1938), სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია (1941), კავთურას ხეობა (1960), ძამის ხეობა (1961), ქსნის ხეობა (ამავე წელს), ფრონის ხეობა (1963), ლეხურის ხეობა (1964), ლიახვის ხეობა (1971).

შეგახსენებთ, რომ ბატონ სერგი მაკალათიას, შემდგომი თაობებისაგან განსხვავებით, ჰქონდა შესაძლებლობა გაეცნო ჩამოთვლილ მხარეთა (კუთხეთა) სისხლსავსე და არა სისხლნაკლული ცხოვრება, რომელსაც ახლა აქვს ადგილი. ამიტომაცაა, რომ აღნიშნული ნაშრომები (წიგნები, ნარკვევები) დღესაც დიდი ინტერესით იკითხება. გასაგებია ისიც, რომ „მთის რაჭა“ მეორედაც (1987 წელს) გამოიცა, ორჯერ დაისტამბა „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ (1992 და 2006 წლებში), „თუშეთი“ – 1983 წელს, „ფშავი“ – 1985 წელს.

ყოველივე ზემოთქმულს დავუმატებდით ავტორის თვალსაჩინო წვლილს მესტიის, გორის, ცაგერის, ყაზბეგის და კასპის სამხარეთმცოდნეო მუზეუმების დაარსებაში. ამათგან, 1937-48 წლებში, იგი გახლდათ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი. ამასთანავე თავის ცოდნას უშურველად გადასცემდა საქართველოს რიგი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობას.

გული დაგვწყდა აგრეთვე იმის გამოც, რომ ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოში მითითებული არაა იასე ლორთქიფანიძის „ქვემო ქართლის“ ოთხი წიგნი, გამოცემული 1935 და 1938 წლებში.

მსგავსი რამ სამეცნიერო ეთიკის დიდ დეფიციტზე მიუთითებს და ეს ტენდენცია აღკვეთილ უნდა იქნეს.

***გურამ ყორანაშვილი***

ინფორმაცია

# „ჩვენ ვართ ქვეყნის იმედი“

№10 საჯარო სკოლაში ინგლისურ ენაზე ჩატარებული კონფერენცია ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებს მიეძღვნა. კონფერენციის დევიზი იყო „ბავშვების თვალით დანახული მსოფლიო მემკვიდრეობა“. როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა **მარიკა შაყულაშვილმა** გვითხრა: *„ჩემი პროფესიული ვალდებულება იყო მოსწავლეების ცოდნის რეალიზება, რომელიც საგაკვეთილო პროცესში თუ ინტერნეტის საშუალებით წლის განმავლობაში დაუგროვდათ. თემატიკამ, რომელიც მოსწავლეების მიერ იქნა გაშუქებული, მაგალითად „ვან კუვერის ტრაგედია“, დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. მათი სათქმელი გაცილებით დიდია. ამიტომაც გადავწყვიტეთ კონფერენციის ფორმატში მოგვესმინა მათთვის.“*





**ანი მაგრაქველიძე**, $VIII^2$ კლასის მოსწავლე: *„კონფერენციის დღეს ძალიან ვნერვიულობდი... მსურდა, ჩემთვის საინტერესო თემა საზოგადოებისათვის საინტერესოდ გადმომეცა. არ ვიცი, ეს რამდენად შევძელი, არც ის ვიცი, მოეწონა თუ არა მსმენელს ჩემი გამოსვლა, მაგრამ, რაც მთავარია, ამ კონფერენციამ მომცა ის, რაც ცხოვრებაში აუცილებლად გამომადგება, ეს არის გამოცდილება და მყარი საფუძველი, რომელზეც შემიძლია ჩემი ცოდნა დავაშენო და ვისწრაფო უფრო მეტისკენ. ეს ჩემი ინგლისურის მასწავლებლის დამსახურებაა. ახლა კი მოთმინებით ველოდები კონფერენციის შედეგებს.*

**ანა დურგლიშვილი**, $VIII^2$ კლასის მოსწავლე: *„ეს პირველი ნაბიჯი იყო ჩემთვის და სხვა მონაწილეებისთვისაც. მინდა, ინგლისური ენა ძალიან კარგად ვისწავლო და სწორედ იმ უნივერსიტეტში მივიღო უმაღლესი განათლება, რომელმაც ჩემს თემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა – ოქსფორდის უნივერსიტეტი! დიდი მადლობა ჩემს ინგლისური ენის პედაგოგს, ქალბატონ* ***მარიკა შაყულაშვილს***, სკოლას ასეთი გულუხვი შეფასებებისა და კეთილი სურვილებისათვის.“

**მარინა კიკნაველიძე**, ჟიურის წევრი, პედაგოგი: *„პირველი რაც თვალში საცემია, ეს არის თემატიკის მრავალფეროვნება, რომელსაც მოსწავლე საგაკვეთილო პროცესის შრეებიდან გაჰყავს და მაძიებლის უნარის გაღვიძებას იწვევს არა მარტო თემის წარმდგენში, არამედ პასიურ მასმენელშიც. VII, VIII და IX კლასის მოსწავლეებმა საინტერესოდ, სწორი გამოთქმითა და ინტონაციით ისაუბრეს მრავალფეროვან თემატიკაზე: ჯონ მაკკეინი –* ***ლუკა თოიძე****, VII კლასი; განათლების სისტემა –* ***ანა დურგლიშვილი****, VIII კლასი; მითოლოგია –* ***ელენე ამბიძე****, VIII კლასი; მსოფლიოს უძველესი საოცრებანი –* ***ანა არაბული****, VIII კლასი; ზამთრის ოლიმპიური თამაშები –* ***ნიკა ჩხარტიშვილი****, IX კლასი; უპატრონო ბავშვები –* ***თენგიზ ფოლადაშვილი****, VIII კლასი; მაწანწალა ცხოველები –* ***ნათია მიქავა****, VII კლასი; მოდა –* ***ანა მაგრაქველიძე****, VIII კლასი და სხვ.*

*თემების ზეპირ პრეზენტაციას სინქრონულად მიჰყვებოდა მონიტორზე ვიზუალური მასალა. რაც პატარა ორატორების უცხო ენაზე მეტყველებას არაინგლისურენოვანი დამსწრე საზოგადოებისთვის (მშობლები, პედაგოგები, მოსწავლეები, მოწვეული სტუმრები) საინტერესოს და გასაგებს ხდიდა.“*

**ნათია გურჩიანი**, მშობელი: *„ბედნიერი ვარ, ჩვენს სკოლაში ასეთი ღონისძიებები რომ ტარდება. ბავშვებს მიღებული ცოდნის განვითარების საშუალება ეძლევათ. პირადად მე ძალიან მომეწონა თითოეული ბავშვის თემა, გაფორმება და მონდომება. მოხარული ვიქნები, თუ ასეთი კონფერენციები სხვა საგნებშიც ჩატარდება.“*

**ვერიკო დაბრუნდაშვილი**, მშობელი: *„კონფერენციამ თავისი მისია შეასრულა. პრაქტიკულად ყველა მონაწილემ გამოამჟღავნა ცოდნა და სიყვარული ინგლისური ენისადმი, რაც მათი პედაგოგის დამსახურებაა.“*

**ბელა ხუბუტია**, №10 საჯარო სკოლის დირექტორი: *„სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების, სწავლისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებისა და მათი წახალისების მიზნით აღნიშნულ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვფიქრობ, უნდა დაინერგოს სასწავლო წლის ბოლოს მსგავსი ტიპის ღონისძიებები სხვადასხვა საგანში. ჩვენი აზრით, მშობელთა მაღალი ჩართულობა არის სკოლისადმი ნდობის ხარისხის აწევის ერთ-ერთი საუკეთესო გარანტი! სკოლა მუდმივად დაუჭერს მხარს პედაგოგთა და მოსწავლეთა მსგავს ინიციატივებს. გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.“*

სკოლა მადლობას უცხადებს კონკურსის ორგანიზატორს, ქალბატონ **მარიკა შაყულაშვილს** და მონაწილე პედაგოგს, ქალბატონ **მაია ბათუაშვილს**.

**მარიამ ჩიკვაიძე**, ხარისხის მართვის მენეჯერი: *„კონფერენციაზე მოსწავლეთა გამოსვლებმა დაგვანახა მათ მიერ პრეზენტაციის უნარების ფლობა. ჩანდა მოსწავლეების მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი. საკონფერენციო კომისიას წინასწარ ჰქონდა შემუშავებული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა მომხდარიყო პრეზენტატორების შეფასება. მონაწილეები დამაჯერებლობით, ხშირად ორიგინალურობითაც გამოირჩეოდნენ. მათ საპრეზენტაციო რეგლამენტი დაიცვეს, მსჯელობდნენ ძირითადად ზეპირად, ჰქონდათ კონტაქტი აუდიტორიასთან, მათი მეტყველება და ინტონაცია იყო გამართული.*

***გთავაზობთ ერთ-ერთი გამარჯვებულ თემას – Homeless Children, ავტორი – თენგიზ ფოლადაშვილი:***

**უსახლკარო ბავშვები**

(ქართული თარგმანი)

„ჩვენ ვართ ბავშვები და ჩვენ ვართ მსოფლიო“ – ეს სიტყვები რეკავს ზარივით მთელი მსოფლიოს ირგვლივ. ფაქტობრივად, ეს სიმართლეა, რადგან ჩვენ მართლაც მსოფლიო ვართ. ჩვენი ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია ჩვენზე. დღევანდელი ბავშვები გახდებიან სამყაროს მმართველები ხვალ. სწორედ ამიტომ, ჩვენ – ბავშვებს გვჭირდება დიდი ზრუნვა, ყურადღება და სიყვარული.

მიტოვებული და მიუსაფარი ბავშვების ნაკადი გავრცელდა ბევრ ქვეყანაში 1990-იანი წლების ადრეულ პერიოდში. დღეს-დღეისობით საკმაოდ ძნელია განსაზღვრო ზუსტი რაოდენობა იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ცხოვრობენ ქუჩაში. პრობლემა უფრო აშკარაა ზაფხულის თვეებში, როცა ბავშვები მიდიან დიდ ქალაქებში სამათხოვროდ და ცხოვრობენ ქუჩაში, სანამ ამინდი ამის საშუალებას აძლევს მათ. ზამთარში მიწისქვეშა გადასასვლელები იფარებს მათ და ცუდი ამინდი საზოგადოების თვალისთვის შეუმჩნეველს ხდის. დიდ ქალაქებში ბევრი მუნიციპალური მთავრობა აწარმოებს ქუჩის პერიოდულ გაწმენდას ბავშვებისაგან და აგზავნის მათ სპეციალურ დაწესებულებებში. ბევრ შემთხვევაში სოციალური მუშაკები და პოლიცია პოულობს ისეთ ბავშვებს, რომლებიც იმდენად პატარები ან გაუნათლებლები არიან, რომ არ იციან თავიანთი სახელი ან ასაკი, სახელმწიფო თავშესაფრებს და სხვადასხვა ცენტრებს არა აქვთ უფლება შეიფარონ ბავშვები ლეგალური საბუთის გარეშე. ბავშვებს, რომელთაც არ გააჩნიათ ეს საბუთები, მიჩნეულნი არიან არალეგალურ ემიგრანტებად და ხშირად აძევებენ ქვეყნიდან. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობს, დაეხმაროს ამ ახალგაზრდებს.

ბავშვთა სიღატაკე გაიზარდა მსოფლიოში ეკონომიკური სიტუაციის, ომის და შეიარაღებული კონფლიქტების გამო, რომელმაც გამოიწვია მასობრივი მიგრაცია. შვიდი მილიონი ადამიანი, რომელთა მესამედზე მეტი 18 წლამდე ასაკისაა, იძულებული გახდა გადასახლებულიყო. იუგოსლავიის ყოფილ ქვეყნებში 150 000-ზე მეტმა ქალმა და ბავშვმა დატოვა თავიანთი სახლი და ბევრი ველარც დაბრუნდა.

მსგავსი შემთხვევა მოხდა ჩვენს ქვეყანაში 1990-იან წლებში, როცა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობა გახდა ლტოლვილი და გაიფანტა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. მაგრამ მშობლებმა მოახერხეს ჩამოსახლება და არ მიატოვეს თავიანთი შვილები ქუჩაში.

უმუშევრობა იზრდება და ბავშვებს პრობლემები ექმნებათ, რადგან მშობლები ვერ უზრუნველყოფენ მათ. მშობლები აგრძელებენ ბავშვების მიყვანას უპატრონოთა თავშესაფრებში იმის იმედით, რომ ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან საჭმლითა და თავშესაფრით. სახელმწიფო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ ბევრ ბავშვს საცხოვრებლით და ისინი კვლავ უბრუნდებიან ქუჩის ცხოვრებას, მათხოვრობას და იწყებენ ნარკოტიკების მიღებას.

ოჯახებს, რომლებსაც შვილად აჰყავს ბავშვი, მინიმალურ თანხას უხდიან, რათა უზრუნველყოს შვილად აყვანილი ბავშვი. შვილად აყვანის სისტემა ცდილობს, ჩამოაყალიბოს ბავშვის ურთიერთობა მშობლებთან.

ზოგიერთ ქვეყანაში, სამთავრობო კანონის მიხედვით, არმიას შეეძლო აეყვანა 14 წლის ან უფრო მეტის ბიჭები ობოლთა თავშესაფრებიდან და მარტოხელა დედებისაგან. აყვანის ამ ფორმას ჰქონდა პრაქტიკა II მსოფლიო ომში, როცა ბიჭები იწვრთნებოდნენ ნაცისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩემს პატარა მოხსენებაში მე ვისაუბრე უსახლკარო ბავშვების შესახებ ზოგადად. რაც შეეხება ჩემს ქვეყანას, საქართველოს, ბავშვთა ბევრი ორგანიზაცია ცდილობს მხარი დაუჭიროს უსახლკარო, მიუსაფარ ბავშვებს. ბევრი საქველმოქმედო ღონისძიება და კონცერტი ტარდება, რათა გაუმჯობესდეს იმ ბავშვთა მდგომარეობა, რომელთაც არ ჰყავთ მშობლები ან იზრდებიან სხვადასხვა ობოლთა თავშესაფარში. ყველაზე აქტიური ორგანიზაცია არის ფონდი „იავნანა“ – პაატა ბურჭულაძის ხელმძღვანელობით. ფულის გადარიცხვა უამრავი ტელემაყურებლის მიერ, ოჯახებს აძლევს შანსს, წამოიყვანონ თავიანთი შვილები თავშესაფრებიდან და აღზარდონ სახლში. „პროფილი“ ეხმარება ბავშვებს იპოვონ მშობლები.

ვიმედოვნებ, რომ ყველა ბავშვს ექნება თბილი ბინა, საჭმელი, ტანსაცმელი და განათლების მიღების პირობები. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვართ ქვეყნის იმედი და მომავლის მშენებლები.

მე მრავალჯერ მიმიღია მონაწილეობა ამგვარ აქციებში. ვფიქრობ, ჩემი მცირეოდენი წვლილი წაადგება ამ დიდი პრობლემის გადაწყვეტას.

დაბოლოს, ვინატრებდი, მეცხოვრა ისეთ საქართველოში, სადაც არ იქნებოდა არც ერთი უპატრონო და მშიერი ბავშვი.

***მარინა ბენიძე***

# კვლევისა და დამოუკიდებელი აზროვნების გაკვეთილი

ვარკეთილის საჯარო სკოლის (დირექტორი – **ლიანა მელიქიშვილი**) VIIIა კლასის მოსწავლეებს არასოდეს დაავიწყდებათ 2010 წლის 2 ივნისი. ამ დღეს ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი, თემაზე – „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“. შეიძლება ითქვას, რომ ეს კვლევისა და დამოუკიდებელი აზროვნების გაკვეთილი იყო. სწორედ ასეთი დღეები ხდის სასკოლო ცხოვრებას საინტერესოს.

როდესაც მერვეკლასელებს ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების იდეა გავაცანი, მოიწონეს და დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ მზადებას. გადავწყვიტეთ, გაკვეთილზე მოგვეწვია ამავე სახელწოდების წიგნის ავტორი, შესანიშნავი მკვლევარი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება, პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე** და ჩვენი მუშაობა თანამედროვე მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებით წაგვემართა.

მოსწავლეებმა მასალა ინტერნეტიდან და წიგნებიდან მოიძიეს. საკუთარი ხელით დაამზადეს თვალსაჩინოებები და სქემები. მოძიებულ მასალას ერთმანეთს აჯერებდნენ, შემდეგ ჩემთან გადიოდნენ კონსულტაციას და მიზიარებდნენ საკუთარ მოსაზრებებს შეგროვილ მასალაზე. მე მხოლოდ მიმართულებას ვაძლევდი და მთავარი მიზანიც გამოიკვეთა – მერვეკლასელებს გაკვეთილზე წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ნამდვილი მაგალითი უნდა ეჩვენებინათ.

ჩემ მიერ შედგენილი საგაკვეთილო გეგმა ასე გამოიყურებოდა:

**გაკვეთილის თემა**: „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“.

**მიზანი**: რადგან წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა პრობლემას წარმოადგენს, მოსწავლეებს უნდა:

- მოეძიებინათ, რაც შეიძლება სრულყოფილი, მასალა საგაკვეთილო თემის ირგვლივ;
- შეესწავლათ არა მარტო შატბერდული ძეგლები – ადიშის, ჯრუჭის და პარხლის ხელნაწერები, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ხელნაწერიც;
- გაემახვილებინათ ყურადღება ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიულ მდებარეობაზე;
- მოემზადებინათ IX-X საუკუნეების ძეგლების ისტორიული მიმოხილვა;
- გასცნობოდნენ ქართული ანბანის განვითარების საფეხურებს, ენახათ უძველესი ხელნაწერები;
- ემსჯელათ წიგნის შექმნის ისტორიაზე და იმ მასალაზე, რისგანაც შედგებოდა წიგნი;
- ესაუბრათ წიგნის მხატვრობაზე;
- კვლევა-ძიებით ამოეწურათ შერჩეული თემა.

**გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები და მეთოდები**: მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო ექსკურსია ხელნაწერთა ინსტიტუტში; გამოიკვეთა ჯგუფური მუშაობის პრინციპი, რითაც თავს გავართმევდით სამუშაოს; გამოყენებული იყო ინდივიდუალური კვლევები; გაიმართა პრეზენტაცია კოგნიტური დიაგრამებისა და ვენის დიაგრამების დახმარებით; მომზადდა საინტერესო თვალსაჩინოება.

გაკვეთილისთვის მზადების პროცესში ჩავრთეთ ყველა რესურსი, რისი გამოყენებაც საჭიროდ მიგვაჩნდა: საქმიანობა სკოლის ბიბლიოთეკაში და კომპიუტერების კაბინეტში გაკვეთილების შემდეგ; ვიდეოფილმებისა და ფოტოკოლაჟების მომზადება, ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის დროს მოპოვებული მასალით.



გაკვეთილი უაღრესად დამაჯერებლად წარიმართა. ეს იყო საინტერესო მასალით გაჯერებული ერთი საათი, რომლითაც ყველა კმაყოფილი დარჩა – მსმენელიც და შემსრულებელიც.

გაკვეთილს ესწრებოდნენ: პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე**, სკოლის დირექტორი **ლიანა მელიქიშვილი**, დირექტორის მოადგილეები – **მარინა მგალობლიშვილი** და **მაია ფალიანი**, სკოლის მასწავლებლები და მშობლები.

მოსწავლეებმა საინტერესოდ ისაუბრეს ქართული დამწერლობის შესახებ, ანბანის განვითარების საფეხურებზე. წარმოადგინეს თვალსაჩინოება: **დათო ჭამელაშვილმა** ნამდვილი ეტრატი მოამზადა. ხბოს ტყავი დაამუშავა და ზედ დაწერა კიდეც; მოსწავლეებს მურისა და წებოსგან ჰქონდათ დამზადებული მელანი, გამოიყენეს საწერი ფრთები. მათ სინგურისფერ მელანზეც ისაუბრეს; ახსნეს, როგორ და ვინ ამზადებდა ქართულ წიგნებს; როცა წიგნის ბეჭდვის ტექნოლოგიაზე დაიწყეს საუბარი, საბეჭდი მანქანის გამოგონებასთან დაკავშირებით, მოულოდნელი და ინტერესის შემცველი აღმოჩნდა ფიზიკის ჩართვა.

გაკვეთილის ყველაზე ძლიერი ნაწილი მაინც ჯგუფების პრეზენტაცია იყო. პრეზენტატორებმა დამაჯერებლად ისაუბრეს ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებზე.

გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლების ჩართვამ გაკვეთილს საინტერესო მუხტი შესძინა. გეოგრაფიის მასწავლებელს **მარი ციცაგს** სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა მიზნის მისაღწევად.

**ლევან გიგლემიანმა** ვიდეოფილმის პრეზენტაცია მოახდინა – ქართული ანბანი, ხელნაწერთა ინსტიტუტში ჩვენი ექსკურსია და ხელნაწერი წიგნების მხატვრობა წარმოადგინა.

მოსწავლეებმა, ასევე, ისაუბრეს ხელნაწერთა ინსტიტუტში მოპოვებულ მასალაზე და იმაზე, თუ როგორ მონაწილეობდნენ წიგნების აღდგენით სამუშაოებში.

გაკვეთილის ხელოვნებასთან ინტეგრირებამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა, რამდენიმე წუთში, თვალწინ გაგვიცოცხლეს კამაროვან-თაღოვანი, უმშვენიერესი წიგნები, ფასდაუდებელი ეროვნული საგანძური. ისაუბრეს ოქრომელანზე და ოქროს ფირფიტებზე, რომელზეც ჩვენი დიდებული მხატვრები ხატავდნენ. საინტერესო იყო მრავალფეროვანი თვალსაჩინოება და ინფორმაცია საწერ-კალმების, ანუ ფრთების შესახებ.

მეოთხე ჯგუფმა საპრეზენტაციოდ ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა შეარჩია.

არც სახელოვანი მკვლევარი ზურაბ ჭუმბურიძე დავიწყებიათ, მისი მეცნიერული საქმიანობის შესახებაც ისაუბრეს.

ჩვენმა შრომამ შედეგი გამოიღო და ყველაზე მეტად სასიხარულო ის იყო, რომ ამ შრომაში დიდი წვლილი შეიტანეს მოზარდებმა. გაკვეთილის მიზანს სრულად მივაღწიეთ.

დასასრულ, პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ სიტყვით მიმართა მოსწავლეებს და სტუმრებს. მან მოგვიწონა პროექტი, გაგვახმნევა და ბავშვების შეკითხვებსაც გასცა პასუხი.

მოსწავლეებმა კი ასეთი დავალება მიიღეს დასაწერად – „კვლავ ვიწყებთ კვლევას“. საინტერესოა, რას აირჩევენ, რა სურთ? ეს უკვე მომავლის საქმეა. მთავარია, რომ სურთ, მთავარია, რომ აირჩევენ.

***დალი მაზმიშვილი***
*გარდაბნის რაიონის სოფელ ვარკეთილის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

# მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახში

წვიმიანი მაისია. თითქოს მოსაწყენი და მომაბეზრებელი, ერთფეროვანია ყოველი დღე. 16 მაისს კი ცხრათვალა მზემ გამოაჭყიტა ღრუბლებიდან, მერე იმძლავრა და მტკიცედ დამკვიდრდა ცაზე. შესანიშნავი საექსკურსიო ამინდი დადგა. განწყობამაც შეიცვალა. ენერგიულები და მხიარულები გავემგზავრეთ თბილისში. ღია გაკვეთილი უნდა ჩაგვეტარებინა მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახში, სადაც ამჟამად მწერლის მუზეუმია. 11 საათზე უკვე დანიშნულ ადგილზე ვიყავით. მოსწავლეები ღელავდნენ. მათთვის ხომ ასეთი გაკვეთილი მეტად საპასუხისმგებლო, ერთგვარი შიშის მომგვრელიც კი იყო, მაგრამ მასპინძლების გულთბილმა მოპყრობამ და დიდი მწერლის ქალიშვილის, **რუსუდან ჯავახიშვილის** სათნო და მშვიდმა სახემ, სიკეთით აღსავსე თვალებმა მღელვარება განმუხტა.

გაკვეთილი დაიწყო ხაშურის №9 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა **ნინო შალიბაშვილმა**. გაკვეთილის თემა – საბჭოთა კავშირი და პატრიოტული იდეოლოგია. მოსწავლეები ერთმანეთს ეცილებოდნენ ცოდნის გამოსავლენად. როცა საკითხი 1930-იანი წლების რეპრესიებს შეეხო, გაკვეთილში ქალბატონი რუსუდანი და მუზეუმის დირექტორი **ნუგზარ ერისთავი** ჩაერთნენ. ბევრი რამ გაიხსენეს მწერლის ტრაგიკული ბიოგრაფიიდან. მათმა ამ მოგონებებმა მრავალი კითხვა დაბადა მოსწავლეებში. საკმაო ხანს გაგრძელდა დიალოგი სტუმარ-მასპინძელს შორის.





გაკვეთილი კიდევ უფრო საინტერესო გახადა ხაშურის №9 საჯარო სკოლის დირექტორის, აკადემიკოს **მურად მთვარელიძის** სიტყვამ. მან აღნიშნა: *„ძალიან სამწუხაროა, რომ VII კლასში მოსწავლეები სიღრმისეულად ვერ იცნობენ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას, მაგრამ სახლ-მუზეუმის დათვალიერება და ქალბატონ რუსუდანთან საუბარი უფრო მეტად აღძრავს ინტერესს მწერლის შემოქმედებისადმი“*. მან ქალბატონ რუსუდანს საკუთარი ახლად გამოცემული წიგნი „ქრონიკები ტიციან ტაბიძის ცხოვრებიდან“ უსახსოვრა.

სტუმრობა სახლ-მუზეუმის დათვალიერებით, სამახსოვრო ფოტოების გადაღებითა და ავტოგრაფების ჩამორთმევით დასრულდა.

ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ ყმაწვილებს. დიდი მწერლის ტრაგიკულ ბედსა და შემოქმედებასთან კიდევ ერთხელ მიახლოებასთან ერთად, მათ სულიერ საგზლად გამოჰყვათ მწერლის ღირსეული ქალიშვილისა და ოჯახის წევრების გულის სითბო და სიყვარული. ეს მართლაც დაუვიწყარი და ამაღელვებელი დღე იყო, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.



***მაია გრიგალაშვილი***
*ხაშურის №9 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

# „ხელოვნების სიყვარულით“

სკოლა-გიმნაზია „გორდაში“ (დირექტორი – **მერი აფხაზავა**) დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას, მათში ხელოვნების სიყვარულის გაღვივებას. ამ საქმეს, დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები), უძღვება სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, ხელოვნებაზე შეყვარებული პედაგოგი **თამარ კელაპტრიშვილი**. მისმა დაუღალავმა შრომამ, ბავშვების სიყვარულმა, მათთან შემოქმედებითად მიდგომამ მოსწავლეებში ხატვის დიდი სიყვარული გააღვიძა. სასწავლო წლის განმავლობაში მათი ძალებით რამდენიმე სასკოლო გამოფენაც მოეწყო: „თეთრი ზამთარი“, „დაიბადა იესო“, „გამარჯობა გაზაფხულო“... პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, II-VI-კლასელებმა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში კიდევ ერთი ვერნისაჟი შემოგვთავაზეს. საოცარი ძალა აქვს ხელოვნებას. ის ხომ ფუნჯით, საჭრეთელით, კალმით გაცოცხლებული მრავალფეროვანი სამყაროა, რომლის გააზრებასა და აღქმაში ჩვენს მოსწავლეებს თამრიკო მასწავლებელი ეხმარება. ჟანრობრივად საინტერესო და მრავალფეროვან ნამუშევრებში კარგად ჩანს პატარების განცდებისა და ოცნებების გადმოცემის დიდი სურვილი. მასალად გამოყენებული აქვთ: ფანქარი, გუაში, აკვარელი; ასევე მრავალფეროვანია ინტერესის სფეროც – პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები და აბსტრაქციაც კი.

გამოფენაში მონაწილეობდნენ: **ნიკოლ იაგორაშვილი, ქეთევან ჯამასპიშვილი, გვანცა გოგნაძე, ლაშა კეკუტია, გიორგი შაყულაშვილი, ვიქტორია ბახტურიძე, რატი ჯებისაშვილი, ავთანდილ დვალიშვილი, თიკა ლეჟავა** და სხვ.

ყურადღება მიიქცია **ქეთი ჯამასპიშვილის** მრავალფეროვანმა ნახატებმა. ძალიან საინტერესო იყო **ბესიკ მეკინულოვის** აბსტრაქტულ თემაზე შექმნილი ნამუშევარი, ხოლო **ნიკოლ იაგორაშვილის** ნახატი „აღელვებული ზღვა“ და „დიდი ცეცხლოვანი მზე“ უკვე ბავშვის ნამუშევარზე მეტია. მას ხშირად უწევს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება და ეს ნახატებიც მოგზაურობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ერთგვარი ანარეკლია. გამოფენა სკოლის მოსწავლეებმა, მათმა მშობლებმა და მასწავლებლებმა დაათვალიერეს. თამარ კელაპტრიშვილი და მისი მოსწავლეები სკოლის დირექციამ სიგელებით დააჯილდოვა.

***ნინო მოლაშხია***
*სკოლა-გიმნაზია „გორდას“ დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში*




# ლექსო, ნუ დაიკარგები!

იწურება სწავლითა და შემოქმედებითი შრომით აღსავსე სასწავლო წელი. თბილისის 54-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **ზინა წერეთელი**) VII$^{ბ}$ კლასელებმა ქართული ფოლკლორის საღამო ჩაატარეს (პედაგოგები – **მანანა ბარბაქაძე, ნანა მუხაშვილი**).

ქართული ფოლკლორი, ხალხის სიტყვიერი შემოქმედება ქართველი ერის უდიდესი განძია, თაობიდან თაობას გადაეცემა და დღესაც მდიდრდება ახალი მარგალიტებით.

პედაგოგმა მანანა ბარბაქაძემ ფართოდ გაუღო კარი ბავშვებს ამ ჯადოსნურ სამყაროში, რომლის საგანძურის შეგროვებას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია XIX საუკუნის თვალსაჩინო მოღვაწე **პეტრე უმიკაშვილმა**.

ბავშვებმა დიდი სიყვარული ჩააქსოვეს საგმირო ეპოსის, რელიგიური, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო, დედისადმი მიძღვნილი, ფოლკლორული ლექსების, ლოცვების, ბრძნული გამონათქვამების შესწავლას.

ლექსებს ენაცვლებოდა ხალხური სიმღერები, ჩონგურისა და გიტარის თანხლებით. თავი გამოიჩინა სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა „უშბამ“ **გიზო გურჩიანის, რუსუდან** და **მიხეილ ლიპარტელიანების** შემადგენლობით; ვაჟთა დუეტმა – **საბა ელიზბარაშვილმა** და **ვაჟა ოქიტაშვილმა** სახუმარო შაირები შეასრულეს, **ლალი** და **მაია ბედინაშვილებმა** – საგალობლები.

საღამოს ესწრებოდნენ სტუმრები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლიდან. მათ მაღალი შეფასება მისცეს მოსწავლეთა შემოქმედებას და მოუწოდეს, თვითონაც შეაგროვონ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ითანამშრომლონ თსუ-ს ფოლკლორის კათედრის წევრებთან და მოსწავლეთა სასახლის ფოლკლორის წრესთან.

***თამარ ქრისტესაშვილი***
*54-ე საჯარო სკოლის პედაგოგი*



# თაობათა ენერგიით დამუხტული საღამო

სასწავლო წლის დასასრულ თბილისის 124-ე საჯარო სკოლის X$^{3}$ კლასელებმა (ხელმძღვანელი – **ციცო ყურაშვილი**) გადაწყვიტეს, თავიანთი ბებია-ბაბუებისთვის სიყვარული გაემხილათ და მიეგოთ პატივი, რასაც ეს თმაშევერცხლილი და მათზე ზრუნვაში დაღლილი ამაგდარი ადამიანები უდავოდ იმსახურებენ. „ფესვებს მოვუაროთ, ფესვებს მოვეფეროთ!“ – ასე ერქვა ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას, რომლითაც შვილიშვილები – ქვეყნის ხვალინდელი დღის შემოქმედნი შეხვდნენ თავიანთ ძლიერ და უბერებელ ფესვებს, რომლებზეც ასე მკვიდრად და ძლიერად დგანან.





ერთმანეთს სცვლიდა სიმღერა, ცეკვა, ლექსი და იუმორი. საიდან არ გვეწვივნენ ბებია-ბაბუები, მოვიდნენ და მოჰყვათ კახური ვაზის სურნელი, იმერული იუმორი, თონეში ჩაკრული პურის სითბო, ნაჯაფი და მზით გარუჯული ხელები, სიხარულითა და სიყვარულით სავსე გული.

დარბაზი მაისის მზითა და ყვავილებით იყო სავსე. მაცაცო სებისკვერაძის, ალექსანდრე ბასილაიას, რევაზ ლაღიძის სიმღერები შეასრულეს: **გვანცა გაგნიძემ, თაკო ბარბაქაძემ, სოფო კვირკველიამ**.

შეხვედრა კიდევ უფრო შინაარსიანი და საინტერესო გახადა ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „სისხლის“ მიხედვით მეცხრეკლასელ **თინიკო ხაჩიძის** მიერ შექმნილმა სცენარმა. **დათო გაფრინდაშვილმა** (ბაბუა), **ანი რჩეულიშვილმა** (ბებია) და **ლაშა კაკაშვილმა** (შვილიშვილი) სცენური მომხიბვლელობითა და დახვეწილი მეტყველებით სტუმართა მოწონება დაიმსახურეს.

შვილიშვილებმა, მოკრძალებულ საჩუქრებთან ერთად, საყვარელ ბებია-ბაბუებს წერილობითაც უსახსოვრეს თავიანთი სურვილები.

დარბაზი ორი თაობის ენერგიით იყო დამუხტული, ორი თაობა სიყვარულითა და აღტაცებით ანგარიშს აბარებდა და ესტაფეტას გადასცემდა ერთმანეთს.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ისანსამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის სპიკერი, **რუსუდან კერვალიშვილი, ნინო ოსიტაშვილი, თათა ახობაძე**, 83-ე საჯარო სკოლის დირექტორი **ნინელი ადამაშვილი** და სხვ.

რუსუდან კერვალიშვილი: *„ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, რადგან გამორჩეული იყო ყველა იმ ღონისძიებისაგან, რომელსაც დავსწრებივარ. დიდი მადლობა ღონისძიების იდეის ავტორებს –* ***თინა ონიანს, ციცო ყურაშვილს, იზო გურგენიძეს****, ასევე, მეათეკლასელ მოსწავლეებს ამ თბილი შეხვედრისთვის“.*

სტუმრებს მობრძანებისათვის მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექტორმა **ელენე შაბურიშვილმა** და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, პრეზიდენტის სტიპენდიანტმა **თინა ონიანმა**. აღინიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები აახლოებს სკოლასა და ოჯახებს, ხელს უწყობს მოსწავლეების ზნეობრივ აღზრდას.

***იზო გურგენიძე***
*124-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

# ...ისეთი ლამაზია ველური ტიტებითა და ზამბახებით მოფენილი ველები

ბუნება ადამიანის მეგობარია, მით უმეტეს, თუ შენც მეგობრობ მასთან – უფრთხილდები, უვლი, იცავ. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა და ყველა ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების წესი უნდა იყოს, მაგრამ ცხოვრების წესად რომ იქცეს, ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა ეზიაროს მის სიდიადესაც და სინაზესაც, ისწავლოს მისი მოვლა. ამ მიზანს ისახავდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების (ადმინისტრაციის უფროსი – **მერაბ ფიროსმანაშვილი**) და ჭაჭუნის აღკვეთილის (დირექტორი – **კაკო ტეტელოშვილი**) ხელმძღვანელების მიერ ჩატარებული ბუნების დასუფთავების აქცია ხორნაბუჯის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელშიც სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლის (დირექტორი – **ლალი მენთეშაშვილი**) VII-X კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების და ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაციასა და სპეციალისტებთან ერთად ბავშვებს კლასის ხელმძღვანელებიც ახლდნენ. სამუშაოს დაწყებამდე მათ მოისმინეს სპეციალისტების – **ხათუნა ქოქუაშვილის** და **დალი თავდიშვილის** ინფორმაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის და ჭაჭუნის აღკვეთილის ღირსშესანიშნავი ბუნების ძეგლების შესახებ, რამაც ძალიან დააინტერესა ბავშვები და ექსკურსიაზე წასვლაც გადაწყვიტეს. შემდეგ ტერიტორია საგულდაგულოდ დაასუფთავეს. ხანგრძლივი წვიმებისაგან მომძლავრებული ბალახი მოსწავლეებს მუხლამდე სწვდებოდა. ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და მარჯვე ყმაწვილებმა ცელები მოიმარჯვეს და საპიკნიკეს გარშემო ტერიტორია გათიბეს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ კლასის ხელმძღვანელებთან – **სესილი ზედგენიძე, მარიკა პოპიაშვილი, ციალა გოგილაშვილი, რუსუდან გონაშვილი, ლელა ჯავაშვილი, ლუდმილა ნასრაშვილი** – ერთად ხორნაბუჯის ციხეზე ავიდნენ და იქიდან გადახედეს ალაზნის ველს და კმაყოფილები დაბრუნდნენ შინ.

ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და ვაშლოვანის ადმინისტრაციის უფროსს მერაბ ფიროსმანიშვილს და ვიზიტორთა მომსახურების უფროს სპეციალიტს ხათუნა ქოქუაშვილს გავესაუბრეთ.

**მერაბ ფიროსმანაშვილი:** *„გამოიდარა თუ არა, სასწრაფოდ დავიწყეთ გზების და ბუნგალოების გარშემო ტერიტორიების მოწესრიგება, რადგან ვიზიტორთა დიდ რაოდენობას ველოდებით როგორც საქართველოდან, ასევე საზღვარგარეთიდან. ავ თვალს არ ენახვება, ისეთი ლამაზია ველური ტიტებითა და ზამბახებით მოფენილი ველები. სანახავი და სასიამოვნო მართლაც ბევრია“.*

**ხათუნა ქოქუაშვილი:** *„სასწავლო წელი მთავრდება და მოსწავლეებსაც შეუძლიათ პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად 2-3 დღიანი ექსკურსიების მოწყობა. ჩვენ შეგვიძლია, მოვემსახუროთ კეთილმოწყობილი ბუნგალოებით და კარვებით. წელს ახალი სამარშრუტო სვლა-გეზი გვაქვს – სპორტული სათევზაო ტური მდინარე ალაზანზე, ასევე ერთდღიანი სვლა ტახტითევას ტალახის ვულკანებზე. ჩვენი სამინისტროს დახმარებით შემოვიყვანეთ ქურციკები, რომლებისთვისაც 5-ჰექტრიანი ვოლიერია შემოღობილი და ნებისმიერ დროს შეიძლება მათი ნახვა. იგეგმება ახალი ტურისტული ბილიკები“.*

საქართველოს ყველა რეგიონის საჯარო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის ნამდვილი სიურპრიზი იქნება დედოფლისწყაროს დაცული ტერიტორიების ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის ხილვა.

ტურიზმი ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული დარგი იქნება.

*მარიკა პოპიაშვილი*

# ნოდარ დუმბაძე პატარებისთვის





სასწავლო წლის განმავლობაში მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა 90-ე საჯარო სკოლის IIა კლასში (პედაგოგი **მანანა ბეგიაშვილი**). მეტად საინტერესო და მხიარული იყო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ერთვოდა ფშავ-ხევსურული ცეკვა-სიმღერები და ეროვნულ სამოსში გამოწყობილი პატარების ოსტატობა. ამას მოჰყვა გალაკტიონ ტაბიძის საღამო; სკოლის მუზეუმში მეტად შთამბეჭდავ გარემოში ჩატარდა ანა კალანდაძის საღამო. ამ ღონისძიებათა ჯაჭვის ბოლო რგოლი და დამაგვირგვინებელი იყო ნოდარ დუმბაძისადმი მიძღვნილი ღონისძიება. პატარებმა თვითონვე მოიძიეს და შეარჩიეს სასურველი ლექსები, ისწავლეს და წარმოადგინეს მშობლებისა და პედაგოგების წინაშე. დამსწრეთ მწერლის ბიოგრაფია **მარი ჩინჩილაშვილმა** გააცნო. შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ **მარიამ მაისურაძე, ავთო დათიაშვილი, მარი კორკოტაშვილი, ლუკა ტაბატაძე, ედგარ კალანდაროვი, ლიკა ხატიაშვილი, დავით სადუნიშვილი, ზუკა ქვარცხავა, ლევან ზაუტაშვილი, ქეთევან ლაგაზაშვილი, ქეთევან მერკვილაძე, ხათუნა ხუდოიანი, გიორგი ჯიბლაძე.** მათ წაიკითხეს საბავშვო ლექსები; ოსტატურად გააინსცენირეს „პრანჭიები“ **ლევან ბასილაშვილმა, მარი ხატისკაცმა, თემურ მუშკიაშვილმა** და **ლაშა ჩიბიროვმა;** მოწონება დაიმსახურა **ნინო ქაჯაიასა** და **მარი ფრიდონიშვილის** „მანანა და ლალიმ“, **სალომე ხაბელაშვილისა** და **ანი მოდებაძის** „ნუგეშმა“, **გიორგი კორკოტაშვილისა** და **თიკა გაფრინდაშვილის** „გაბაასებამ“. ლექსებს საბავშვო, სახალისო სიმღერები ცვლიდა, ბოლოს კი „პატარა მსახიობებმა“ წარმოადგინეს სცენა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“. ოსტატურად მოირგეს როლები **გუკა კორძაძემ, ნიკა ბუჩუკურმა, ლუკა ნარიმანიძემ, ნიკა თათოშვილმა, მარიამ ხუციშვილმა** და **ნინო სირბილაშვილმა.**




ვფიქრობ, მიღწეულია მიზანი, რომელიც პატარებისთვის ქართველი სასიქადულო მწერლების და მათი შემოქმედებით დაინტერესებას გულისხმობს.

*ანა ნარინდოშვილი*

# სახელობო სწავლება ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის სამსახურში

როცა ორი გუნდი ანდა ორი ინდივიდი ეჯიბრება ერთმანეთს, უეჭველია, ერთ-ერთი უნდა დამარცხდეს, მაგრამ ჩვენ მოგიყვებით შემთხვევაზე, როცა დამარცხებული არავინაა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საპატრიარქოს ინიციატივით, საქართველოს საჯარო სკოლებში, სულიერი და ფიზიკური წრთობის მიზნით, ახალგაზრდულმა მოძრაობა „დავითიანმა“ მოაწყო ტურნირი კალათბურთში, ფრენბურთსა და სხვა სახეობებში.

კალათბურთის ტურნირში მონაწილეობდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საჯარო სკოლები: №67, №58, №72, №21, №144, №65, №49 და სხვ., რომელთა შორის გამარჯვებული შემდეგ ეტაპზე ქალაქის სხვა რაიონების გამარჯვებულებს შეხვდება.

აი, სწორედ ამ გუნდების შეხვედრების დროს 67-ე საჯარო სკოლის სახელობო სწავლების კაბინეტმა, რომელიც, ორი წელია, კერამიკა-მინანქრის განხრით შევქმენით, დააწესა პრიზი კალათბურთში საუკეთესო და ეფექტური მოთამაშისათვის.

პრიზების სახეობებს და მრავალფეროვნებას რა გამოლევს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი კერამიკული ლარნაკი, შეიძლება, მათ შორის ყველაზე დასაფასებელია, იმიტომ რომ ის 67-ე საჯარო სკოლის სახელობო კაბინეტში მოსწავლეების მიერ შეიქმნა. მათ გადაწყვიტეს, საკუთარი ნახელავი საჩუქრად გადაეცათ გამარჯვებულისთვის.

სახელობო სწავლების პროფილიდან გამომდინარე (კერამიკა-მინანქარი) დაწესებული პრიზიც ქართული თიხისგანაა გამოძერწილი, შემდეგ რელიეფური და ფერწერული ხერხებით შემკობილი და 950 გრადუსზე გამომწვარი.პრიზი, რომელსაც „კავკასიონი“ ჰქვია, წილად ხვდა 51-ე საჯარო სკოლის XIა კლასის მოსწავლეს **თემურ მაღლაკელიძეს.**

ისე კი, ყველას სათქმელს ვიტყვი: ამ შეჯიბრებაში დამარცხებული არავინაა, რადგანაც ფიზიკურად ძლიერი, სულიერად ჯანსაღი მოზარდი წესიერი მოქალაქე იქნება. ეს კი ყველა მშობლის, პედაგოგისა და სკოლის ოცნებაცაა და მოვალეობაც.

*ნიკო მუმლაძე*

*ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ამიერკავკასიისა და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი*

# პროექტირებული გაკვეთილი – სწავლების ახალი ფორმა

№149-ე საჯარო სკოლაში ყოველწლიურად ტარდება საგანთა კვირეული, მათ შორის საბუნებისმეტყველო საგანთა კათედრისაც. კვირეული ითვალისწინებს მოსწავლეების მომზადების დონის შემოწმებასა და მასწავლებლის მიერ გაწეული შრომის წარმოჩინებას სწავლების სხვადასხვა ხერხის გამოყენებით (ღონისძიებები, ღია გაკვეთილები, მოსწავლეთა კონფერენციები, აუდიო და ვიდეოსაშუალებები.)

კვირეულის ფარგლებში ქიმიის მასწავლებლმა **ციცინო გაგოშიძემ** ჩაატარა ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებდა სწავლების ერთ-ერთი ახალი ფორმის – პროექტირებული გაკვეთილის – ჩვენებას. პროექტის ზოგადი სახელწოდება იყო „საყოფაცხოვრებო ქიმიის სასაქონლო მასალები“. იგი მიზნად ისახავდა ქიმიის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების დემონსტრირებას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ეს ღონისძიება ითვალისწინებდა იმ საწარმოო ფირმის შექმნას, რომლის დანიშნულებაც იქნებოდა ფანჯრის მინის ახალი საწმენდი საშუალების დამზადება.





შეიქმნა ორი ფირმა „Shine“ და „Cleaner“, რომელთა ხელმძღვანელებმა – **ანა კაკულიამ და მინდია ედიშერაშვილმა** აუდიტორიას წარუდგინეს ფირმების თანამშრომლები. ყოველ მათგანს თავისი ფუნქცია ჰქონდა, რასაც ნათელყოფდა მკერდზე მიმაგრებული ნიშნები: **პიარმენეჯერი (თამთა მასხულია, დათო ძებისაშვილი), ქიმიკოსი (მარიკა ღურწკაია, ლექსო კანდელაკი), ეკონომისტი (ანა ქადაგიშვილი, პაატა ტაბატაძე), დიზაინერი (მარი მურადაშვილი, სოფო კორძაძე).** თავად პედაგოგს საყოფაცხოვრებო ქიმიკატების სახელმწიფო ინსპექტორის მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა, **კომისიის თავმჯდომარეობა კი – სკოლის დირექტორს, ქალბატონ მაია გიორგაძეს. კომისიაში შედიოდნენ: ნანა ჯულელი (დირექტორის მოადგილე, ნინო ციცქიშვილი (საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის გამგე), ნინო ბორცვაძე (ქიმიის პედაგოგი), ნინო ბერძნიშვილი (ბიოლოგიის პედაგოგი), ასმათ ბრეგვაძე (ბიოლოგიის პედაგოგი), გია ტლაშაძე (ეკონომიკის პედაგოგი).** ყველა მონაწილის წარდგინება ხდებოდა მუსიკის ფონზე. ღონისძიების მუსიკალურ გაფორმებას ხელმძღვანელობდა **გიორგი ძიძიშვილი.**

მთავარი პროექტის („საყოფაცხოვრებო ქიმიის სასაქონლო მასალები“) განხორციელებას ექვსი „ქვეპროექტით“ (1. ახალი გამწმენდი საშუალების შემუშავება და გამოცდა ლაბორატორიული გზით ; 2. ტექნიკურ-ეკონომიკური; 3. სავაჭრო ეტიკეტი; 4. მარკეტინგული კვლევა; 5. სარეკლამო კამპანია; 6. ფირმებზე სახელმწიფო სერტიფიკატის ხარისხის მინიჭება და გამარჯვებულის გამოვლენა) გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება ერთვოდა თან.

ორივე ფირმამ აუდიტორიის წინაშე დაამზადა მინის საწმენდი ახალი საშუალება. მათში შემავალი კომპონენტების დასახელება და ხსნარებში მათი პროცენტული შედგენილობა ისახებოდა მონიტორზე. ამის შემდეგ მოხდა მოსწავლეების მიერ დამზადებული ხსნარების შედარება მინის საწმენდ საშუალებებთან (Мистер Мускул, Prosy). აღმოჩნდა, რომ ახალი ხსნარები მოქმედების ეფექტურობით არაფრით ჩამოუვარდებოდა სტანდარტულს. ამასთან ერთად ისინი (ახლები) შეიცავდნენ მხოლოდ 3 კომპონენტს – წყალს, სპირტს, ამიაკს, რომელთაც ემატებოდა საღებავი საშუალებებიდან ლილა ან კვერცხის საღებავი (ორივე უვნებელი), განსხვავებით მინის საწმენდი სტანდარტული საშუალებებისაგან, რომლებიც საკმაოდ ბევრ კომპონენტს შეიცავენ. აქედან გამომდინარე, მოსწავლეების ტექნოლოგიით ხსნარების დამზადება გაცილებით იაფი ჯდება.

სწორედ ამასთან დაკავშირებით იყო საინტერესო ტექნიკურ – ეკონომიკური პროექტი. ეკონომისტის მიერ წარმოდგენილ იქნა მონაცემები, რომლებიც ნათელს ყოფდნენ, რა დაუჯდათ ფირმებს აღნიშნული ხსნარების მიღება. აქ გათვალისწინებულ იქნა ყველანაირი ხარჯი, ხსნარების დასამზადებლად საჭირო კომპონენტებიდან დაწყებული ფირმის თანამშრომლების მომსახურების საფასურით დამთავრებული, რამაც 2 ლარი შეადგინა. ეს კი გაცილებით ნაკლებია მინის საწმენდი სტანდარტული საშუალებების (Мистер Мускул, Prosy) ღირებულებაზე.

თითოეულმა ფირმამ პროექტები, ჩანაწერების სახით, თავიანთი საქაღალდით წარუდგინა საყოფაცხოვრებო ქიმიკატების სახელმწიფო ინსპექტორს.

ორივე ფირმის დიზაინერებმა აქვე გვიჩვენეს მულაჟები, ახსნეს და გაუკეთეს ეტიკეტი გამწმენდი საშუალების შედგენილობასა და გამოყენების წესებზე ( პროექტი „სავაჭრო ეტიკეტი“).

პროექტი „მარკეტინგული კვლევა“ –დიზაინერებმა წარმოადგინეს ქილებში ჩასხმული გასაყიდად გასატანი ფანჯრის გამწმენდი ახალი საშუალება და გამოკითხვების ვიდეო ჩანაწერები პოტენციურ მომხმარებელთან. ჩაირთო 1-წუთიანი სარეკლამო რგოლები (პროექტი „სარეკლამო კომპანია“).

დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ინტერვიუებმა და იმ სასარგებლო რჩევებმა, რომლებიც, სასურველია, ყოველმა დიასახლისმა იცოდეს. კომისიამ, რომლის ხელმძღვანელიც იყო **სკოლის დირექტორი მაია გიორგაძე**, ორივე ფირმას მიანიჭა გამარჯვება. მართლაც ძნელი იყო რომელიმეს გამოკვეთა. პროექტების წარმოჩენისათვის მათი ძალისხმევა მაღალ შეფასებას იმსახურებდა. ორივე გუნდს გადაეცა სერტიფიკატი და სიგელები.

ღონისძიება ნამდვილად საინტერესო იყო. მთავარი ისაა, რომ მოსწავლეები სკოლის მერხიდანვე ეჩვევიან იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც შემდგომში აუცილებლად გამოადგებათ. დღეს X-კლასელებმა, ერთი შეხედვით, მარტივ აღმოჩენას მიაგნეს, უეჭველია, მომავალში ამ ახალგაზრდების ინტერესთა სფერო გაიზრდება...

***ჟუჟუნა პაპაშვილი***

*149-ე საჯარო სკოლის პედაგოგი*

## სპორტი

# მუშტი-კრივით დახურული უნივერსიადა

ილიას უნივერსიტეტის გამარჯვებით დასრულდა „სტუდენტური უნივერსიადა-2010“. გამარჯვებულთა წილად 40 მედალი მოდის – 16 ოქრო, 13 – ვერცხლი და 11 – ბრინჯაო. გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი თსუ-ს ხვდა წილად, მესამე – აგრარულ უნივერსიტეტს იმის მიუხედავად, რომ მედლების საერთო რაოდენობით აჯობეს კონკურენტს – თსუ-ს წილად 33 ჯილდო მოდის, ამათი მონაგარი კი 36 მედალია. მაგრამ ორგანიზატორები ყურადღებას ოქროებს აქცევენ, ამ მაჩვენებლით კი თსუ უსწრებს კონკურენტს და საერთო ჩათვლაშიც გუნდური მეორე ადგილი ამიტომ ირგუნა. მათ 15 ოქრო და 9-9 ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს, აგრარულის სტუდენტებმა – 12 ოქრო, 14 ვერცხლი და 10 ბრინჯაო. მეოთხეზე სტუ გავიდა 32 მედლით, მეხუთეზე – სამედიცინო უნივერსიტეტი 26 ჯილდოთი.

უნივერსიადა 11 ივნისს დასრულდა და სწორედ ამ დროს მოხდა ის ამაზრზენი ფაქტი, რაშიც გამარჯვებული ილიას უნივერსიტეტი აღმოჩნდა გარეული და რომელმაც ჩირქი მოსცხო არა მარტო ამ სასწავლებელს და უნივერსიადას, თვით ილიას სახელსაც. იმ დღეს მინი-ფეხბურთში ფინალური შეხვედრა იმართებოდა ილიასა და ეროვნული უნივერსიტეტების გუნდებს შორის. საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, სადაც ბოლო დარტყმას ილიას უნივერსიტეტის წარმომადგენელი ასრულებდა, ანგარიში კი 3:2 იყო მათი მეტოქის სასარგებლოდ. ბოლო მონაწილემ პენალტი კი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა, სასტვენამდე დაარტყაო და განმეორებით შესრულება მოითხოვა. პირველი შეხლა-შემოხლა ამ ეპიზოდს მოჰყვა, მაგრამ მონასტერი განსაკუთრებით მას შემდეგ აირია, როცა განმეორებითი დარტყმა მეკარემ მოიგერია. ფეხბურთელებმა საკუთარი რისხვა არბიტრზე გადაიტანეს, რომელსაც მთელი გუნდი დაესია, წააქციეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ასევე კოლექტიურად ურტყამდნენ. შედეგად, მსაჯმა მრავლობითი დაზიანებები მიიღო სახის არეში. მართალია, არა სიცოცხლისთვის საშიში, მაგრამ ეს ილიას უნივერსიტეტს ოდნავადაც არ უმსუბუქებს მდგომარეობას. თუმცა არანაკლებ ამაზრზენი იყო მათი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც საკუთარი ვაი-ფეხბურთელების გამართლებას ასე უსუსურად შეეცადა – ცხელოდა და ბიჭებმა ნერვები ვერ მოთოკესო!!! ვიმედოვნებთ, გაისად რექტორატი მათ ანტარქტიდაზე გაუშვებს სათამაშოდ – იქ გრილა და ნერვებს დაიოკებენ, მაგრამ გაისად ეს ნადვილად არ დასჭირდებათ – მომხდარზე ოპერატიულად იმსჯელა საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ ილიას უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა და ვერცხლის მედალიც ჩამოართვა. თუმცა უშუალოდ ინციდენტში მონაწილეთათვის ეს ცოტაც კი გვგონია. საინტერესოა, რას მოიმოქმედებს თავად რექტორატი – მათი სტუდენტების ქმედებაში ხომ სისხლის სამართლის აშკარა ნიშნებია, არათუ წვრილმანი ხულიგნობა. სპორტული ასპარეზი დაპირისპირების საგნად არ უნდა იქცეს, უნივერსიადაში მონაწილეობა კი სტუდენტისთვის პატივი უნდა იყოს.

# დუბლი ვერ გაახერხა

20 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა **სოფიო შაფათავამ** უზბეკურ ბუხარაში დასრულებულ ტურნირში წყვილთა შეჯიბრება მოიგო, ერთეულებში კი ფინალში დამარცხდა.

წყვილებში შაფათავა თანამემამულე **თათია მიქაძესთან** ერთად იბრძოდა და ფინალში ინდონეზიელებს – **იაიუკ ბასუკსა** და **ჯესი რომპიესის** ორ სეტში ერთნაირი ანგარიშით მოუგეს – 6:3; 6:3.

ერთეულებში შაფათავას მეტოქე ბერძენი **ეირინი გატუ** იყო. ჩვენებურმა ფინალი შემართებით დაიწყო – პირველი სეტი 6:1 მოიგო, მაგრამ მერე ვერაფრით მოახერხა მობილიზება და ჩინებულად ათამაშებულ ბერძენს ოდნავი წინააღმდეგობაც ვერ გაუწია. გატუმ მომდევნო სეტები 6:0; 6:3 მოიგო და ჩემპიონიც გახდა. წაგების მიუხედავად, შაფათავასთვის უზბეკური ტურნირი მაინც წარმატებულია. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ ის ფინალში სექტემბრის მერე არ გასულა, როცა თბილისის ტურნირზე თანამემამულე **ოქსანა კალაშნიკოვასთან** წააგო.

# „ორბი“ ყველაზე მაღლა აფრინდა



ბავშვთა საკალათბურთო დარბაზში ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საკალათბურთო ფესტივალი 1999 წლამდე დაბადებულთა შორის. მასში 8 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი. ჯგუფების გამარჯვებულები ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, მეორეზე გასულები – ბრინჯაოსთვის და ასე შემდეგ. საჩემპიონო შეხვედრაში მონაწილეობის უფლება ჯგუფებში წაუგებლად მოთამაშე „ორბმა“ და „ჯვაროსნებმა“ მოიპოვეს. ფინალი დაძაბული და დრამატულიც კი გამოდგა – დამთავრებამდე 4 წუთით ადრე „ჯვაროსნები“ 21:19 იგებდნენ, მაგრამ პატარა ორბებმა შესაშური სულიერი სიმტკიცე გამოავლინეს და შეხვედრა 32:22 მოიგეს. საინტერესოა, რომ მათი მწვრთნელი ქალბატონია – **ნინო ყიფშიძე.** მესამეზე „აკადემია“ გავიდა, რომელმაც „რუსთავს“ აჯობა.

აღსანიშნავია, რომ 1998 წლიანთა ფესტივალიც „ორბმა“ მოიგო.

***რუბრიკას უძღვება***
***ირაკლი თავაძე***

# მოსწავლე შემოქმედი



12 ივნისს, თბილისში, „კავკასიურ სახლში“, **ქართლოს ბიკაშვილის** ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა და კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა. გამოფენა გახსნა მხატვარმა **კოტე სულაბერიძემ** და დამთვალიერებლებს ნორჩი მხატვარი წარუდგინა.

ქართლოს ბიკაშვილი თბილისის პირველი საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეა. დაიბადა თბილისში, აღიზარდა დედოფლისწყაროში პაპა-ბებიას ოჯახში. შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული მოსწავლეა, ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც მის ნამუშევრებს ნახავს და ლიტერატურულ ჩანახატებსაც გაეცნობა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 18 ნამუშევარი. დამთვალიერებლებზე (მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები, მასმედიის წარმომადგენლები, კულტურისა და განათლების სისტემის მუშაკები) წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართლოსის ნახატებმა: „კაცი სიგარეტით“, „ავტოპორტრეტი“, „სიღარიბე“, „ივდითი“, „შირაქი“ და სხვ.

ნორჩი მხატვარი ხელოვნების მოყვარულებს ნამუშევრების მორიგ გამოფენას სოფელ მირზაანსა და დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შესთავაზებს.

გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს ქართლოს ბიკაშვილის შემოქმედებიდან.

*მარიკა პოპიაშვილი*





## დილა ზამთარში

დილა ზამთარში ყველაზე ლამაზია. გარიჟრაჟზე თოვლი ღია ლილისფრად ანათებს და ნელ-ნელა თეთრდება, ჩნდება ნაბიჯები თოვლში, მობუზული, გაბურძგნული და თვალებდახუჭული ბეღურები. მერე ჩნდება ხმები – თოვლის ჭრაჭუნი, მერე ჭრაჭუნის გამომწვევი, ცხოვრების წინაშე უკვე ქედმოხრილი, კათარზისისკენ მიმავალი შავი ლაქები, რომლებიც ზაფხულშიც შავ ლაქებად რჩებიან.

...და თოვლიც ნელ-ნელა იტკეპნება. საქათმეში მხოლოდ ჭკუანაკლული ინდაურები მოჩანან, რომელთა სახეებიც ყოველთვის თათარი მერძევის სახეს მაგონებს.

სახლში ღუმელი გუგუნებს და თავისთვის ატკაცუნებს შეშას, რომელიც ხან განწირული ხმით იკივლებს და დუჟი გადმოუვა პირიდან. ეზოში ვიღაც მიდი-მოდის, ხელებს თავისი ორთქლით ითბობს. ამ კაცის დანახვა კი ყოველთვის მიფრთხობს ჩემს მშვიდ ფიქრებს – გრძელწვერიანი მოხუცი მწვანე პალტოთი. ეზოში მოჩანს ბებია, ხელში აწვდის ყველს, პურს, ხორცს და ერთ ბოთლ ღვინოს. ისედაც სევდამოწოლილს, მისი დანახვა უფრო მიორმაგებს სევდას, მაგრამ სევდა მიყვარს, რადგან სევდა ნისლია, ნისლი კი ფიქრია მთების...

მოხუცი იქვე ეტანება საჭმელს, ანდა აქვს განა გზა წასასვლელი?! ერთი და იგივე მეორდება, მაგრამ ყოველი დღე მაინც განსხვავებულია, ორიგინალური და დრამატული.

*22 იანვარი, 2010 წელი*

## გაზაფხული

ტყეებში ნათელმა შემოანათა, მთაწმინდამ მწვანე კაბა ირჩია. მტკვარიც ჩაწყნარდა, მეც დავწყნარდი. მთებში პაწაწინა იებმაც წამოყვეს თავი, ზამთრის ძილიდან გამოიღვიძეს. მდინარის ნაპირსაც ხავსი მოედო, მაყვლის მოტიტვლებული ბუჩქები მოვარდისფრო კვირტებით აელვარდა და იმ მიდამოებში საოცარი სურნელება მოაფრქვია...

მაგრამ ბუზღუნა თბილისის ცივი ქუჩები ჯერ მორცხვად უმზერენ გაზაფხულს, ალბათ, ცოტა ხნის შემდეგ, ისინიც აფუსფუსდებიან და აპრილი აიკლებს ქალაქს.

*18 მარტი, 2008 წელი*

ღვთის მადლით საგარეჯოს რაიონს არ აკლია შემოქმედი, ნიჭიერი ახალგაზრდები. ხელოვნების სხვადასხვა სფეროში სულ უფრო და უფრო მეტი ახლგაზრდა ცდის თავს და საინტერესო ნამუშევრებსაც გვთავაზობს. ერთ-ერთი გამორჩეული, უდაოდ ნიჭიერი, სოფელ გიორგიწმინდის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე **ია კვირიაშვილია.**

მისი შემოქმედება საინტერესო და მომხიბლავია. როგორ შეუძლია ამ პატარა გოგონას უბრალო კენჭისგან, სიმინდის მარცვლებისგან, ნებისმიერი ფრინველის ბუმბულისაგან, ხის ფესვებისაგან და, რაც არ უნდა საოცარი იყოს, კარტოფილის პარაზიტი ჭიის რქოვანი ფრთებისგანაც კი შექმნას ლამაზი კომპოზიციები, ნახატები, რელიეფები...

საგარეჯოს საზოგადოება ნაკლებად იცნობს იას ესოდენ საინტერესო შემოქმედებას. სწორედ ამიტომ, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგიურმა კოლექტივმა გაუკეთა ორგანიზება მის პირველ პერსონალურ გამოფენას

გამოფენა 9 ივნისს გაიხსნა და 20 ივნისამდე გაგრძელდება. იასთვის ეს ერთ-ერთი დაუვიწყარი დღე იყო. გამოფენის გახსნას ესწრებოდა სოფელ გიორგიწმინდის სკოლის დირექტორი ქალბატონი **მერი ჭიაბერაშვილი**, მასწავლებლები, მეგობრები, თანაკლასელები. იას ნამუშევრები შეაფასეს მხატვრებმა – **თამარ იორამაშვილმა, ნინო ჯანგულაშვილმა, ჯემალ მახარიკაშვილმა.**

პატარა შემოქმედისთვის ხატვა სერიოზული ჰობია, განტვირთვის საშუალება. დიდი ხნის წინ დაუწყია მას უცნაური საგნებისგან ნახატებისა და კომპოზიციების შექმნა. ზღვაზე დასასვენებლად ყოფნისას გასჩენია სურვილი აეწყო პირველი ნამუშევარი. სცადა და გამოუვიდა კიდეც. ყველას მოეწონა იას პირველი მცდელობა ხელოვნებაში. მისი მუზა ბუნებაა, შთაგონების საგანი უბრალო ფერადი კენჭიც კი შეიძლება გახდეს.

იას უამრავ რესპუბლიკურ, რაიონულ თუ საერთაშორისო კონკურსებში მიუღია მონაწილეობა, ხშირ შემთხვევაში დიდი წარმატებებისთვისაც მიუღწევია. ფონდ „კულტურა – მშვიდობის დესპანი“ მიერ მოწყობილ კონკურსში, სააღდგომო თემაზე შექმნილი ნამუშევრისთვის დაჯილდოვდა დიპლომითა და საპატრიარქოს საჩუქრით.

საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი კოლექტივისა და მოსწავლეთა რაიონული თვითმმართველობის სახელით, მომავალშიც მნიშვნელოვან წარმატებებს ვუსურვებთ ნორჩ შემოქმედს.

***ანი მოსიაშვილი***

*საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე*









ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.